ISSN 0132-5981



# საბჭოთა სპორტი





4 1983

პროლეტარები ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საბჭოთა სამართალი

№ 4

ივლისი
აგვისტო

1983 წელი

ჟურნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს მეცნიერულ-პრაქტიკული ჟურნალი

## შინაარსი

## СОДЕРЖАНИЕ





**რედაქციის მისამართი, თბილისი, პლეხანოვის ქ. 105. ტ. 95-58-87, 95-88-49.**

გადაეცა წარმოებას 7. 09. 83 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 24. 10. 83 წ.,
ფორმატი 70×108 1/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი
ფურცელი 7. სალიტერატურო-საგამომცემლო თაბახი 7,5
შეკვ. № 2120 ტირაჟი 15.800 უე 07268

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

# დისციპლინა—გადამწყვეტი ფაქტორი

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდნენ შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებას, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რიტმულ და შეუფერხებელ მუშაობას, სამუშაო დროის დანაკარგებთან ბრძოლას, რადგან უამისოდ შეუძლებელია შრომის ნაყოფიერების და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, საბოლოო ანგარიშით კი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტა.

ამჟამად, საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე, დისციპლინა და წესრიგი მეტ მნიშვნელობას იძენს, ვინაიდან მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში შრომის დისციპლინისა და ორგანიზებულობის როლი, უქმად დაკარგული სამუშაო დროის ფასი სულ უფრო იზრდება. საბჭოთა სახელმწიფოში განხორციელებულ სამუშაოთა მოცულობა და მასშტაბები ხომ გრანდიოზულია. ჩვენს ქვეყანაში მარტო ერთ დღეს გამომუშავებული ელექტროენერგიის რაოდენობა 3,9 მილიარდ კილოვატსაათზე მეტია, ერთ დღეში მილიონ 391 ათას ტონა ნავთობს და გაზის კონდენსატს, მილიარდ 449 მილიონ კუბურ მეტრ გაზს ვიღებთ, ვამზადებთ 420 ათას ტონა ფოლადს, 351 ათას ტონა ცემენტს, 20 მილიონ კვადრატულ მეტრ ბამბის ქსოვილს, მწყობრში დგება 5,5 ათასი ბინა. მეათე ხუთწლედის დასასრულისათვის ერთ წუთში გამომუშავებული ელექტროენერგია შეადგენდა ორ მილიონ კილოვატსაათზე მეტს, ფოლადის გამოდნობა 300 ტონას, მიწის წიაღიდან ამოღებული ქვანახშირის რაოდენობა ათას ხუთას ტონას, გაზისა — 650 ათას კუბურ მეტრს. სამუშაო დროის მხოლოდ ერთი წუთის გაცდენა ქვეყნის მასშტაბით ნიშნავდა ათას ორასი მუშის, მოზრდილი ქარხნის მთელი დღის შრომის შედეგების დაკარგვას. მეთერთმეტე ხუთწლედში სამუშაო წუთის ფასი კიდევ უფრო გაიზარდა. აქედან გამომდინარეობს თითოეული სამუშაო წუთის რაციონალური გამოყენების ამოცანა, რადგან ამან ყოველგვარი ხარჯების გაუწევლად შეუძლია მოგვცეს მნიშვნელოვანი მატერიალური შედეგი.

ეს, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი განვითარების ინტერესები, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ხელმძღვანელი მუშაკებისაგან მოითხოვს უზრუნველყონ ყველა მშრომელის შრომითი და სოციალური აქტიურობის ზრდა, მათი მოქალაქეობრივი სიმწიფისა და დისციპლინიანობის შემდგომი ამაღლება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვმა მოსკოველ ჩარხმშენებლებთან შეხვედრის დროს თქვა:

„რატომ დაისვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ასე მწვავედ შრომის დისციპლინის საკითხი?

უწინარეს ყოვლისა ეს ცხოვრების მოთხოვნაა. იმიტომ, რომ თუ სათანადო დისციპლინა — შრომის, საგეგმო, სახელმწიფო დისციპლინა არ გვექნა, სწრაფად ვერ ვივლით წინ. წესრიგის დამყარება ნამდვილად არ მოითხოვს რაიმე კაპიტალურ დაბანდებას, ეფექტს კი უდიდესს იძლევა. გამცდენი, წუნისმკეთებელი, უქნარა იმდენად თავისთავს არ აყენებს ზარალს, რამდენსაც კოლექტივს, საერთოდ მთელ საზოგადოებას“[1].

დისციპლინის განმტკიცება, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება ყველა რგოლში ჩვენი ეკონომიკის აღმავლობის, წარმოების ეფექტიანობის გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების აუცილებელი პირობაა. ამ პრობლემის გადაჭრა, როგორც ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე ითქვა, არ არის ხანმოკლე კამპანია და არც ადამიანთა მცირერიცხოვანი ჯგუფის მეცადინეობით გადაწყდება. სანიმუშო დისციპლინა და წესრიგი, რომე-

[1] გაზეთი „კომუნისტი“, 1983 წ. 1 თებერვალი.

ლიც სოციალისტური დემოკრატიის განუყოფელი მხარეებია, მუდმივ ყურადღებას მოითხოვს და მხოლოდ მაშინ იქნება უზრუნველყოფილი, როდესაც ამ საქმეში მონაწილეობას მიიღებს ყველა მშრომელი, როდესაც იგი დაეყრდნობა ფართო მასების შეგნებას. მარტო ასეთ ვითარებაში შეიძლება შესრულდეს ის დიდი ამოცანები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობის დარგში დასახეს სკკპ XXVI ყრილობამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის და 1983 წლის ივნისის პლენუმებმა.

საბჭოთა კავშირის ეკონომიკის 1983 წლის პირველი ნახევრის მონაცემები ცხადყოფს, რომ მოკლე დროში, პარტიის მიერ განხორციელებული ღონისძიებების წყალობით, სახალხო მეურნეობის განვითარებაში უკვე მიღწეულია საგრძნობი შედეგები, რასაც ხელი შეუწყო დისციპლინის განმტკიცებამაც. დაძლეულია მუშა-მოსამსახურეთა ერთ ნაწილში მოდუნების, შრომისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ფაქტები. მნიშვნელოვნად შემცირდა სამუშაო დროის დანაკარგები. ახლა სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა უმრავლესობა შრომობს პატიოსნად, ისე როგორც ამას მუშაკაცის სინდისი მოითხოვს. ეს კი მნიშვნელოვანია. არა მარტო ეკონომიკური თვალსაზრისით, არამედ მას უდიდესი ზნეობრივი ღირებულებაც აქვს, ვინაიდან, როგორც პლენუმზე ითქვა, შრომაში ადამიანი, მატერიალური ფასეულობის შექმნასთან ერთად, ჭედს თავის საუკეთესო თვისებებს, იწრთობს ნებისყოფას, ყალიბდება მოქალაქედ, კომუნიზმის აქტიურ მშენებლად.

ამოცანა ახლა ის არის, რომ ყოველმხრივ განვავითაროთ ეს დადებითი ტენდენციები. ამ საქმეში ახალ შესაძლებლობებს სახავს ამ ცოტა ხნის წინათ მიღებული ახალი კანონი შრომითი კოლექტივების შესახებ; სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე ხაზგასმით ითქვა, რომ იქ, სადაც შრომითი კოლექტივის უფლება-მოვალეობანი მთლიანად არის გამოყენებული, არა მარტო უფრო მაღალია საწარმოო მაჩვენებლები, არამედ უფრო ჯანსაღია მორალური ატმოსფერო, ნაკლებია კანონიერებისა და წესრიგის დარღვევები.

შრომის დისციპლინის განმტკიცებაში დიდ როლს შეასრულებს აგრეთვე ცვლილებანი, რომლებიც შრომის კანონმდებლობაში შეიტანა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად. შრომის კანონმდებლობაში შეტანილი სიახლენი, რომლებიც დაწვრილებით არის განხილული ჟურნალის ამ ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „ცვლილებები შრომის კანონმდებლობაში და შრომის დისციპლინის მომწესრიგებელი უმნიშვნელოვანესი ნორმები", მეტად მნიშვნელოვანია. ისინი ემსახურება შრომის ნაყოფიერების ზრდის ინტერესებს, ახლებურად წყვეტს ზიანის მიყენებისათვის მუშა-მოსამსახურეთა მატერიალურ პასუხისმგებლობას და ასეთი პასუხისმგებლობის დაკისრების წესს. საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სამართალდაცვითი ორგანოები მოვალენი არიან ყველაფერი იღონონ კანონის ამ ნორმების განუხრელი განხორციელებისათვის. ეს ხელს შეუწყობს შრომისადმი პატიოსანი, შეგნებული დამოკიდებულების ჩანერგვას, წარმოების ეფექტიანობის ზრდას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

სკკპ XXVI ყრილობამ წამოაყენა მოწოდება — „ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს". მისი ხორცშესხმა მოითხოვს იმას, რომ გავაძლიეროთ ბრძოლა არა მარტო შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, არამედ წარმოების ურიტმო მუშაობის აღკვეთისთვისაც, რაც ბევრჯერ გამოწვეულია შრომის ნორმალური პირობების უქონლობით, საწარმოთა ნედლეულით და მატერიალური რესურსებით არადამაკმაყოფილებელი მომარაგებით და სხვა, მუშისაგან დამოუკიდებელი, მიზეზებით. ფაქტები მოწმობს, რომ შრომის დისციპლინის დარღვევაზე მოდის სახალხო მეურნეობაში სამუშაო დროის დანაკარგების 30 პროცენტი. თავისთავად ეს ბევრია და დამაფიქრებელიც, მაგრამ ეს ციფრი იმასაც გვიჩვენებს, რომ სახალხო მეურნეობას უფრო მეტ ზარალს აყენებს შეფერხებანი საწვავით, ნედლეულით მომარაგებაში, ელექტროენერგიის მიუწოდებლობა, სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობა, ადმინისტრაციის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური ხარვეზები, ე. ი. მუშისაგან დამოუკიდებელი ობიექტური გარემოებანი. სახალხო მეურნეობას ნაკლები ზიანი არ ადგება გაუთავებელი თათბირებითა და მასობრივი ღონისძიებებით, რომლებიც სამუშაო საათებში ეწყობა და ხელს უშლის საწარმოს რიტმულ მუშაობას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა ამის თაობაზე მოსკოველ ჩარხმშენებლებთან შეხვედრისას თქვა: „ძინდა განსაკუთრებით გავუსვა ხაზი, როცა დისციპლინაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს მთელი შრომითი საწარმოო ჯაჭვი, და, რა თქმა უნდა, მთელი ჩვენი მეცადინეობა წყალში გადაგვეყრება, თუ დისციპლინობისათვის გაჩაღებული ბრძოლა ზერელე გამოდგება, დაწვრილმანდება: ამან ხუთი წუთით დააგვიანაო, იმან სიგარეტის წევას მოუხშირაო. რა თქმა

უნდა, ამისათვის ვერავის შევაჭებთ. წესრიგი უნდა დამყარდეს ყველგან, სადაც სამუშაო წუთები იკარგება. საქმე ეხება სერიოზულ დამოკიდებულებას საწარმოო დისციპლინის, მათ შორის ტექნოლოგიური, მომარაგების და სხვა მისთანა დისციპლინის ყველა ასპექტისადმი. საჭიროა, რომ ჩვენი წარმოების ყველა რგოლს დაეტყოს დისციპლინის განმტკიცების ეფექტი.

ჩვენ გვჭირდება შეგნებული, მუშური დისციპლინა, ისეთი, რომელიც წარმოებას დაწინაურებს. ჩვენ დისციპლინისათვის ბრძოლა მეტი შინაარსით უნდა შევაფასოთ, უშუალოდ საწარმოო დავალების შესრულებას დავუკავშიროთ"[2].

თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოების დღეგანდელ საქმიანობას, უნდა ვაღიართო, რომ შრომითი და სახელმწიფო დისციპლინისათვის, საგეგმო დავალებათა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებისათვის მათს ბრძოლას აკლია შეტევითობა, შეურიგებლობა გამოვლენილი ნაკლოვანებებისადმი. ჯერ კიდევ არ არის დაძლეული ინერცია, ფორმალიზმი და პრიმიტივიზმი. არ არის უზრუნველყოფილი ამ დარგში სამართალდაცვითი, სახალხო კონტროლის და სხვა მაკონტროლებელი ორგანოების საქმიანობის სათანადო კოორდინაციაც. ამიტომ არის, რომ ბრძოლის მახვილი უმთავრესად მიმართულია არა არსებით დარღვევათა წინააღმდეგ, სახელმწიფო დისციპლინის უმნიშვნელოვანესი პრობლემები კი მათი ყურადღების მიღმა რჩება. სამართალდაცვითი ორგანოები ურიგდებიან იმას, რომ ბევრი საწარმოს ხელმძღვანელი თავის უნიათობასა და ნაკლოვანებებს ორგანიზაციაში ანაზღაურებს მასობრივი საზეგანაკვეთო სამუშაოებით, რაც თავისთავად უკანონობაა. ხშირად ეს პროფკავშირული ორგანიზაციების უნებართვოდაც კეთდება. იერიშობანა საწარმოო გეგმების შესრულებაში იმასაც იწვევს, რომ მუშა-მოსამსახურეებს არა აქვთ ნორმალური დასვენების საშუალება, რასაც უარყოფით სოციალურ შედეგებამდე მივყავართ.

სამართალდაცვითი ორგანოები, უწინარესად პროკურატურა, მოვალენი არიან არ დაუშვან შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მხარეების უფლება-მოვალეობათა დარღვევა, რომელთა განხორციელება ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ, თუ ადმინისტრაცია არ ზრუნავს შრომის სათანადო პირობების შექმნისათვის (ჩარხების გამართულობა, ნედლეულით მომარაგება, სანიტარიული მდგომარეობა და სხვა), ვერც მუშა-მოსამსახურენი შეძლებენ შეასრულონ სამსახურებრივი მოვალეობა.

სამწუხაროდ, სამართალდაცვითი ორგანოების მუშაობის პრაქტიკაში მეტად იშვიათია ისეთი ფაქტი, როდესაც პასუხი მოსთხოვეს ხელმძღვანელ სამეურნეო მუშაკს შრომის სამართლის უხეშად დარღვევისათვის. კანონით გათვალისწინებულ სანქციებს ამ პირთა მიმართ იშვიათად იყენებენ. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ წარმოებაში ნორმალური სამუშაო პირობების შექმნა ადმინისტრაციის მხრივ არის მისი იურიდიული მოვალეობა, რაც მუშა-მოსამსახურეებთან დადებული შრომის ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული. ამიტომ მისი ყოველგვარი დარღვევა, ხელყოფა უნდა იწვევდეს სამართალდაცვითი ორგანოების შესაბამის რეაგირებას საწარმოს ადმინისტრაციის მიმართ. ამისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს ყველა ღონისძიება: სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, სათანადო წარდგინებების შეტანა პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში, ადმინისტრაციული, დისციპლინური პასუხისმგებლობა და სხვა. შრომის სამართლის ნორმების დარღვევებისათვის ბრძოლის გაძლიერება რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოების გადაუდებელი ამოცანაა, ვინაიდან ეს დარღვევა სხვა არა არის რა, თუ არა საბჭოთა კანონის მოთხოვნათა უგულებელყოფა. ეს კი ყოვლად დაუშვებელია, ვინაიდან როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა 1983 წლის ივნისის პლენუმზე აღნიშნა, „ჩვენი საზოგადოებრივი გაჩვითარების ნორმალური მიმდინარეობა წარმოუდგენელია ისე, თუ უმკაცრესად არ შესრულდა კანონები, რომლებიც იცავენ საზოგადოების ინტერესებსა და მოქალაქეთა უფლებებს.

...ნამდვილი ომი უნდა გამოვუცხადოთ ისეთ პრაქტიკას, როცა ჩვენი დემოკრატიული ნორმები და წესდებულებანი განმტკიცებული არ არის საქმეებით, როცა სჯერდებიან მხოლოდ ფორმას, მოჩვენებითობას"[3].

სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობა რომ უპასუხებდეს დღევანდელობის მოთ-

---

[2] გაზეთი „კომუნისტი", 1983 წ. 1 თებერვალი.

[3] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მასალები, თბ., 1983 წ., გვ. 19, 20.

ნოვნებს, მისი თითოეული მუშაკი პირადად უნდა იძლეოდეს დისციპლინისა და ორგანიზებულობის მაგალითს.

ამ მხრივ, სამწუხაროდ, ყველაფერი რიგზე არ არის. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს დისციპლინური კოლეგიის მონაცემებით, წლეულს დისციპლინის სხვადასხვა დარღვევისათვის დაისაჯა ორი რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე და ექვსი მოსამართლე. ეს სრულიად შეუწყნარებელია. არ შეიძლება ნორმალურად მივიჩნიოთ, რომ შარშან რესპუბლიკის სახალხო სასამართლოებში საქმეთა განხილვის საპროცესო კანონით დადგენილი ვადა დაირღვა ასეულობით სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეზე. საკასაციო ინსტანციაში სხვადასხვა მიზეზით შეიცვალა და გაუქმდა საქმეთა 5,4 პროცენტი. არის რაიონის სახალხო სასამართლოები, სადაც ეს მონაცემები მეტისმეტად მაღალია.

დისციპლინა და ორგანიზებულობა უპირველესად მოეთხოვებათ სამართალდაცვითი ორგანოების მუშაკებს. ისინი ხომ ადამიანების ბედ-იღბალს წყვეტენ. ამიტომ უდისციპლინობა და აქედან გამომდინარე წუნი მათს მუშაობაში სრულიად დაუშვებელია.

დისციპლინის განმტკიცების, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი რეზერვია საბჭოთა სამართლის ნორმების სრულყოფა, მოსახლეობაში სამართალაღმშრდელობითი საქმიანობის გაუმჯობესება. ამ საქმეში გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნით სწავლულ იურისტებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის ივნისის პლენუმის დადგენილებაში ნათქვამია: „პარტია და სახელმწიფო მოელიან, რომ ეკონომისტები, ფილოსოფოსები, ისტორიკოსები, სოციოლოგები, ფსიქოლოგები, სამართალმცოდნენი შეიმუშავებენ წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საიმედო გზებს[4]". იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ რესპუბლიკის სამართლის პროფილის სამეცნიერო დაწესებულებები, მეცნიერი მუშაკები სათანადო დასკვნებს გამოიტანენ ამ მითითებებიდან, თავიანთი შრომებით და წინადადებით ხელს შეუწყობენ შრომის სამართლის ნორმების სრულყოფას, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას.

რესპუბლიკის სამართლებრივი ორგანოების წინაშე დიდი ამოცანები დგას. ეჭვი არ არის, რომ ისინი ყველაფერს იღონებენ, რათა იყვნენ დღევანდელობის მოთხოვნათა დონეზე, მთელ ალ-ღონეს მოახმარენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის და 1988 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულებას, თავიანთ წვლილს შეიტანენ შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებაში.

—•—

[4] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მასალები, თბ., 1983 წ., გვ. 82.

# სამხედრო პროკურატურის ახალი დებულება

გ. გორდეევი,
ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო პროკურორი, გენერალ-მაიორი

სამხედრო პროკურატურა ჩვენი ქვეყნის პროკურატურის ორგანოების ერთიანი ცენტრალიზებული სისტემის განუყოფელი ნაწილია. მის საქმიანობას საფუძვლად უდევს საბჭოთა სამართლის პრინციპები, სსრ კავშირის კონსტიტუციის დებულებები და კანონი „სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ". ამასთან ერთად მის სტრუქტურას, ამოცანებს და საქმიანობას ახასიათებს ცალკეული თავისებურებანი, რომლებიც განპირობებულია სამხედრო ორგანიზაციის სპეციფიკით, საბჭოთა სამხედრო მშენებლობის იმ ამოცანებით, რომლებსაც წყვეტს საბჭოთა არმიისა და ფლოტის პირადი შემადგენლობა, ამიტომ არის, რომ სამხედრო პროკურატურის საქმიანობას „სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ" კანონის გარდა აწესრიგებს აგრეთვე სპეციალური სამართლებრივი აქტი — „დებულება სამხედრო პროკურატურის შესახებ".

„სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ" კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის წარდგინებით, 1981 წლის 4 აგვისტოს დაამტკიცა სამხედრო პროკურატურის ახალი დებულება, რომელმაც შეცვალა 1966 წლიდან მოქმედი ანალოგიური სამართლებრივი აქტი. ამ დებულების მიღება აუცილებელი გახდა იმის გამო, რომ იგი მოყვანილიყო შესაბამისობაში სსრ კავშირის კონსტიტუციასთან, კანონთან „სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ" და ბოლო წლების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში მიღებულ სხვა სამხედრო-სამართლებრივ აქტებთან. ეს არის კიდევ ერთი ნათელი გამოხატულება იმ დიდი ყურადღებისა, რომელსაც ჩვენი პარტია და სახელმწიფო იჩენენ საბჭოთა შეიარაღებული ძალებისადმი, არმიასა და ფლოტში საპროკურორო ზედამხედველობის როლის გაძლიერებისათვის, სოციალისტური კანონიერების, მართლწესრიგისა და დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის.

სამხედრო პროკურატურის ახალი დებულება შედგება ოთხი თავისა და ოცდათვრამეტი მუხლისაგან. მასში შენარჩუნებულია ადრე მოქმედი დებულების ზოგიერთი ნორმა, რომელმაც დროის გამოცდას გაუძლო, ანდა ძველი ნორმები წარმოდგენილია ახალი რედაქციით. ამასთან ერთად ახალი დებულება შეიცავს ნორმატიული და სტრუქტურული ხასიათის მთელ რიგ სიახლეებს. კერძოდ, უფრო დაწვრილებით არის რეგლამენტირებული სამხედრო პროკურატურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და პრინციპები, ზუსტად არის განსაზღვრული მათი განხორციელების საშუალებები, სამხედრო პროკურორებისა და სამხედრო გამომძიებლების უფლებამოსილებანი. მთელი

რიგი ცვლილებებია შეტანილი მთავარი სამხედრო პროკურატურის და ქვემდგომი პროკურატურების ორგანიზაციულ სტრუქტურაში და ა. შ.

თანამედროვე რთულ საერთაშორისო ვითარებაში, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები ცდილობენ ხელი შეუშალონ დაძაბულობის შენელებას და გააძლიერონ გამალებული შეიარაღება, კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევენ ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების და შეიარაღებული ძალების შემდგომ განმტკიცებას, არმიისა და ფლოტის მუდმივ საბრძოლო მზადყოფნის უზრუნველყოფას, ჯარების პირადი შემადგენლობის საბრძოლო დისციპლინისა და სიფხიზლის გაძლიერებას. აქედან გამომდინარე, დებულების მე-2 მუხლის შესაბამისად სამხედრო პროკურატურის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა დაიცვას სსრ კავშირის უშიშროება ყოველგვარი ხელყოფისაგან, განამტკიცოს მისი შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობა და საბრძოლო მზადყოფნა, ხელი შეუწყოს სამხედრო დისციპლინისა და სამხედრო სამსახურის დადგენილი წესების დაცვას. სამხედრო პროკურატურის ამოცანაა აგრეთვე დაიცვას სამხედრო მოსამსახურეთა და შეკრებებზე გაწვეულ სამხედრო ვალდებულ პირთა, მათი ოჯახის წევრების, სამხედრო ნაწილებში და დაწესებულებებში მომუშავე მუშებისა და მოსამსახურეების, სხვა მოქალაქეების, სამხედრო ნაწილების, დაწესებულებების, საწარმოების, ორგანიზაციების უფლებები და კანონიერი ინტერესები. დებულებაში ხაზგასმულია აღმზრდელობითი როლი სამხედრო პროკურატურისა, რომელიც მთელი თავისი საქმიანობით ხელს უწყობს ყველა სამხედრო მოსამსახურის აღზრდას კონსტიტუციური მოვალეობების, საბჭოთა კანონების, სამხედრო ფიცისა და სამხედრო წესდებების, მეთაურთა ბრძანებების ზუსტი და განუხრელი შესრულების, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვის სულისკვეთებით.

სპროკურორო ზედამხედველობის განხორციელება არ წარმოადგენს სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში კანონიერებისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფის ერთადერთ საშუალებას. საბჭოთა კანონების და მათ საფუძველზე მიღებულ სხვა ნორმატიული აქტების შესრულებას უზრუნველყოფენ აგრეთვე მეთაურები და პოლიტმუშაკები, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები, არმიის საზოგადოებრიობა, სახალხო კონტროლის ორგანოები და სამხედრო ტრიბუნალები. ამასთანავე ამ საქმეში მთავარი როლი ეკუთვნის მეთაურ-ერთმმართველებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ მათდამი დაქვემდებარებული სამხედრო ნაწილებისა და დაწესებულებების ცხოვრების ყველა მხარეს და ემყარებიან პოლიტორგანოებს, პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, არმიის საზოგადოებრიობას, ახორციელებენ ღონისძიებებს კანონიერების მართლწესრიგის და დისციპლინის განმტკიცებისათვის. ამიტომ სამხედრო პროკურატურას თავისი ფუნქციების განხორციელების დროს მუდმივი კონტაქტები აქვს და თანამშრომლობს სამხედრო სარდლობასთან და პოლიტიკურ ორგანოებთან, მათთან ერთად კომპლექსურად წყვეტს მართლწესრიგის დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს. დებულების მე-3 მუხლი ითვალისწინებს სამხედრო პროკურატურის მონაწილეობას სარდლობისა და პოლიტორგანოების მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში, რომელთა მიზანია კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცება და სამართალდარღვევათა თავიდან აცილება, აგრეთვე იმ წინადადებების შემუშავებაში, რომლებიც მიმართულია

სამხედრო კანონმდებლობის სრულყოფისაკენ, აგრეთვე შეიარაღებულ ძალებში საბჭოთა კანონების პროპაგანდის გაუმჯობესებისაკენ. დებულების მე-9 მუხლის შესაბამისად, სამხედრო პროკურორები მონაწილეობენ სამხედრო საბჭოების სხდომებსა და სარდლობის სამსახურებრივ თათბირებში, რომლებზეც განიხილება ჯარებში კანონებისა და სამხედრო წესდებების შესრულების, კანონიერების განმტკიცების, სამართალდარღვევათა თავიდან აცილების და სამართლებრივი აღზრდისათვის მუშაობის საკითხები. დებულების მე-4 მუხლით სამხედრო პროკურატურის საქმიანობის ერთ-ერთი პრინციპია მისი თანამშრომლობა სარდლობასთან, პოლიტორგანოებთან, სამხედრო ტრიბუნალებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, სამხედრო კოლექტივებთან, რომელიც ემყარება სამხედრო მოსამსახურეთა და სხვა მოქალაქეთა აქტიურ მსარდაჭერას. ამრიგად, დებულებაში ნორმატიულად ნათლად არის განმტკიცებული სხვა ორგანოების საქმიანობასთან, საზოგადოებრიობასთან სამხედრო პროკურატურის ღონისძიებათა კოორდინაციის აუცილებლობა სამართალდარღვევათა თავიდან აცილებაში.

ამასთან ერთად დებულებაში ხაზგასმულია, რომ სამხედრო პროკურორები თავიანთ უფლებამოსილებას ახორციელებენ ადგილობრივი და სამხედრო ორგანოებისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას ითვალისწინებს სსრ კავშირის კონსტიტუციის 168-ე მუხლი, მთელ თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობენ მხოლოდ კანონით და ემორჩილებიან მხოლოდ სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს. სამხედრო პროკურატურა ახორციელებს ზედამხედველობას, რომ კანონები სწორად და ერთგვაროვნად ხორციელდებოდეს ყოველგვარი ადგილობრივი განსხვავების მიუხედავად და წინააღმდეგ ყოველგვარი ადგილობრივი და საუწყებო გავლენისა, იღებს ღონისძიებებს კანონის ნებისმიერი დარღვევების გამოვლენისა და მისი დროულად თავიდან აცილებისათვის, ვისგანაც უნდა მომდინარეობდეს იგი, დარღვეული უფლებების აღდგენისა და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემისათვის (დებულების მე-4 მუხლი).

დებულება განსაზღვრავს სამხედრო პროკურატურის ორგანოების ორგანიზაციულ სტრუქტურას, რომელიც ჩამოყალიბდა სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში. სამხედრო პროკურატურა შედგება მთავარი სამხედრო პროკურატურისაგან და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სახეობების პროკურატურისაგან, სამხედრო ოლქების, ფლოტების, არმიების ფლოტილიების, შენაერთების და გარნიზონების სამხედრო პროკურატურებისაგან. ეს სტრუქტურა შექმნილია შეიარაღებული ძალების აგებულების შესაბამისად, და ყველაზე უფრო მისაღებია იმ ამოცანების გადაწყვეტისათვის, რომლებიც სამხედრო პროკურატურის წინაშე დგას. ახალ დებულებას, „სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ“ კანონის შესაბამისად, შეაქვს ზოგიერთი დამატება სამხედრო პროკურატურის საშტატო შემადგენლობაში, კერძოდ, მთავარ სამხედრო პროკურატურაში იქმნება კოლეგია, განსაზღვრულია აგრეთვე მისი საქმიანობის წესი; სამხედრო ოლქების სამხედრო პროკურატურებში შემოღებულია განყოფილების პროკურორების, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლების, აგრეთვე სხვა თანამდებობები. დებულების შესაბამისად სამხედრო პროკურორებად და სამხედრო გამომძიებლებად ინიშნებიან უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე ოფიცრები, რომლებსაც აქვთ მაღალი პოლიტიკური და მორალური თვისებები. ყველანი ისინი იმყო-

ფებიან მოქმედ სამხედრო სამსახურში, მათზე ვრცელდება ყველა სამხედრო წესდება და დებულება, რომლებიც განსაზღვრავს სამხედრო სამსახურის გავლის წესს. სამხედრო პროკურორებზე და სამხედრო გამომძიებლებზე სამხედრო წესდების შესაბამისად ვრცელდება წახალისების და დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებანი, მაგრამ მათი წახალისებისა და დისციპლინური სასჯელის დადების უფლება თავისი კომპეტენციის ფარგლებში აქვთ მხოლოდ სამხედრო პროკურორებს, მთავარ სამხედრო პროკურორს და სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს. ასევე მხოლოდ პროკურატურის კომპეტენციაში შედის ამ პირების მიმართ სისხლის სამართლის საქმეთა აღძვრა და გამოძიება, ამასთანავე უთუოდ იმ ორგანოს თანხმობით, რომელმაც ისინი დანიშნა პროკურორის ან გამომძიებლის თანამდებობაზე.

ახალ დებულებაშიც, ისევე როგორც ადრე მოქმედში, ჩამოთვლილია სამხედრო პროკურატურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები. მათ შორის: სამხედრო მმართველობის ყველა ორგანოს პასუხისმგებელი პირებისა და სამხედრო მოსამსახურეების მხრივ კანონებისა და სამხედრო წესდებების შესრულებისადმი ზედამხედველობა (საერთო ზედამხედველობა), შეიარაღებულ ძალებში მოქმედი მოკვლევის ორგანოების და სამხედრო პროკურატურის გამომძიებლების მხრივ კანონების შესრულებისადმი ზედამხედველობა, სამხედრო ტრიბუნალებში საქმეების განხილვის დროს კანონების შესრულებისადმი ზედამხედველობა.

ამასთან ერთად ახალ დებულებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ სამხედრო პროკურატურა იბრძვის შეიარაღებულ ძალებში დამნაშავეობის, სოციალისტური საკუთრების დაცვის კანონების დარღვევისა და სხვა სამართალდარღვევათა წინააღმდეგ.

ამის შესაბამისად სამხედრო პროკურორები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ იმ სამართალდარღვევებთან ბრძოლას, რომლებიც უშუალო ზეგავლენას ახდენს ჯარების საბრძოლო მზადყოფნაზე, საბრძოლო მორიგეობის, სამხედრო ტექნიკის ექსპლოატაციის წესების დაცვაზე და არმიაში სამსახურის სხვა საშიშ დარღვევებზე. ამ საქმიანობაში ცენტრალური ადგილი უჭირავს სამართალდარღვევების პროფილაქტიკას, მათი ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოვლენას.

ადრინდელისაგან განსხვავებით ახალი დებულების ცალკეულ მუხლებში დაწვრილებით არის მოწესრიგებული სამხედრო პროკურორის უფლებამოსილებანი საპროკურორო ზედამხედველობის ყველა დარგში. მაგალითად. მე-18 მუხლი განსაზღვრავს, რომ სამხედრო მმართველობის ორგანოების, პასუხისმგებელი პირებისა და სამხედრო მოსამსახურეთა მხრივ კანონებისა და სამხედრო წესდებების განუხრელი შესრულება შეიარაღებულ ძალებში კანონიერების უზრუნველყოფის აუცილებელი პირობაა. ამიტომ დებულებაში განსაზღვრულია სამხედრო პროკურორის საქმიანობის სფერო საერთო ზედამხედველობის განხორციელებაში „სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ" კანონის პირველი თავის დებულებების შესაბამისად. მათ შორის მისი უფლება შესამოწმებლად გამოითხოვოს ბრძანებები და სამხედრო მმართველობის ორგანოების სხვა სამართლებრივი აქტები, მოითხოვოს საჭირო დოკუმენტების წარმოდგენა, რევიზიებისა და შემოწმებების ჩატარება, გამოიძახოს პასუხისმგებელი

პირები, სამხედრო მოსამსახურეები და სხვა მოქალაქეები, რათა მათ ახსნა-განმარტება მისცენ კანონის დარღვევის თაობაზე.

სამხედრო პროკურორი აპროტესტებს უკანონო სამართლებრივ აქტებს, სისხლის სამართლის პასუხისგებაში აძლევს დამნაშავე პირებს, აღძრავს წარმოებას დისციპლინური ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო, აფრთხილებს კანონის დარღვევის დაუშვებლობის შესახებ, შეაქვს წარდგინებები მეთაურებთან, სხვა პასუხისმგებელ პირებთან, კანონებისა და სამხედრო წესდებების დარღვევის, მათი წარმომშობი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების თაობაზე. სამხედრო პროკურორის მოთხოვნა სავალდებულოა შეასრულოს ყველა ორგანომ, პასუხისმგებელმა პირმა, სამხედრო მოსამსახურემ და სხვა მოქალაქემ, ვისაც იგი შეეხება (მუხლი მე-19).

საპროკურორო ზედამხედველობა არის კანონიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტია მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების საქმიანობაში. საგამოძიებო მუშაობა სამხედრო პროკურორების მუდმივი ყურადღების ცენტრშია, და მას ისე წარმართავენ, რომ არც ერთი დანაშაული არ დარჩეს გაუხსნელი, ხოლო სისხლის სამართლის საქმე გამოძიებულ იქნეს ოპერატიულად, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად, კანონის მკაცრი დაცვით.

დებულების 23-ე მუხლში განმარტებულია ამ დარგში სამხედრო პროკურორის უფლებამოსილებანი. მასში, კერძოდ, ხაზგასმულია, რომ სამხედრო პროკურორის მითითებები და დავალებები სავალდებულოა შეიარაღებულ ძალებში მოქმედი მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოებისათვის მათ მიერ აღძრულ და გამოძიებულ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით. სამხედრო პროკურორის მითითებები და დავალებები, რომლებსაც იძლევა საზედამხედველო საქმეებზე, სავალდებულოა აგრეთვე მილიციის და მოკვლევის სხვა ნებისმიერი ორგანოებისათვის.

დებულებაში პირველად არის შეტანილი ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ვადებს, მათი გაგრძელების წესებს, სამხედრო პროკურორების უფლებებს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ან დაპატიმრების სანქციის გაცემისას, ჩამოთვლილი არიან სამხედრო პროკურორები, რომლებსაც უფლება აქვთ გასცენ დაპატიმრების სანქცია. დებულებით დადგენილია აგრეთვე სამხედრო პროკურატურის გამომძიებლის უფლება, მოკვლევის ნებისმიერ ორგანოს მისცეს მითითება ან დავალება საგამოძიებო და სამძებრო ღონისძიებების განხორციელების გამო, და მოსთხოვოს დახმარება გამოძიების დროს. განსაზღვრულია სამხედრო გამომძიებლის წარდგინებათა განხილვის წესი, დაწვრილებით არის გადმოცემული, თუ რა სახის სისხლის სამართლის საქმეები ექვემდებარებათ სამხედრო პროკურატურის გამომძიებლებს. (მუხ. 31-32).

სამხედრო პროკურატურა ეწევა შეიარაღებულ ძალებში დანაშაულებათა ერთიან აღრიცხვას. დებულება ავალდებულებს მეთაურებს დაუყოვნებლივ აცნობონ შესაბამის სამხედრო პროკურორს თითოეული დანაშაულის შესახებ, როგორც ეს გათვალისწინებულია სამხედრო წესდებითა და შეიარღებულ ძალებში მოქმედი მოკვლევის ორგანოების ინსტრუქციით.

სამხედრო პროკურორების მუშაობაში დიდი ადგილი ეთმობა კანონების

შესრულებისადმი ზედამხედველობას სამხედრო ტრიბუნალებში საქმეთა განხილვის დროს.

ახალი დებულება უფრო სრულად და დაწვრილებით განსაზღვრავს პროკურატურის უფლებამოსილებას ზედამხედველობის ამ დარგში, მათ შორის საკასაციო, კერძო პროტესტების შეტანის წესს, ჩამოთვლის იმ სამხედრო პროკურორებს, რომლებსაც უფლება აქვთ ზედამხედველობის წესით პროტესტის შეტანისა სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილებაზე, განაჩენებზე, განჩინებებსა და დადგენილებებზე, აგრეთვე შეაჩერონ მათი აღსრულება. (მუხ. 26-29).

სამხედრო პროკურორების მოვალეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბანია განცხადებებსა და საჩივრებზე მუშაობა. დებულების მე-8 მუხლი ავალდებულებს პროკურორებს დადგენილი წესით განიხილონ წინადადებები, განცხადებები და საჩივრები, მიიღონ ზომები სამხედრო მოსამსახურეების, მათი ოჯახის წევრების, სხვა მოქალაქეთა კანონიერი ინტერესების დაცვისა და დარღვეული უფლებების აღდგენისათვის. სამხედრო პროკურორი ამოწმებს სამხედრო მეთაურებთან და სამხედრო დაწესებულებების უფროსებთან შესული განცხადებებისა და საჩივრების განხილვისა და გადაწყვეტის კანონიერებას, პირადად იღებს სამხედრო მოსამსახურეებსა და სხვა მოქალაქეებს.

სამხედრო პროკურატურის ახალი დებულება საბჭოთა სამხედრო კანონმდებლობის სრულყოფის, სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილია. მასში განსაზღვრულია სამხედრო პროკურატურის საქმიანობის ამოცანები, ძირითადი მიმართულებები და პრინციპები. ყოველივე ამას. აგრეთვე წინასწარი გამოძიების დროს სამხედრო გამომძიებლების უფლებამოსილებათა დაწვრილებითს რეგლამენტაციას დიდი მნიშვნელობა აქვს სამხედრო პროკურატურის ორგანოებისათვის. სამხედრო პროკურატურის დებულება მოწოდებულია ხელი შეუწყოს თითოეული სამხედრო პროკურორის და სამხედრო გამომძიებლის მიერ ფუნქციების უფრო ზუსტად შესრულებას, ავალებს მათ მუშაობის შემდგომ აქტივიზაციას კანონიერებისა და სამხედრო დისციპლინის განმტკიცებაში, სამართალდარღვევებთან ბრძოლაში, მთელი საპროკურორო-საგამოძიებო საქმიანობის დონის ამაღლებაში, სკკპ XXVI ყრილობის მითითებებისა და „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 აგვისტოს დადგენილების შესაბამისად.

# ცვლილებები შრომის კანონმდებლობაში და შრომის დისციპლინის მომწესრიგებელი უმნიშვნელოვანესი ნორმები

გ. ზონია,
ადვოკატი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა აღნიშნა, რომ „გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის ყოველგვარ დარღვევებს“, ხოლო მოსკოვის სერგო ორჯონიკიძის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის კოლექტივთან შეხვედრისას თქვა, რომ „ჩვენ გვჭირდება შეგნებული, მუშური დისციპლინა, ისეთი, რომელიც წარმოებას დააწინაურებს. ჩვენ დისციპლინისათვის ბრძოლა მეტი შინაარსით უნდა შევავსოთ, უშუალოდ საწარმოო დავალებების შესრულებას დავუკავშიროთ, მაშინ არ იქნება, ასე ვთქვათ, აბუქება, მაშინ შესრულდება ის, რაც პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა დასახა“.

საბჭოთა ხალხმა ერთსულოვნად მოიწონა პლენუმის გადაწყვეტილებები და პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის სიტყვა, რომლებიც დიდ ზემოქმედებას ახდენს ჩვენი ქვეყნის მთელ ცხოვრებაზე, ხელსაყრელ პირობებს ქმნის კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე ახალი წარმატებების მისაღწევად.

წინამდებარე სტატიის მიზანია განვიხილოთ უკანასკნელ პერიოდში შრომის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები, ამასთანავე მკითხველებს გავაცნოთ ნორმები, რომლებიც აწესრიგებს შრომის დისციპლინის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების დადგენილებებიდან გამომდინარე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1983 წლის 12 აგვისტოს ბრძანებულებით შრომის დისციპლინის განმტკიცების მიზნით კანონმდებლობაში შეიტანა ცვლილებები და დამატებები.

ბრძანებულებით დადგენილია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების მე-16 მუხლის ახალი რედაქცია, რომლის მიხედვითაც მუშა-მოსამსახურეებს უფლება აქვთ გააუქმონ განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომის ხელშეკრულება, მაგრამ ამის შესახებ ადმინისტრაციას წერილობით უნდა აცნობონ ორი თვით ადრე. საპატიო მიზეზით შრომის ხელშეკრულების გაუქმების ნებართვის მისაღებად მუშა-მოსამსახურეები მოვალენი არიან ადმინისტრაციას წერილობით შეატყობინონ ერთი თვით ადრე. ამასთან იმ სამუშაოს შესრულების დრო, რომელზეც მუშა ან მო-

სამსახურე გადაყვანილია შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, დათხოვნის შესახებ გაფრთხილების ვადაში არ ითვლება.

შრომის კანონმდებლობის საფუძვლებში შეტანილია ცვლილება იმ მხრივაც, რომ განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომის ხელშეკრულება, აგრეთვე ვადიანი შრომის ხელშეკრულება მისი მოქმედების ვადის გასვლამდე შეიძლება გააუქმოს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციამ არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში (მათ შორის სამუშაო დღის მანძილზე სამ საათზე მეტი ხნით გაცდენის შემთხვევაში).

შრომის კანონმდებლობის 35-ე მუხლში შეტანილია დამატება. მუშა-მოსამსახურემ ოჯახური მდგომარეობისა და სხვა საპატიო მიზეზის გამო მისი განცხადებით მიღებული მოკლევადიანი უხელფასო შვებულება ადმინისტრაციასთან შეთანხმებით შეიძლება აანაზღაუროს შემდგომ პერიოდში, წარმოების პირობებისა და შესაძლებლობათა გათვალისწინებით. ბრძანებულებით მუშა-მოსამსახურეს, რომლის მიზეზითაც შრომითი მოვალეობის შესრულების დროს საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას მიადგა ზარალი, ეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა პირდაპირი ნამდვილი ზარალის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს საშუალო თვიური ხელფასის მესამედისა. ამ ოდენობით ზარალის ანაზღაურება ხდება ადმინისტრაციის განკარგულებით ხელფასიდან დაკავებით. ამასთანავე ადმინისტრაცია მოვალეა განკარგულება გასცეს არა უგვიანეს ორი კვირისა, მუშაკის მიერ მიყენებული ზარალის აღმოჩენის დღიდან და შესრულდეს არა უგვიანეს შვიდი დღისა, როცა მუშაკს ამას აცნობებენ. თუ მუშაკი არ დაეთანხმება გამოქვითვას ან მის ოდენობას, შრომის დავა მისი განცხადების საფუძველზე განიხილება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუშაკს ზარალისათვის სრული მატერიალური პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ შემთხვევაში, თუ იგი მთვრალმა მიაყენა.

ბრძანებულებით შეტანილია ცვლილება შრომის დისციპლინის დარღვევისათვის დისციპლინური სასჯელების ნუსხაში. თუ მუშაკი სისტემატურად არღვევს შრომის დისციპლინას, არასაპატიო მიზეზით აცდენს სამუშაოს ან ნასვამი ცხადდება, იგი შეიძლება გადაყვანილ იქნეს ნაკლებ ხელფასიან სამუშაოზე ან სხვა დაბალ თანამდებობაზე სამ თვემდე ვადით.

ბრძანებულებით შეიცვალა აგრეთვე შრომის დავის გადაჭრისათვის მიმართვის ვადები. მუშა-მოსამსახურემ შრომის დავის კომისიას შეიძლება მიმართოს სამი თვის ვადაში იმ დღიდან, როცა მან შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი შრომის უფლებების დარღვევა.

ადმინისტრაციამ მუშაკის მიერ საწარმოსათვის, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის გადახდევინებისათვის სასამართლოს შეუძლია მიმართოს მუშაკის მიერ მიყენებული ზარალის აღმოჩენის დღიდან ერთი წლის ვადაში. საპატიო მიზეზით ამ ვადის გადაცილების დროს იგი შეიძლება აღადგინონ შესაბამისად შრომითი დავის კომისიამ და სასამართლომ.

საკუთარი სურვილით დათხოვნილ პირთა შრომითი მოწყობის დროის შემცირების მიზნით გათვალისწინებულია, რომ ამ პირებს მუშაობის უწყვეტი სტაჟი უნარჩუნდებათ იმ პირობით, თუ ისინი სამუშაოზე მოეწყობიან სამი კვირის ვადაში დათხოვნის დღიდან.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს 1983 წლის 10 აგვისტოს დადგენილებით „შრომის დისციპლინის განმტკიცების დამატებითი ღონისძიებების შესახებ“ გათვალისწინებულია მთელი რიგი ღონისძიებანი დისციპლინის ამაღლებისა და კადრების დენადობის შემცირებისათვის. გაერთიანებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელები, პროფკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან უფრო ფართოდ გამოიყენონ ის პრაქტიკა, რომ წახალისების ფონდის ხარჯზე დამატებითი შეღავათები და უპირატესობანი დაუწესონ წარმოების მოწინავეებსა და ნოვატორებს, აგრეთვე იმ პირებს, რომლებიც დიდხანს კეთილსინდისიერად მუშაობენ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, უფრო სრულად გაითვალისწინონ მუშების, მოსამსახურეების, კოლმეურნეების შრომის შედეგები შვებულებების დროის განსაზღვრისას, ბინების, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურების განაწილებისას.

კეთილსინდისიერად მომუშავე მუშაკებს უწყვეტი სტაჟისათვის დამატებითი შვებულების მეორე და მესამე დღე მიეცემათ არა ყოველი ორი წლის შემდეგ, როგორც ეს გათვალისწინებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1979 წლის 13 დეკემბრის დადგენილებით, არამედ მუშაობის ყოველი წლისათვის.

დადგენილებით საჭიროდ არის მიჩნეული, რომ გამცდენებისა და შრომის დისციპლინის სხვა ბოროტი დამრღვევების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით განხორციელდეს ზემოქმედების ღონისძიებანი, კერძოდ, მუშა-მოსამსახურეებს, რომლებმაც სამუშაო გააცდინეს არასაპატიო მიზეზით, შესაბამის წელს მორიგი შვებულება შეუმცირდებათ გაცდენილი დღეების რიცხვის მიხედვით, ამასთან შვებულება არ უნდა იყოს ორ სამუშაო კვირაზე (12 სამუშაო დღეზე) ნაკლები.

მუშაკი, რომელიც შრომის დისციპლინის დარღვევისათვის გადაყვანილია სხვა ნაკლებხელფასიან სამუშაოზე სამ თვემდე ვადით ან სხვა დაბალ თანამდებობაზე იმავე ვადით — ამ პერიოდში საკუთარი სურვილით სამუშაოდან ვერ გათავისუფლდება.

მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც დათხოვნილი არიან შრომის დისციპლინის სისტემატური დარღვევისათვის, არასაპატიო მიზეზით სამუშაოს გაცდენისათვის ან სამუშაოზე ნასვამი გამოცხადებისათვის, ახალ სამუშაო ადგილას პრემია ექვსი თვის მანძილზე მიეცემათ ნახევარი ოდენობით. თუ პირველ სამ თვეში მუშაკი კეთილსინდისიერად მოეკიდება თავისი შრომითი მოვალეობის შესრულებას, პროფკავშირულ კომიტეტთან შეთანხმებით და კოლექტივის აზრის გათვალისწინებით ადმინისტრაციას შეუძლია გადაწყვიტოს შემდეგომში პრემიის სრული ოდენობით მიცემის საკითხი.

დადგენილებით შრომის დისციპლინის უხეშ დარღვევად არის მიჩნეული სამუშაოზე ნასვამი გამოცხადება ან სამუშაო ადგილას სპირტიანი სასმელების მიღება.

სსრ კავშირის კონსტიტუციით თითოეული შრომისუნარიანი მოქალაქის მოვალეობა და ღირსების საქმეა კეთილსინდისიერად შრომობდეს საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის არჩეულ დარგში, იცავდეს შრომის დისციპლინას. საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის თავის არიდება შეუთავსებელია სოციალისტური საზოგადოების პრინციპებთან.

საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეების ტიპობრივ შრომითს შინაგანაწესში,, რომელიც საკავშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებით დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის 1972 წლის 22 სექტემბრის № 258 დადგენილებით აღნიშნულია, რომ მუშა-მოსამსახურეები ვალდებული არიან იმუშაონ პატიოსნად და კეთილსინდისიერად, დაიცვან შრომის დისციპლინა, დროზე გამოცხადდნენ სამუშაოზე, დაიცვან სამუშაო დღის დადგენილი ხანგრძლივობა, მთელი სამუშაო დრო გამოიყენონ ნაყოფიერად, დროულად და ზუსტად შეასრულონ ადმინისტრაციის განკარგულებანი და ა. შ.

ტიპობრივი შინაგანაწესით გათვალისწინებულია აგრეთვე იმ მუშა-მოსამსახურეთა წახალისება შრომაში წარმატებებისათვის, რომლებიც შრომითს მოვალეობას სანიმუშოდ ასრულებენ, იმარჯვებენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ამაღლებენ შრომის ნაყოფიერებას, უშვებენ მაღალხარისხოვან პროდუქციას, ხანგრძლივად და უმწიკვლოდ მუშაობენ, არიან წარმოების ნოვატორები. მათ მიმართ გამოიყენება წახალისების შემდეგი სახეები: მადლობის გამოცხადება, პრემიის გაცემა, ძვირფასი საჩუქრით დაჯილდოება, საპატიო სიგელით დაჯილდოება, საპატიო წიგნში და საპატიო დაფაზე შეტანა.

წახალისება გამოქვეყნდება ბრძანებით ან განკარგულებით, ეცნობება მთელ კოლექტივს და შეიტანება მუშაკის შრომის წიგნაკში.

შრომის კანონმდებლობა საწარმო-დაწესებულებათა ადმინისტრაციას (ხელმძღვანელს) ანიჭებს უფლებას, რომ მუშა-მოსამსახურეს, რომელიც არღვევს შრომის დისციპლინას, არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს დაკისრებულ შრომით მოვალეობას, დაადოს დისციპლინური სასჯელი ან ეანაზღაურებელოს საზოგადოებრივი ზემოქმედების სხვა ზომა. შრომის დისციპლინის დარღვევისათვის გამოიყენება შემდეგი დისციპლინური სასჯელი: შენიშვნა, საყვედური, სასტიკი საყვედური, ნაკლები ანაზღაურების სამუშაოზე გადაყვანა სამ თვემდე ვადით, ან თანამდებობიდან ამავე ვადით ჩამოქვეითება, სამუშაოდან დათხოვნა.

სასჯელის ზომის არჩევის დროს საწარმოს ადმინისტრაცია ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გონივრულად უნდა მიუდგეს საკითხს, რომ სასჯელის სახე შეესაბამებოდეს გადაცდომის ხარისხს, მხედველობაში მიიღოს გარემოებანი, რომელშიც მოხდა შრომის დისციპლინის დარღვევა, აგრეთვე დამრღვევის პიროვნება და მისი შრომითი მოღვაწეობა.

დისციპლინური სასჯელის სახით მუშაკის ნაკლები ანაზღაურების სამუშაოზე გადაყვანა სამ თვემდე ვადით, ან თანამდებობიდან იმავე ვადით ჩამოქვეითება დაიშვება მხოლოდ მოცემულ საწარმო-დაწესებულებაში სპეციალობის (პროფესიის) მხედველობაში მიღებით.

პრაქტიკაში ხშირად უშვებენ კანონის დარღვევას, დისციპლინური სასჯელის სახით მუშაკი გადაჰყავთ ნაკლები ანაზღაურების სამუშაოზე ან დაბალ თანამდებობაზე არა მისი საწარმოსა თუ დაწესებულების ფარგლებში, არამედ ტერიტორიულად სხვა ადგილას — სისტემის ობიექტებში, რაც დაუშვებელია. თუ მუშაკის სამუშაო ადგილას არ არის სპეციალობის (პროფესიის) მიხედვით შესაფერისი სამუშაო, მაშინ მის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს დისციპლინური სასჯელის სხვა სახე.

თუ დისციპლინური სასჯელის სახით ნაკლები ანაზღაურების სამუშაოზე

გადაყვანის ან თანამდებობიდან ჩამოქვეითების პერიოდში მუშაკი ავად ვახდა, ადმინისტრაციას არა აქვს უფლება გადაყვანის ვადა გააგრძელოს ავადმყოფობის დღეების მიხედვით.

ზოგჯერ შეიძლება შრომის დისციპლინის დამრღვევს საერთოდ არ დაედოს დისციპლინური სასჯელი. საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაციას უფლება აქვს დისციპლინური სასჯელის გამოყენების ნაცვლად შრომის დისციპლინის დამრღვევის საკითხი განსახილველად გადასცეს ამხანაგურ სასამართლოს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას. დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს გადაცდომის საკითხის კოლექტივის კრებაზე ან საზოგადოებრივ ორგანიზაციაში განხილვას. საქმის ამ გზით წარმართვა აღმზრდელობითს ზეგავლენას ახდენს არა მარტო შრომის დისციპლინის დამრღვევზე, არამედ სხვებზეც.

დისციპლინურ სასჯელს მხოლოდ მაშინ აქვს ძალა, როცა დაცულია შრომის შინაგანაწესით განსაზღვრული წესი. კერძოდ, სასჯელის დადებამდე შრომის დისციპლინის დამრღვევისაგან მიღებულ უნდა იქნეს ახსნა-განმარტება წერილობით ან სიტყვიერად.

დისციპლინური სასჯელის დადება ხდება უშუალოდ გადაცდომის გამომჟღავნებისთანავე, მაგრამ არა უგვიანეს მისი გამოვლინებიდან ერთი თვისა, მუშაკის ავადმყოფობის ან მისი შვებულებაში ყოფნის დროის ჩაუთვლელად.

დისციპლინური სასჯელის დადება არ შეიძლება გადაცდომის ჩადენის დღიდან ექვს თვეზე გვიან. შრომის დისციპლინის ყოველი დარღვევისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ერთი დისციპლინური სასჯელი. დისციპლინური სასჯელი ცხადდება ბრძანებით (განკარგულებით) და მუშაკს სამი დღის ვადაში ეცნობება ხელწერილით. თუკი მუშაკი უარს აცხადებს დაადასტუროს ბრძანების გაცნობა ხელმოწერით, ამის თაობაზე ადმინისტრაციისა და პროფკავშირის წარმომადგენლები აკეთებენ სპეციალურ წარწერას ან ადგენენ აქტს. თუ სასჯელის დადებიდან ერთი წლის მანძილზე მუშას ან მოსამსახურეს არ დასდებია ახალი დისციპლინური სასჯელი, მაშინ მას მექანიკურად ეხსნება სასჯელი და იგი მიიჩნევა ისეთ პირად, რომელსაც სასჯელი არ ჰქონია.

თუ მუშამ ან მოსამსახურემ არ დაუშვა შრომის დისციპლინის ახალი დარღვევა და ამასთანავე თავი გამოიჩინა როგორც კარგმა და კეთილსინდისიერმა მუშაკმა, მაშინ ადმინისტრაციას შეუძლია გამოსცეს ბრძანება დადებული სასჯელის მოხსნის შესახებ, ისე, რომ არ დაელოდოს ერთი წლის გასვლას.

დავა, რომელიც წარმოიშვება დისციპლინური სასჯელის დადების გამო (გარდა დათხოვნისა), გადაწყდება „შრომითი დავის განხილვის წესის შესახებ დებულების“ მე-10 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. საკითხი პირველად განიხილება შრომითი დავის განმხილველ კომისიაში, შემდეგ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირულ კომიტეტსა და სასამართლოში.

პროფკავშირული კომიტეტის წევრები და პროფორგანიზატორები, რომლებიც თავიანთი ძირითადი სამუშაოდან არ არიან გათავისუფლებული, დისციპლინურ სასჯელს ასაჩივრებენ უშუალოდ სახალხო სასამართლოში.

მუშაკებს, რომლებსაც დისციპლინური პასუხისმგებლობა ეკისრებათ ხელქვეითობის წესით, შეუძლიათ დისციპლინური სასჯელები გაასაჩივრონ ქვემდებარეობით ზემდგომ ორგანოში, სადაც განცხადება უნდა განიხილონ არა უგ-

ვიანეს ათი დღისა მისი მიღებიდან და განხილვის შედეგი დაუყოვნებლივ აცნობონ დაინტერესებულ პირს.

თუ ბრძანება დისციპლინური სასჯელის დადების შესახებ მიჩნეულ იქნება უკანონოდ, მაშინ ზემდგომმა ორგანომ უნდა გამოსცეს ბრძანება მისი გაუქმების შესახებ.

დისციპლინური სასჯელი მორალური ზემოქმედების ზომაა, რომლის მიზანია მუშაკთა აღზრდა-გამოსწორება, ამიტომ სასჯელი მუშაკის შრომის წიგნაკში არ იწერება. ამ წესიდან გამონაკლისს შეადგენს ისეთი შემთხვევა, როცა მუშაკი სამუშაოდან დათხოვება დისციპლინური სასჯელის სახით. შრომის დისციპლინის დარღვევისა ან გაცდენისათვის ამ მიზეზით სამუშაოდან დათხოვნის დროს შრომის წიგნაკში გაკეთდება ჩანაწერი მოქმედი კანონმდებლობის ზუსტი ფორმულირებით კანონის შესაბამისი მუხლისა და პუნქტის მითითებით.

საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები ვალდებული არიან მტკიცედ დაიცვან შრომის კანონმდებლობა. ჯერ კიდევ ხშირია შემთხვევა, როცა მუშა-მოსამსახურეებს დისციპლინური სასჯელები არსებითად სწორად აქვთ დადებული, ასევე საფუძვლიანია სამუშაოდან მათი დათხოვნა, მაგრამ იმის გამო, რომ ამ ღონისძიების განხორციელების დროს არ არის დაცული კანონით დადგენილი წესი, შრომის დავის განმხილველი ორგანოები, ასრულებენ რა თავიანთ ვალდებულებებს, აუქმებენ ადმინისტრაციის ბრძანებებს დისციპლინური სასჯელის დადებისა თუ სამუშაოდან დათხოვნის შესახებ, მუშაკებს ეხსნებათ წესის დარღვევით დადებული სასჯელები, მათ აღადგენენ სამუშაოზე.

ასეთი ფაქტების თავიდან აცილებისათვის საჭიროა საწარმოთა ხელმძღვანელები კარგად ერკვეოდნენ შრომის კანონმდებლობაში, ხელმძღვანელობდნენ იურიდიული სამსახურის დასკვნებით, მუშა-მოსამსახურეებთან სისტემატურად ეწეოდნენ სამართლებრივ პროპაგანდას. პროფკავშირულმა კომიტეტებმაც სრულიად უნდა გამოიყენონ კანონით მინიჭებული უფლებები შრომის კანონმდებლობის დაცვისადმი კონტროლის შესახებ, განუხრელად შეასრულონ კანონის მოთხოვნები და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლო წლების დადგენილებები შრომის კანონმდებლობის მტკიცედ დაცვის აუცილებლობის შესახებ.

1983 წლის 15 აგვისტოს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში პარტიის ვეტერანებთან შეხვედრაზე წარმოთქმულ სიტყვაში ი. ვ. ანდროპოვმა აღნიშნა: „ავიღოთ, მაგალითად, დისციპლინის საკითხები. სოციალისტური საზოგადოების ბუნებას ახასიათებს შეგნებული დისციპლინა, რომლის შედეგია კარგი, კეთილსინდისიერი მუშაობა, ზოგან კი მოწოდება დისციპლინის განმტკიცების შესახებ მიიჩნიეს მხოლოდ სამუშაო საათებში თავიანთ სამუშაო ადგილზე თითოეული მუშაკის ყოფნისადმი შეუნელებელ ადმინისტრაციულ კონტროლად. რა თქმა უნდა, ამასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება, დავსაჯოთ გამცდენები, მაგრამ სხვა რამეზეც უნდა ვიზრუნოთ. რას გააკეთებს ადამიანი თავის სამუშაო ადგილას სამუშაო საათებში, როგორ არის იგი დატვირთული, როგორ ართმევს თავს თავის დავალებას, შექმნილი აქვს თუ არა ნაყოფიერი შრომისათვის საჭირო პირობები — ასეთ საკითხებზე, ეს კი გადამწყვეტი საკითხებია, ყველგან როდი იზრუნეს“.

# სოციალური გარემო და მოზარდთა სამართალდარღვევები*

მ. ზონია, ვ. გეინაცკაია

ახალი ადამიანის ფორმირება კომუნისტური პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში იქმნება კომუნისტური მორალისა და ზნეობის პრინციპების შემდგომი განმტკიცების, მომავალი თაობის განათლებისა და კულტურის დონის ამაღლების, ანტისაზოგადოებრივი გამოვლინების თავიდან აცილების ხელსაყრელი ნიადაგი. მაგრამ, შეცდომა იქნებოდა უგულებელგვეყო ანტისაზოგადოებრივი ამორალური ქცევისა და სამართალდარღვევების ფაქტები მოზარდთა მხრივ. არასწორი ოჯახური და სასკოლო აღზრდა, ცუდი გარემოცვა, უმეთვალყურეობა, თავისუფალი დროის გამოყენების პრობლემა და სხვა მიზეზები ხშირად იწვევს სამართალდარღვევებს მოზარდთა შორის.

მოზარდთა სამართალდარღვევებთან ეფექტიანი ბრძოლა შეუძლებელია დამნაშავეობის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების საფუძვლიანი კვლევის გარეშე. ამიტომ არის, რომ ბოლო ხანს რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ექცევა მოზარდთა სამართალდარღვევების მიზეზების მეცნიერულ კვლევას.

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს დამნაშავეობის სოციოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის მიერ ჩატარებული მოზარდთა სამართალდარღვევების მიზეზების კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგები.

გამოკვლევის ობიექტად შევარჩიეთ მოზარდები, რომლებმაც ჩაიდინეს სამართალდარღვევა და ამის გამო მოთავსებულ იქნენ რესპუბლიკის სპეციალურ აღმზრდელობითს დაწესებულებებში.

სპეციალურად შემუშავებული კითხვარით 1980-1981 წლებში გამოიკითხა ამ დაწესებულებებში მოთავსებული პირების უმრავლესობა. მიღებული ინფორმაცია დამუშავდა ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებზე.

რესპუბლიკაში არ არის სპეციალური აღმზრდელობითი დაწესებულება გოგონებისათვის, ამიტომ ჩვენ გამოვკითხეთ მხოლოდ ვაჟებს.

გამოკითხული მოზარდები ასაკის მიხედვით შემდეგნაირად განაწილდნენ: მცირეწლოვანმა სამართალდამრღვევებმა — 11-დან 14 წლამდე შეადგინა 28,19 პროცენტი, 14-16 წლამდე — 41,74 პროცენტი, ხოლო 16-18 წლამდე მოზარდებმა — 30,07 პროცენტი.

გარდამავალი ასაკის პირები ფსიქოლოგიური თავისებურებების გამო

---

* საქართველოს სსრ მაგალითზე.

ადრეული პერიოდიდან, დაახლოებით 13-14 წლიდან იწყებენ მიმბაძველობას, გამოირჩევიან ემოციური აგზნებადობით, დამოუკიდებლობის შეგრძნების ადრეული გამოვლინებით და ა. შ; ეს გარემოება ხშირად ხდება არასრულწლოვანის მიერ რთული ცხოვრებისეული სიტუაციის მცდარი შეფასების, ანტისაზოგადოებრივი ჩვევებისა და შეხედულებების ჩამოყალიბების მიზეზი, ამით შეიძლება აიხსნას მოზარდ სამართალდამრღვევთა ხვედრითი წილის საგრძნობი მომატება 14 წლის ასაკიდან.

ცნობილია, რომ ოჯახი ის მიკროგარემოა, სადაც იწყება პიროვნების სოციალიზაცია — ყალიბდება მოზარდის ზნეობრივი, სოციალური, ესთეტიკური შეხედულებანი. ამ თვალსაზრისით იგი გვევლინება უმნიშვნელოვანეს სოციალურ ინსტიტუტად, რომელშიც საფუძველი ეყრება მოზარდის ზნეობრივი აღზრდის რთულ პროცესს.

გამოკვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ სამართალდამრღვევი მოზარდების მნიშვნელოვანი ნაწილის ოჯახებში არ არის შექმნილი ნორმალური აღზრდისათვის ხელსაყრელი პირობები. კერძოდ, გამოკითხულთა 31,21 პროცენტს გარდაცვლილი ჰყავს ერთ-ერთი ან ორივე მშობელი, 24,81 პროცენტის მშობლები განქორწინებული არიან, ხოლო 4,14 პროცენტის ერთ-ერთი მშობელი პატიმრობაშია. ამგვარად, იმ მოზარდთა ხვედრითი წილი, რომლებსაც მშობელთა გარდაცვალების, განქორწინების, ან პატიმრობაში ყოფნის გამო ოჯახში შექმნილი აქვთ აღზრდისათვის არახელსაყრელი პირობები, მეტად დიდია. იგი შეადგენს 60,16 პროცენტს, ანუ გამოკითხულ მოზარდთა ნახევარზე მეტს.

გარდა ამისა აღმოჩნდა, რომ ოჯახიდან წასული მშობლების დიდი ნაწილი შეუწყნარებელ გულგრილობას იჩენს მიტოვებული შვილების მიმართ. კერძოდ, მათგან ხშირად ხვდება შვილებს მხოლოდ 15,15 პროცენტი, იშვიათად ან ძალზე იშვიათად — 36,36 პროცენტი, ხოლო სრულიად არა აქვს კონტაქტი შვილებთან 48,48 პროცენტს, ანუ თითქმის ნახევარს. სიტუაციას ისიც ამძიმებს, რომ, როგორც აღმოჩნდა, ოჯახიდან წასული მშობლების დაახლოებით 1/3 (36,36 პროცენტი) არა მარტო მშობლიური სითბოთი არ ანებივრებს შვილებს, არამედ მატერიალურ დახმარებასაც კი არ უწევს მათ — არ იხდის ალიმენტს.

ბავშვთა და მოზარდთა ყოველდღიური ურთიერთობა ოჯახის უფროს წევრებთან, უპირველესად კი მშობლებთან, მათთვის პირველი სოციალური გამოცდილების მიღების წყაროდ გვევლინება.

ცნობილია, რომ ისეთ ოჯახებში, სადაც ხშირია კონფლიქტები, მოზარდთა და ოჯახის უფროს წევრთა დამოკიდებულება არ ემყარება ურთიერთგაგებასა და პატივისცემას, იქმნება ცუდი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, რასაც ხშირად მძიმედ განიცდიან მოზარდები.

ამას ადასტურებს გამოკვლევის შედეგები. გამოკითხულთა 51,50 პროცენტმა უარყოფითად შეაფასა საკუთარ ოჯახში შექმნილი მორალური ატმოსფერო, 30,82 პროცენტმა აღნიშნა, რომ არ მოსწონს ან ძალიან არ მოსწონს ატმოსფერო, რომელშიც იზრდება, 10,53 პროცენტმა კი თავი შეიკავა ამ კითხვაზე პასუხის გაცემისაგან, რაც ჩვენი აზრით, აგრეთვე დადებითად არ ახასიათებს მათს ოჯახებში შექმნილ ატმოსფეროს.

ოჯახში შექმნილ მორალურ-ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს უმეტესად განსაზღვრავს მშობელთა ურთიერთდამოკიდებულება. იმ მოზარდთაგან, რომლებიც ორივე მშობელთან ერთად იზრდებოდნენ, 41,53 პროცენტმა შეაფასა მშობელთა ურთიერთდამოკიდებულება დადებითად, ხოლო 32,24 პროცენტმა ანუ თითქმის მესამედმა მშობელთა ურთიერთდამოკიდებულებას უარყოფითი ან ძალზე უარყოფითი შეფასება მისცა. გარდა ამისა, გამოკითხულთა 48,50 პროცენტმა აღნიშნა, რომ მათს ოჯახებში ხშირია კონფლიქტები, რაც გამოიხატება ჩხუბსა და აყალმაყალში, მთვრალ დებოშში, ფიზიკურ შეურაცხყოფაში.

საყურადღებოა, რომ გამოკითხულთა 20,68 პროცენტის ოჯახებში სისტემატიურად ლოთობენ მამები, ხოლო 6,77 პროცენტის ოჯახებში — დედები.

საინტერესო იყო იმის დადგენა, თუ როგორ აფასებენ გამოკითხული მოზარდები ოჯახის უფროს წევრთა დამოკიდებულებას მათ მიმართ. გამოკითხულთა მხოლოდ 40,60 პროცენტმა მიუთითა, რომ ოჯახის უფროსი წევრები მათ მიმართ მზრუნველობას იჩენენ, 19,17 პროცენტმა აღნიშნა, რომ ოჯახში თრგუნავენ მის პიროვნებას, 10,90 პროცენტმა განაცხადა, რომ ოჯახში მას სულიერად ამახინჯებენ, 1,13 პროცენტმა კი უჩვენა, რომ იყენებენ თავიანთი პარაზიტული არსებობისათვის და ა. შ.

ამიტომ უნდა გვევარაუდა, რომ მშობლების ასეთი დამოკიდებულება შვილებისადმი უარყოფითად აისახებოდა მოზარდთა ფსიქიკაზე. გამოკვლევის შედეგებმა სავსებით დაადასტურა ეს ვარაუდი. კერძოდ, მოზარდთა 26,60 პროცენტმა, რომელთაც ცოცხალი ჰყავთ მამა, თავისი უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა მათ მიმართ, ხოლო ასეთივე დამოკიდებულება აღმოაჩნდა დედების მიმართ მოზარდთა 11,93 პროცენტს.

განსაკუთრებით საინტერესო იყო გაგვერკვია თუ რით ხსნიდნენ მოზარდები ხშირ კონფლიქტებს ოჯახებში. გამოკითხულთა მხოლოდ 5,26 პროცენტი თვლის უსიამოვნების მიზეზად ცუდ მატერიალურ პირობებს და 7,02 პროცენტი — ცუდ საბინაო პირობებს, რაც შეეხება დანარჩენ მოზარდებს, 33.33 პროცენტი ოჯახში კონფლიქტებს ხსნის ერთ-ერთი უფროსი წევრის ცუდი ხასიათით, 26,32 პროცენტი ამის მიზეზად ოჯახის უფროს წევრთა უკულტურობას ასახელებს, ხოლო 52.63 პროცენტი, ანუ ნახევარზე მეტი — ლოთობას.

გამოკითხვის დროს გარკვეული ყურადღება დაეთმო აგრეთვე მოზარდთა მატერიალურ მდგომარეობას. აღმოჩნდა, რომ 33,46 პროცენტი ანუ დაახლოებით მესამედი მიიჩნევს, რომ მისი ოჯახი ცხოვრობს ღარიბად ან ძალიან ღარიბად, 50,75 პროცენტი თვლის, რომ მისი ოჯახი ცხოვრობს საშუალოდ და მხოლოდ 13,53 პროცენტი აღნიშნავს, რომ ოჯახი მატერიალურად კარგად არის უზრუნველყოფილი. იმისათვის, რომ დაგვედგინა, თუ რამდენად სწორად აფასებენ მოზარდები თავიანთი ოჯახების მატერიალურ მდგომარეობას, შევისწავლეთ მათი ოჯახების საშუალო თვიური შემოსავალი.

მიღებული მონაცემებით, გამოკითხულთა ოჯახების მატერიალური მდგომარეობა საშუალოდ უფრო უარესია, ვიდრე ამას თვით მოზარდები მიიჩნევენ. კერძოდ, გამოკითხულთა 54,89 პროცენტის ანუ ნახევარზე მეტის ოჯახის თვიური შემოსავალი საშუალოზე დაბალი ან მნიშვნელოვნად დაბალია. მა-

შინ როდესაც საშუალოზე მაღალი ან მნიშვნელოვნად მაღალი შემოსავალი აქვს მხოლოდ მოზარდთა ოჯახების 10,15 პროცენტს.

ამგვარად, გამოკითხული მოზარდების მნიშვნელოვანი ნაწილის ოჯახებში შექმნილია არასახარბიელო ვითარება როგორც მორალურ-ფსიქოლოგიური, ასევე მატერიალური თვალსაზრისით. ამიტომ დიდია ისეთი ოჯახების ხვედრითი წილი, სადაც ძნელია სასურველი აღმზრდელობითი შედეგის მიღწევა. ოჯახში შექმნილი კონფლიქტური სიტუაცია, დაძაბული ფსიქოლოგიური ატმოსფერო უარყოფითად მოქმედებს ბავშვისა და მოზარდის პიროვნების ჩამოყალიბებაზე, მორალურ ტრავმას აყენებს მას, რასაც საბოლოო ანგარიშით შეიძლება სერიოზული ნეგატიური შედეგები მოჰყვეს.

გამოკვლევის დროს დიდი ყურადღება დავუთმეთ მოზარდთა სასკოლო აღზრდის საკითხებს, რადგან სკოლა ის საზოგადოებრივი კოლექტივია, რომელსაც ოჯახთან ერთად მნიშვნელოვანი როლი აკისრია მოზარდთა სწორი აღზრდის საქმეში.

გამოკვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ სკოლაში ცუდად და ძალიან ცუდად სწავლობდა გამოკითხულთა 56,39 პროცენტი, დამაკმაყოფილებლად — 38,72 პროცენტი, ხოლო კარგად — მხოლოდ 4,89 პროცენტი, 59,02 პროცენტი დარჩენილი იყო კლასში. აღსანიშნავია, რომ 17,29 პროცენტი გარიცხული იყო სასწავლებლიდან.

გამოკითხულ მოზარდთა აკადემიური წარმატების მეტად დაბალმა დონემ წამოჭრა იმის დადგენის საჭიროება, თუ როგორ პირობებში უხდებოდათ მათ გაკვეთილების მომზადება, როგორი იყო ოჯახის უფროს წევრთა ინტერესი მათი აკადემიური წარმატებისადმი და ა. შ.

გამოკითხულთა 34,96 პროცენტის ოჯახებში სრულ გულგრილობას იჩენდნენ მოზარდთა აკადემიური წარმატებისადმი, ხოლო 13,91 პროცენტმა ვერ გაგვცა გარკვეული პასუხი ამ კითხვაზე, რაც ალბათ მოზარდთა ამ ნაწილის აკადემიური წარმატებისადმი მათი ოჯახის წევრების ინდიფერენტულობაზე უნდა მიგვანიშნებდეს.

გარდა ამისა, 24,81 პროცენტმა აღნიშნა, რომ ცუდ და ძალიან ცუდ პირობებში უხდებოდა გაკვეთილების მომზადება. კერძოდ, მათგან 63,64 პროცენტმა მიუთითა, რომ არ ჰქონდა სამეცადინო ადგილი, 24,24 პროცენტმა — რომ ოჯახის წევრები არ უქმნიდნენ სათანადო პირობებს სამეცადინოდ, ხოლო 27,24 პროცენტმა განაცხადა, რომ ოჯახის წევრები ხელს უშლიდნენ მეცადინეობაში.

ცნობილია, რომ დაბალი აკადემიური წარმატება ხშირად ხდება მოზარდების სკოლის კოლექტივიდან გაუცხოების მიზეზი, მოქმედებს მათს ურთიერთობაზე როგორც პედაგოგებთან, ასევე თანაკლასელებთან.

აღმოჩნდა, რომ გამოკითხულ მოზარდთა 57,89 პროცენტს არ ჰყავდა საყვარელი მასწავლებელი, 36.84 პროცენტს — ახლო მეგობარი თანაკლასელთა შორის, ხოლო მოზარდთა დაახლოებით 1/3-მა ასე თუ ისე უარყოფითად დაახასიათა ურთიერთდამოკიდებულება თანატოლებთან.

რაც შეეხება მოზარდთა ქცევას სასწავლებელში, აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი ხშირად არღვევდა დისციპლინას სკოლაში.

კერძოდ, მათი ულირსი საქციელი გამოიხატებოდა ხულიგნობით, ჩხუბით, თანატოლთა და პედაგოგთა შეურაცხყოფით.

გამოკვლევისას შესწავლილ იქნა მოზარდთა დამოკიდებულება ტოლ-ამხანაგებთან სასწავლებლის კედლებს გარეთ.

აღმოჩნდა, რომ ახლო მეგობრები 48,95 პროცენტმა სასწავლებელში გაიცნო, რაც სრულიად ბუნებრივია, რადგან მოზარდის შეგნებული ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი სასწავლებელთან არის მჭიდროდ დაკავშირებული. გამოკითხულთა მესამედმა მეგობრების გაცნობის ადგილად ქუჩა დაასახელა. ყურადსაღებია აგრეთვე ის ფაქტი, რომ მოზარდთა დაახლოებით 2/3 უფრო ხშირად მეგობრებს სწორედ ქუჩაში ხვდებოდა.

ქუჩა მეტად უარყოფითს გავლენას ახდენს მოზარდებზე, რადგან, გარდა იმისა, რომ ისინი ქუჩაში ხშირად ხდებიან მოზრდილთა უზრდელი, ზნეობრივად გაუმართლებელი საქციელის მოწმენი, ისინი ხშირად ამყარებენ კონტაქტებს გზასაცდენილ თანატოლებთან, ექცევიან სხვადასხვა ჯურის დამნაშავე ელემენტების გავლენის ქვეშ და არცთუ ისე იშვიათად ადგებიან დანაშაულებრივ გზას.

ამიტომ ჩვენ დავინტერესდით, არიან თუ არა გამოკითხულ მოზარდთა მეგობრებს შორის სამართალდამრღვევნი.

აღმოჩნდა, რომ 25.52 პროცენტს სპეციალურ აღმზრდელობითს დაწესებულებაში მოთავსებამდე ჰყავდა სამართალდამრღვევი მეგობრები. გარდა ამისა, გამოკითხულთა 7,11 პროცენტმა აღნიშნა, რომ მათი მეგობრები ლოთობდნენ, 4,60 პროცენტმა — რომ იყენებდნენ ნარკოტიკულ ნივთიერებებს, 7,11 პროცენტმა — რომ თამაშობდნენ აზარტულ თამაშობებს და ა. შ. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ქუჩის დამღუპველ გავლენას მოზარდებზე.

გაცემული პასუხის მიხედვით მოზარდთა 53,79 პროცენტის მშობლები არ ინტერესდებიან, თუ ვისთან მეგობრობენ შვილები და როგორ ატარებენ სკოლისა და მეცადინეობისაგან თავისუფალ დროს, მაშინ, როდესაც როგორც გამოკითხვით ჩანს, მათი 64,85 პროცენტი თავისუფალ დროს ქუჩაში უმიზნო ხეტიალში ატარებდა.

ყურადსაღებია, რომ მეტად დაბალია ისეთ მოზარდთა ხვედრითი წილი (10,88 პროცენტი), რომლებიც საღამოს საათებში შინიდან გასვლისას ნებართვას იღებდა მშობლებისაგან. დანარჩენ მოზარდთაგან 13,39 პროცენტმა აღნიშნა, რომ მათი მშობლები წასვლის შესახებ უბრალო გაფრთხილებით კმაყოფილდებიან, ხოლო 44,35 პროცენტის მშობლებს არც გაფრთხილება სჭირდებათ.

ყოველივე ეს ადასტურებს, რომ გამოკითხულთა ოჯახებში მეტად სუსტია კონტროლი მოზარდებისადმი.

მოზარდთა მიერ სამართალდარღვევების ჩადენის ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობაა უმეთვალყურეობა და თავისუფალი დროის არასწორი გამოყენება. მოზარდები სამართალდარღვევებს უმთავრესად სწავლისაგან თავისუფალ დროს სჩადიან.

მოზარდთა დიდი ნაწილი, თავისუფალ დროს უმიზნოდ რომ ატარებს ქუჩაში, მოწმობს — სათანადო სიმაღლეზე არ დგას საცხოვრებელ ადგილას მოზარდთა თავისუფალი დროის რაციონალური ორგანიზაცია. ამაში ბრალი

მიუძღვით როგორც ოჯახსა და სკოლას, ისე სპეციალიზებულ სკოლისგარეშე და კლასგარეშე, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს და ა. შ.

თავისუფალი დროის სიჭარბე და უქმად ყოფნა ხშირად ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის მოზარდთა მიერ ალკოჰოლური სასმელებისა და ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებაში ჩაბმისათვის.

გამოკითხულთა დაახლოებით 1/4 სხვადასხვა სიხშირით იყენებს ალკოჰოლურ სასმელებს, ხოლო 5,63 პროცენტმა აღიარა, რომ ნარკოტიკულ ნივთიერებებსაც ეტანება.

გარდა ამისა, ჩვენ გამოვიკვლიეთ საკითხები, რომლებიც ეხებოდა მოზარდთა მიერ ჩადენილ სამართალდარღვევებსა და მათს ყოფნას სპეციალურ აღმზრდელობითს დაწესებულებებში.

გამოკითხულთა 77,44 პროცენტმა სამართალდარღვევა განზრახ ჩაიდინა, ხოლო 25,56 პროცენტმა — გაუფრთხილებლობით. მარტო ჩაიდინა სამართალდარღვევა 70,68 პროცენტმა, ხოლო 29,32 პროცენტმა — ჯგუფთან ერთად.

იმ მოზარდთაგან, რომელთაც სამართალდარღვევა ჯგუფურად ჩაიდინეს. 30,77 პროცენტმა მიუთითა, რომ მოქმედებდა ასაკით უფროსებთან ერთად, რომელთა შორის იყვნენ წინათ ნასამართლევები.

გამოკითხვით დადგინდა, რომ სამართალდამრღვევი მოზარდებიდან სპეციალურ აღმზრდელობითს დაწესებულებებში კარგად სწავლობს 15,04 პროცენტი, დამაკმაყოფილებლად — 65,04 პროცენტი, ხოლო ცუდად ან ძალიან ცუდად — 19,92 პროცენტი. ეს რამდენადმე უკეთესია, ვიდრე მათი აკადემიური წარმატება სპეციალურ აღმზრდელობითს დაწესებულებაში მოთავსებამდე.

რაც შეეხება აღსაზრდელთა მიერ დისციპლინის დაცვას, დადგინდა, რომ ეს საქმე სათანადოდ არ არის მოგვარებული რესპუბლიკის სპეციალურ აღმზრდელობითს დაწესებულებებში. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ აღსაზრდელთა თითქმის ნახევარი (42,11 პროცენტი) მეტნაკლებად ხშირად არღვევს დისციპლინას, რაც კონკრეტულად გამოიხატება გაკვეთილზე დაგვიანებით (14,29 პროცენტი), გაკვეთილების გაცდენით (16,96 პროცენტი), ადმინისტრაციის მითითებათა შეუსრულებლობით და სხვაგვარი ურჩობით (16,07 პროცენტი), თანატოლებთან ჩხუბითა და უსიამოვნებით (5,36 პროცენტი) და ა. შ.

საჭიროა აღინიშნოს, რომ, თუმცა ადმინისტრაცია ახორციელებს ღონისძიებებს დისციპლინის დამრღვევთა მიმართ, მაგრამ თუნდაც ის გარემოება, რომ მოზარდები თავს ამდენ უფლებას აძლევენ, ამ დაწესებულებებში აღმზრდელობითი პროცესის სერიოზულ ნაკლოვანებებზე მეტყველებს.

ამის სისწორეს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ შეკითხვაზე, თუ რა აღმზრდელობითი ზემოქმედება მოახდინა მათზე სპეციალურ აღმზრდელობითს დაწესებულებაში ყოფნამ, მოზარდთა 8,27 პროცენტმა უპასუხა, რომ არაეითარი ზემოქმედება არ მოუხდენია, ხოლო 14,29 პროცენტმა ამ ზემოქმედებას უარყოფითი შეფასება მისცა.

ეს მაჩვენებელი უფრო ყურადსაღებია იმის გამო, რომ მოზარდები, ჩვენი აზრით, საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურადღებასა და მიდგომას სპეციალური აღმზრდელობითი დაწესებულებების პედაგოგებისა და აღმზრდელების მხრივ, რადგან ამ უკანასკნელებს ევალებათ მოზარდთა ხელახალი აღზრდა.

მათში უკვე ჩამოყალიბებული ანტისაზოგადოებრივი ჩვევებისა და მოთხოვნილებების აღმოფხვრა, აღმზრდელობითს მუშაობაში დაშვებული ყველა ხარვეზის გამოსწორება, ხშირად კი უკვე დაკარგული რწმენის აღდგენაც.

დასასრულ, ჩვენ მოზარდებს დავუსვით კითხვა, თუ რა მიაჩნიათ მათ საჭიროდ ბედნიერებისათვის და ადამიანის რა თვისებებს აფასებენ ისინი.

მიღებული პასუხი საინტერესოა. გამოკითხულთა დიდმა უმრავლესობამ ბედნიერებისთვის საჭიროდ ცნო კარგი ჯანმრთელობა (95,26 პროცენტი), საინტერესო სამუშაო (63,53 პროცენტი) და წმინდა სინდისი (48,87 პროცენტი), ხოლო მთავარ დადებითს ადამიანურ თვისებებად — სიკეთე (58,65 პროცენტი), სამართლიანობა (66,54 პროცენტი) და შრომისმოყვარეობა (48,12 პროცენტი).

ეს გვაძლევს უფლებას ვუსაყვედუროთ უფროსებს — მშობლებსა თუ ოჯახის სხვა წევრებს, პედაგოგებს, აღმზრდელებს, სკოლისგარეშე და კლასგარეშე დაწესებულებების წარმომადგენლებსა და სხვებს, რადგან ამ მონაცემებით მოზარდთა ასოციალური ქცევის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად სწორედ აღზრდაში დაშვებული შეცდომები გვევლინება.

აქედან გამომდინარე, მაღალ დონეზე დაყენებული აღმზრდელობითი ღონისძიებათა სისტემა, როგორც მშობელთა, ასევე სკოლის კოლექტივისა და სხვა სკოლისგარეშე და კლასგარეშე დაწესებულებების წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობა მოზარდთა აღზრდის რთულ პროცესში, მათი თავისუფალი დროის რაციონალური და ნაყოფიერი ორგანიზაცია საცხოვრებელ ადგილას, დაინტერესება და წახალისება პერსპექტივაში არა მარტო უკვე გზასაცდენილი მოზარდების გამოსწორების საშუალებას მოგვცემს, არამედ დაგვეხმარება თავიდან ავიცილოთ ბავშვთა ჩამოყალიბება „პრობლემურ" მოზარდებად, რათა ისინი გაიზარდონ კეთილ, სამართლიან და შრომისმოყვარე ადამიანებად, რაც გამოკითხულთა უმეტესობის აზრით, ნიშნავს იყო ბედნიერი.

# გამოძიებისა და სასამართლო გადაწყვეტილებაზე გასაჩივრება ბრალდებულის (განსასჯელის) მიერ

ჯ. კერესელიძე

საბჭოთა სახელმწიფო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოქალაქეთა კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების რეალურ განხორციელებას. მათი უმრავლესობა პირდაპირ არის გადატანილი ან დაკონკრეტებული სამართლის ნორმებში. მაგალითად, სსრ კავშირის მოქალაქის კონსტიტუციური უფლება — გააასაჩივროს თანამდებობის პირების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების მოქმედება, აგრეთვე ბრალდებულისათვის დაცვის უფლება (სსრ კავშირის კონსტიტუციის 58-ე და 158-ე მუხლები) უზრუნველყოფილია საპროცესო კანონმდებლობით. ამან კიდევ უფრო გააღრმავა საბჭოთა სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების დემოკრატიული ბუნება, მეტი გარანტიებით აღჭურვა პროცესის მონაწილენი, ხელი შეუწყო სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას.

საბჭოთა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა დიდ უფლებებს ანიჭებს ბრალდებულს. ამ უფლებებისა და ინტერესების დაცვის ერთ-ერთი ქმედითი საშუალებაა ბრალდებულის უფლება შეიტანოს საჩივარი გამომძიებლის, პროკურორისა და სასამართლოს ყველა მოქმედებისა და გადაწყვეტილების, მათ შორის სასამართლოს განაჩენისა და განჩინების, აგრეთვე მოსამართლის დადგენილების გამო. (სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების 21-ე და 44-ე, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 42-ე მუხლები)[1]. ბრალდებულის (განსასჯელის) ეს უფლება თავის მხრივ უზრუნველყოფილია რიგი საპროცესო გარანტიებით, რომელთა გაფართოება და სრულყოფა კიდევ უფრო განამტკიცებს და ხელს შეუწყობს მისი ინტერესების დაცვას.

წინასწარი გამოძიების სტადიაში ბრალდებულს გამოძიების შევსების მიზნით შეუძლია იშუამდგომლოს დადგინდეს თუ გამოკვლეულ იქნეს საქმისათვის მნიშვნელოვანი ესა თუ ის გარემოება. გამომძიებელი ვალდებულია იგი განიხილოს სამი დღე-ღამის განმავლობაში და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტლება. შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისას მას გამოაქვს დასაბუთებული დადგენილება და აცნობებს ამას დაინტერესებულ პირს (სსსკ

---

[1] შემდეგში, სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების ნაცვლად ვიხმართ „საფუძვლებს“, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნაცვლად კი „სსსკ“.

138-ე და 295-ე მუხლები). თუ პროცესის მონაწილე მიიჩნევს, რომ იგი უსაფუძვლოა და არღვევს ან ზღუდავს მის უფლებებს, კანონმდებელი უფლებას აძლევს მას გაასაჩივროს ეს დადგენილება პროკურორთან (სსსკ 219-ე მუხლი). მაგრამ, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ისინი ნაკლებად იყენებენ ამ უფლებას, რადგან კანონი ვერ უზრუნველყოფს სათანადოდ მის რეალურ განხორციელებას[2]. მართალია საქართველოს სსრ და ზოგიერთი სხვა მოკავშირე რესპუბლიკების საპროცესო კოდექსებში არის ზოგადი ნორმა, რომელიც ავალდებულებს გამომძიებელს გარკვეულ ვადაში განიხილოს შემოსული შუამდგომლობა, მაგრამ, ვინაიდან კანონი არ განსაზღვრავს შუამდგომლობის შედგენისა და გამომძიებლისათვის მისი განცხადების, დაინტერესებული პირისათვის მიღებული გადაწყვეტილების შეტყობინების, აგრეთვე შუამდგომლობის გამო მიღებული გადაწყვეტილების პროკურორთან გასაჩივრების ვადებს და არ აწესებს, რომ პროკურორის მიერ საჩივრის გადაწყვეტამდე შეჩერდეს საქმის გადაცემა სასამართლოში, ბრალდებული მოკლებულია საშუალებას რეალურად განახორციელოს კანონით მისთვის მინიჭებული უფლება, გაასაჩივროს პროკურორთან გამომძიებლის გადაწყვეტილება. ასეთ ვითარებაში პროკურორმა კიდევაც რომ მიიღოს საჩივარი და დაეთანხმოს მას, ფაქტობრივად ვერ შეძლებს შეამოწმოს საჩივარში დასმული საკითხები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, რადგან საქმე უკვე გადაცემულია სასამართლოში. ამდენად, მიზანი, რომელსაც ისახავს შუამდგომლობის განმცხადებელი პირი, პროკურორთან გამომძიებლის მოქმედების ან გადაწყვეტილების გასაჩივრებისას, მიუღწეველი რჩება, ხოლო ნორმა — განუხორციელებელი. ამის გამო დაინტერესებული პირი იმავე შუამდგომლობით შედის პროცესის შემდგომ სტადიაში, რაც აფერხებს წინასწარ გამოძიებაში ბრალდებულის უფლებების დაცვის რეალურ განხორციელებას, იწვევს სასამართლოდან საქმის ხელახალი გამოძიებისათვის დაბრუნებას, გამოძიებისა და საქმის განხილვის გაჭიანურებას.

ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება ამ ვითარების გამოსწორებისა და პროკურორთან გამომძიებლის მოქმედების თუ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების რეალური განხორციელების უზრუნველყოფის შესახებ[3]. ჩვენ ვიზიარებთ ამ შეხედულებას და მიგვაჩნია, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში უნდა განისაზღვროს შუამდგომლობის შედგენისა და გამომძიებლისათვის მისი განცხადების, აგრეთვე მის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დაინტერესებული პირისათვის შეტყობინების კონკრეტული ვადები. აუცილებელია დაწესდეს გადაწყვეტილებაზე საჩივრის

---

[2] В. М. Савицкий. Очерк теории прокурорского надзора, М., 1975, с. 173—174; И. Либус. Охрана прав личности в уголовном процессе, Ташкент, 1975, с. 66—68; Е. Г. Мартинчик. Гарантии прав обвиняемого в суде первой инстанции. Кишинев, 1975, с. 128; Г. П. Саркисян. Защитник в уголовном процессе. Ташкент, 1971, с. 85—86; А. Бойков. Этика профессиональной защиты по уголовным делам, М., 1978, с. 131—132.

[3] В. М. Савицкий. Указ раб., стр. 175—176. И. Либус. Указ. раб., ст. 66—67; Козин Склярский И. Адвокат на предворительном следствии, «Социалистическая законность». 1971, № 3, с. 29—30; Саркисян Г. П. Указ. работа, стр. 86; А. Д. Бойков. Указ. раб., стр. 132; Э. Ф. Куцова. Гарантии прав личности в уголовном процессе. М., 1973, с. 159.

შედგენის, მისი პროკურორთან გასაჩივრების და პასუხის მიღების ვადა, მანამდე კი საქმე არ გადაეცეს სასამართლოს; შეჩერდეს გასაჩივრებული მოქმედების თუ გადაწყვეტილების აღსრულება, ვიდრე პროკურორი არ განიხილავს და არ გადაწყვეტს საჩივარს.

კანონი ადგენს, რომ მას შემდეგ, რაც დამთავრდება წინასწარი გამოძიება და საქმე გადაიგზავნება სასამართლოში, ყოველგვარი შუამდგომლობა და საჩივარი საქმის გამო წარედგინება უშუალოდ სასამართლოს (სსსკ 218-ე მუხლი). აქედან ნათელია, რომ, თუ კი არის საჩივარი, სასამართლო ვალდებულია მიიღოს და განიხილოს იგი სამართალში მიცემის სტადიაში, მაგრამ კანონი ამ სტადიაში ადგენს შუამდგომლობებისა და განცხადებების განხილვის წესს, ხოლო საჩივრების მიღებისა და განიხლვის წესის გამო არაფერს ამბობს (სსსკ 228-ე მუხლი). ამიტომ საჩივრები ამ სტადიაზე ხშირად განუხილავი რჩება, რაც გავლენას ახდენს პირის სამართალში მიცემის დროს გამოსარკვევი საკითხების სწორად გადაწყვეტასა და საქმის შემდგომ მსვლელობაზე. იმის თქმა, რომ სასამართლო ვალდებული არ არის განიხილოს საჩივარი, რადგან კანონი არ ითვალისწინებს ამ სტადიაში საჩივრის მიღებისა და განხილვის წესს, არ იქნებოდა სწორი. ჯერ ერთი, თუ პროცესის მონაწილემ საჩივარი წარადგინა სასამართლოში, ეს უკანასკნელი ვალდებულია კანონის შესაბამისად მიიღოს ეს საჩივარი (სსკ 218-ე მუხლი). მეორე, სასამართლო (მოსამართლე), მიიღებს რა საქმეს, ვალდებულია ბრალდებულის სამართალში მიცემის საკითხის გადაწყვეტის დროს ყურადღებით შეისწავლოს და შეამოწმოს საქმეში არსებული ყველა მასალა, გააანალიზოს იგი და ამის საფუძველზე მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. ამის შეუსრულებლობა ნიშნავს, რომ სასამართლომ არ დაიცვა კანონის მოთხოვნა საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის შესახებ (საფუძვლების მე-14 და სსსკ მე-18 მუხლები) ეს ეწინააღმდეგება აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მითითებას, რომ „ბრალდებულის სამართალში მიცემასთან დაკავშირებული საკითხების სწორად გადაწყვეტის, სამსჯავრო სხდომაზე საქმის გარემოებათა სრული და ყოველმხრივი გამოკვლევის უზრუნველყოფის, კანონიერი და დასაბუთებული განაჩენის გამოსატანად პირობების შექმნის მიზნით მოსამართლეებმა დროულად და გულდასმით უნდა შეისწავლონ საქმის მასალები, გააცნონ ისინი სახალხო მსაჯულებს"[4]. პლენუმის ეს მოთხოვნა, როგორც სახელმძღვანელო განმარტება, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, სავალდებულოა სასამართლოსათვის და მისი შეუსრულებლობა გამოიწვევს საქმის გამო მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებას. ამასთან, სამართალში მიცემის სტადია, როგორც თავისებური „ბარიერი" წინასწარი გამოძიების სტადიასა და სასამართლოში საქმის განხილვას შორის, მოწოდებულია შეაფასოს, რამდენად სწორად და ობიექტურად, კანონის ყველა მოთხოვნის სრული დაცვით არის ჩატარებული გამოძიება, საკმაოა თუ არა საქმის ფაქტობრივი მონაცემები და არის თუ არა

---

4 იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1980 წლის 28 ნოემბრის № 8-ე დადგენილება „ბრალდებულის სამართალში მიცემის დროს სასამართლოების მიერ კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის შესახებ". — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი. 1981 წ., № 1, გვ. 13. ბიულეტენში შეცდომითაა მითითებული დადგენილების ნომერი.

იმის საფუძველი, რომ პირი მიეცეს სამართალში. თუ აღმოჩნდება. რომ წინასწარი გამოძიება არ არის სრული და ობიექტური. ან შეებუილია შეცდომები. რომლებმაც შელახეს ბრალდებულის უფლებები, ან აღმოჩნდება სხვაგვარი დარღვევა, სასამართლო ვალდებულია სასწრაფოდ გამოასწოროს იგი ან დაუბრუნოს საქმე ხელახალი გამოძიებისათვის. უდავოა, რომ ყოველივე ამაში სასამართლოს დახმარებას გაუწევს საქმეში არსებული საჩივრის განხილვა, მასში დასმული საკითხების ყურადღებით შესწავლა და შემოწმება. ამდენად სასამართლოს (მოსამართლეს) არ შეუძლია უგულებელყოს საქმეში არსებული საჩივარი და არ განიხილოს იგი, მაგრამ როგორ? რა წესით? უნდა ვიგულისხმოთ, რომ ისინი ამას აკეთებენ სსსკ 228-ე მუხლში დადგენილი შუამდგომლობისა და განცხადების განხილვის წესის ანალოგიურად, რაც პრინციპულად არ ეწინააღმდეგება კანონს. ანალოგიას კი მიმართავენ მაშინ, როცა კანონი არ არის სრულყოფილი. ვფიქრობთ, ლოგიკური იქნებოდა, ამ უხერხულობის თავიდან ასაცილებლად სსსკ 228-ე მუხლს შუამდგომლობის განხილვასთან ერთად გაეთვალისწინებინა საჩივრის განხილვის აუცილებლობაც. ეს, ჯერ ერთი, დაკანონებდა საჩივრის განხილვის აუცილებლობას ამ სტადიაში და შექმნიდა გასაჩივრების უფლების განხორციელების რეალურ გარანტიას. მეორე, მოიხსნებოდა ანალოგიის გამოყენების საჭიროება.

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია სამართალში მიცემის ორი ფორმა, მიღებული მოსამართლის მიერ — ერთპიროვნულად და სასამართლოს მიერ კოლეგიურად — განმწესრიგებელ სხდომაზე.

ამ საკითხს წყვეტს მოსამართლე. იმაზე, თუ როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს იგი, დამოკიდებულია საჩივრის განხილვა-გადაწყვეტის საკითხიც. ვფიქრობთ, რომ საჩივარი კოლეგიურად განხილული და გადაწყვეტილი უნდა იქნეს მაშინაც, როცა არ არის განმწესრიგებელ სხდომაზე საქმის გატანის კანონიერი საფუძვლები (სსსკ 221ე- მუხლი), მაგრამ საჩივარში დასმული საკითხების გადაწყვეტამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ბრალდების კვალიფიკაციაზე, აღკვეთის ღონისძიებაზე ან საქმის შემდგომ მსვლელობაზე (მაგ., დაისვას საკითხი საქმის შეწყვეტის, მისი დამატებით გამოძიებისათვის დაბრუნების საჭიროების შესახებ და სხვა). გარდა ამისა საჩივარი განხილული უნდა იქნეს კოლეგიურად განმწესრიგებელ სხდომაზე, როცა მოსამართლე არ ეთანხმება საჩივარში დასმული საკითხების საფუძვლიანობას. ამით შეიზღუდებოდა მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები ერთპიროვნულად გადაწყვიტოს საჩივარში დასმული საკითხები. ამასთან სასურველია სასამართლოს (მოსამართლეს) დაევალოს, საჩივრის განხილვა-გადაწყვეტის დროს აუცილებლად გამოიწვიოს მომჩივანი განმარტების მისაღებად. ეს იქნება მომჩივანის უფლებებისა და ინტერესების დაცვის განხორციელების მყარი გარანტია და ხელს შეუწყობს სასამართლოს სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაში.

პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმიანობაში სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს მოსალოდნელი შეცდომების, უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების (განაჩენი, განჩინება, დადგენილება) კანონიერ ძალაში შესვლის თავიდან ასაცილებლად, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა პროცესის მონაწილეებს, მათ შორის ბრალდებულს და მის დამცველს, ანიჭებს უფლებას ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში საკასაციო

წესით გაასაჩივრონ უკანონო განაჩენი ან სხვა გადაწყვეტილება (საფუძვლების 44-ე და სსსკ 337-ე და 343-ე მუხლები). ამასთან კანონმდებლის მიერ რეს-პუბლიკის უმაღლესი სასამართლოს განაჩენებისა და სახალხო სასამართლოების ზოგიერთ განჩინებათა საკასაციო წესით გასაჩივრების დაუშვებლობა, ჩვენი აზრით, არ შეესაბამება საბჭოთა მართლმსაჯულების დემოკრატიულ ბუნებას და ზღუდავს ბრალდებულის დაცვის უფლებას, ვნებს მართლმსაჯულების ობიექტურად განხორციელების საერთო საქმეს. ამიტომ სწორია ამ საკითხზე ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება და საფუძვლიანად არის დასაბუთებული მისი სხვაგვარად გადაწყვეტის აუცილებლობა[5].

სასამართლო გადაწყვეტილებათა საკასაციო წესით გასაჩივრება ბრალდებულისათვის იწვევს მნიშვნელოვან სამართლებრივ შედეგს. იგი აჩერებს განაჩენის სისრულეში მოყვანას (სსსკ 342-ე მუხლი). გამონაკლისი ამ წესიდან დადგენილია გამამართლებელი განაჩენის მიმართ, რომელიც აღსრულდება დაუყოვნებლივ განაჩენის გამოქვეყნებისთანავე (სსსკ 368-ე მუხლი). საკასაციო სასამართლო ვალდებულია კანონიერი საფუძვლების არსებობისას გაიუქმოს ან შეცვალოს განაჩენი. ამასთან, საკასაციო ინსტანციას არა აქვს უფლება დაამძიმოს განსასჯელის მდგომარეობა (ვ�აძლიეროს სასჯელი ან გამოიყენოს კანონი უფრო მძიმე დანაშაულის შესახებ), თუ საქმე იხილება მისი ან დამცველის საჩივრით. ყოველივე ეს კი ხელსაყრელია განსასჯელისათვის და შეესაბამება მის ინტერესებს.

სასამართლოს ამ აქტების გასაჩივრების უფლების შეზღუდვა კი ერთნაირად ვნებს პროცესის ყველა მონაწილის, განსაკუთრებით განსასჯელის ინტერესებს, მეტადრე იმ რესპუბლიკებში, რომლებსაც არა აქვთ საოლქო ადმინისტრაციული დაყოფა. საოლქო სასამართლოს მიერ დადგენილი განაჩენი ან სხვა გადაწყვეტილება, როგორც ცნობილია, შეიძლება საკასაციო წესით გასაჩივრდეს რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ საქმის პირველი ინსტანციით განხილვის დროს დადგენილი სასამართლო გადაწყვეტილებანი კი ასეთი წესით არ საჩივრდება. ამდენად სასამართლო წარმოების ერთიანი სისტემის ფარგლებში, იმ წმინდა ფორმალური ნიშნის გამო — საოლქო სასამართლოს ქვემდებარეა საქმე თუ რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოსი — ნორმალურად არის მიჩნეული პროცესის მონაწილეთა სხვადასხვაგვარი სამართლებრივი სტატუსი. ერთი შედარებით უკეთეს პირობებშია ჩაყენებული, მეორე კი უარესში. პროცესის მონაწილე, რომელსაც სურს გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილება, განურჩევლად იმისა, თუ რომელმა სასამართლომ მიიღო ეს გადაწყვეტილება (რესპუბლიკის უმაღლესმა თუ საოლქო სასამართლომ) უნდა უზრუნველყოფილი იყოს ამ უფლების რეალურად განხორციელების შესაძლებლობით. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ სასამართლოს შეცდომების უმრავლესობა ცნობილი ხდება და სწორდება

---

[5] М. С. Строгович. Курс советского уголовного процесса. М., 1970, т. 2, с. 368, 419; Перлов И. Д. Касационное производство в советском уголовном процессе. М., 1968. с. 62—69; Кокорев Л. Д. Подсудимый в советском уголовном процессе, Воронеж, 1973, с. 164—165; Лупинская П. А. Право жалобы в уголовном судопроизводстве в свете Конституции СССР. М., 1979. Труды ВЮЗИ, с. 149—150; Познанский В. А. Вопросы теории и практики касационного производства Саратов. 1978, с. 22—23; Мартинчик Е. Г. Охрана прав осужденного в касационном производстве. Кишинев, 1979. с. 24—26 и др.

ზემდგომი ინსტანციის მიერ ბრალდებულისა და მისი დამცველის საკასაციო საჩივრის შედეგად, ნათელი გახდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პროცესის მონაწილეთათვის სასამართლოს გადაწყვეტილებათა თავისუფალი, შეუზღუდავი გასაჩივრების უფლებას, მათ შორის მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოს განაჩენებისა და სხვა გადაწყვეტილებათა საკასაციო წესით გასაჩივრების უფლებას. იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ სად უნდა გასაჩივრდეს მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მიერ საქმის პირველი ინსტანციით განხილვის დროს მიღებული ესა თუ ის გადაწყვეტილება — სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოში თუ მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს შესაბამის ინსტანციაში (პრეზიდიუმში თუ პლენუმში), რა თქმა უნდა, დამოკიდებულია კანონმდებელზე. მაგრამ, მთავარია იგი გადაწყდეს დადებითად, რადგან მისი უცვლელად დატოვება არ არის გამართლებული, ეწინააღმდეგება კანონისა და სასამართლოს წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს (მუხ. 156).

ჩვენი აზრით, ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა სავსებით შესაძლებელია რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისტემის ფარგლებში.

ბრალდებულის (განსასჯელის) უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ვფიქრობთ, კანონმდებელმა უნდა გააფართოოს პირველი ინსტანციის სასამართლოს იმ განჩინებათა წრე, რომელთა გასაჩივრების უფლებაც ექნებოდა მას. ამ საკითხზე ლიტერატურაში უკვე გამოთქმულია აზრი და ამიტომ არ შევჩერდებით დაწვრილებით ყველა მათგანზე[6]. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ბრალდებულს (განსასჯელს, მსჯავრდადებულს) და მის დამცველს უნდა მიეცეს უფლება გაასაჩივროს სასამართლოს განჩინება საქმის დამატებით გამოკვლევისათვის დაბრუნების (მუხლი 233, 259, 309-ე მე-3 ნაწილი), აღკვეთის ღონისძიების (მუხლი 254), თავისუფლების აღკვეთის მოხდის რეჟიმის შეცვლის შესახებ (მუხლი 376) და სხვ. როგორც ცნობილია, საქმის დამატებითი გამოკვლევისათვის დაბრუნების ერთ-ერთი პირობაა, „როცა საქმეში მოიპოვება საფუძველი ბრალდებულისათვის სხვა ბრალდების წარსადგენად, გარდა იმისა, რასაც საბრალდებო დასკვნა შეიცავს, ან ბრალდების შესაცვლელად უფრო მძიმე თუ ისეთი ბრალდებით, რომელიც ფაქტიურ გარემოებათა მიხედვით პირვანდელი ბრალდებისაგან არსებითად განსხვავდება“ (სსსკ 232-ე მუხლის მე-3 ნაწილი). არ არის გამორიცხული, რომ სასამართლომ შეცდომით, ამაზე სათანადო საფუძვლების არარსებობის მიუხედავად, მიუთითოს საგამოძიებო ორგანოებს ქმედობის დამძიმების შესახებ. შეიძლება პროკურორმა ეს განჩინება არ გააპროტესტოს, ხოლო ბრალდებულს და მის დამცველს კი მისი გასაჩივრების უფლება არ აქვთ. ამის გამო არასწორ განჩინებას სისრულეში მოიყვანენ, რითაც ილახება როგორც ბრალდებულის, ისე მართლმსაჯულების ინტერესები. სასამართლოში საქმის განხილვის დროს განსასჯელს აღკვეთის ღონისძიებად შეიძლება შეეფარდოს პატიმრობა. (მუხლი 254). პატიმრობა აღკვეთის მკაცრი და უკიდურესი ღონისძიებაა. ამ დროს ადამიანი კარგავს ყველაზე ძვირფასს — თავისუფლებას, ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან ურთიერთობის შესაძლებლობას. ძნე-

[6] ჩვენი მოსაზრება და შესაბამისი ლიტერატურა ამ საკითხზე იხ. Д. С. Кереселидзе. Обжалование подсудимым определений суда первой инстанции. В кн. «Суд и применение закона», М., 1982, с. 102—108.

ლი არ არის წარმოვიდგინოთ, რაოდენ მძიმე მორალური და მატერიალური ზიანი შეიძლება მიადგეს მოქალაქეს, როცა სასამართლოს გადაწყვეტილება პირის წინასწარ პატიმრობაში აყვანის შესახებ შეცდომით იქნა მიღებული, სასამართლოში საქმის განხილვა კი გრძელდება დადხანს და განსასჯელს არ შეუძლია პირადად ან დამცველის მეშვეობით გაასაჩივროს ეს განჩინება განაჩენის დადგენამდე. ცნობილია, რომ ბრალდებულს, რომელიც აყვანილია წინასწარ პატიმრობაში გამოძიების ან მოკვლევის ორგანოების მიერ, უფლება აქვს გაასაჩივროს ეს პროკურორთან. ასევე პირს, რომლის მიმართ სასამართლომ საქმე აღძრა სასამართლოში საქმის განხილვის დროს და შეუფარდა აღკვეთის ღონისძიება (სსსკ 257-ე მუხლი), შეუძლია გაასაჩივროს ეს განჩინება ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში, ხოლო განსასჯელს რატომღაც ამის უფლება არა აქვს. ვფიქრობთ, ეს გამონაკლისი განსასჯელის მიმართ არ არის გამართლებული. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მოძმე სოციალისტური ქვეყნის სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების კანონმდებლობა უფლებას აძლევს განსასჯელს სასამართლოს განჩინება მისი წინასწარ პატიმრობაში აყვანის შესახებ გაასაჩივროს განაჩენის დადგენამდე[7]. თავისუფლების აღკვეთის მოხდის რეჟიმის ან შრომა-გასწორების დაწესებულების შეცვლა მეორე უფრო მკაცრი რეჟიმით ან სახით (სსსკ 376-ე მუხლი) ფაქტობრივად ნიშნავს მსჯავრდადებულის მდგომარეობის გაუარესებას, რაც მისთვის სასჯელის გაძლიერების ან უფრო მძიმე დანაშაულის შესახებ კანონის გამოყენების დაუშვებლობის პრინციპიდან გამომდინარე არ არის გამართლებული და ამიტომ უნდა შეიცვალოს. მსჯავრდადებულს და მის დამცველს უნდა მიეცეთ უფლება გაასაჩივრონ ასეთი განჩინება ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში.

სასამართლო-საგამოძიებო გადაწყვეტილებისა და მოქმედების გასაჩივრება ბრალდებულის (განსასჯელის) უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის კარგი საშუალებაა, საქმის სრული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის გარანტიაა. იგი ხელს უწყობს წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო ორგანოებში დაშვებული შეცდომების გამოსწორებასა და საქმის გამო ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას. ყოველივე ეს კი სისხლის სამართლის სასამართლო წარმოებაში კანონიერების განმტკიცებისა და მართლმსაჯულების წარმატებით განხორციელების საწინდარია.

---

[7] Уголовный и уголовно-процессуальный Кодексы Германской Демократической Республики. «Юридическая литература», М.. 1972, ст. 305.

# უზრუნველვყოთ სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი სასაზღვრო რაიონში

დ. კოტეტიშვილი,
საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი

ახალციხის რაიონი, ჩვენი ქვეყნის სამხრეთის ერთ-ერთი სასაზღვრო ზონა, ტერიტორიულად ეკვრის კაპიტალისტურ თურქეთს. სახელმწიფო საზღვრის დაცვა მთელი ხალხის საქმეა. და ეს მოწოდება უდიდეს პოლიტიკურ და ზნეობრივ აზრს შეიცავს. ადამიანს შინაგანად უნდა ახასიათებდეს ის თვისებები, რომლებსაც მისგან მოითხოვს სახელმწიფო საზღვრის სიახლოვე. სასაზღვრო რაიონის მცხოვრებს კარგად აქვს შეგნებული, რომ საზღვართან სრულიად შეუწყნარებელია მოშვებულობა, თავგასულობა, პოლიტიკური სიბეცე. საგულდაგულოდ უნდა ამოიქოლოს საზღვრისაკენ მიმავალი ყველა ხვრელი. მაგრამ თუ წინ არ აღვუდგებით წვრილბურჟუაზიული, მეშჩანური ფსიქოლოგიის გამხრწნელი მიკრობის შეღწევას ადამიანის შეგნებაში, საზღვრის საიმედოდ დაცვასა და შეუვალობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ამიტომ არის, რომ ახალციხის რაიონის პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი და ადმინისტრაციული ორგანოები ახორციელებენ მიზანსწრაფულ ღონისძიებებს რაიონში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად. სწორედ ასეთი მოთხოვნები წაუყენა საქართველოს საზღვრისპირა რაიონებს, მათ შორის ახალციხის რაიონის პარტიულ ორგანიზაციას, რესპუბლიკურმა თათბირმა, რომელიც 1982 წლის 5 მაისს გაიმართა ქ. ახალციხეში.

საზღვრის განმტკიცება უმნიშვნელოვანესი პარტიული საზრუნავია. ჩვენი რაიონის სამხრეთით განსხვავებული იდეოლოგიის სახელმწიფოა, სადაც გაბატონებულია სხვა პოლიტიკური სისტემა, სხვაგვარი შეხედულებები, ზნეჩვეულებანი, მსოფლმხედველობა. ყოველივე ეს და თვით გეოგრაფიული მდებარეობაც ბევრს გვავალებს.

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე ხაზგასმით ითქვა, რომ საქართველოს სს რესპუბლიკა, რომელიც კაპიტალისტურ სახელმწიფოს ესაზღვრება, უნდა გახდეს სანიმუშო, ამ სიტყვის სრული გაგებით. ჩვენი რაიონის ყველა მცხოვრებს შეგნებული აქვს და ახსოვს ის საპატიო და რთული მისია, რომელიც მას მთელმა საბჭოთა ხალხმა დააკისრა,

საზღვრისპირა რაიონში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა მოითხოვს შემოქმედებითს ინიციატივას, ყველა რგოლში დისციპლინის განმტკიცებასა და პასუხისმგებლობის ამაღლებას, დაკისრებული მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებას. რაიონის კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა სრული გაგებით აღიქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის სიტყვები: „უფრო მტკიცედ უნდა ვიბრძოლოთ პარტიული, სა-

ხელმწიფო და შრომის დისციპლინის ყოველი დარღვევის წინააღმდეგ".

ღონისძიებათა საერთო კომპლექსში, რომლებსაც პარტიის რაიონული კომიტეტი და სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომი ახორციელებენ სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგის განვითარებისათვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ორგანიზებულობის, საზოგადოებრივი წესრიგის შემდგომ განმტკიცებას. ამ თვალსაზრისით დღევანდელობის ღირსშესანიშნავი ნიშანი ის არის, რომ ახალციხის რაიონის მცხოვრებლები მხურვალედ უჭერენ მხარს მოსკოვისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების მოწინავე საწარმოთა კოლექტივების ინიციატივას, რომლებმაც გაშალეს პატრიოტული მოძრაობა დისციპლინისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცებისათვის, ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის. ჩვენს საზოგადოებაში, მის ყველა უჯრედში უნდა შეიქმნას და დამკვიდრდეს ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, მისი ყველა წევრი, ხელმძღვანელი თუ რიგითი, ზუსტად უნდა იცავდეს კანონიერებას, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს.

ადამიანებისათვის კანონისადმი, კომუნისტური მორალის ნორმების დაცვისადმი პატივისცემის დამოკიდებულების ჩანერგვაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის სამართალდაცვითს ორგანოებს. უპირველესად მათ ეკისრებათ პასუხისმგებლობა პარტიის და ხალხის წინაშე რაიონში მართლწესრიგის მდგომარეობისათვის. სკკპ XXVI ყრილობაზე ითქვა, რომ საბჭოთა ხალხს უფლება აქვს იუსტიციის, სასამართლოს, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა ორგანოებს მოსთხოვოს, რათა მათი მუშაობა იყოს მაქსიმალურად ეფექტიანი, რათა ყოველი დანაშაულის გამოძიება ხდებოდეს ჯეროვან დონეზე და დამნაშავენი საკადრისად ისჯებოდნენ.

სამართალდაცვითი ორგანოების გამართული მუშაობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მათდამი პარტიის რაიკომის სწორ ხელმძღვანელობას. პარტიის ახალციხის რაიონული კომიტეტი, რომელიც ხელმძღვანელობს „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 აგვისტოს ცნობილი დადგენილების მოთხოვნათა შესასრულებლად, დიდ ორგანიზაციულ და პოლიტიკურ ღონისძიებებს ახორციელებს რაიონში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად.

პარტიის რაიკომმა შეიმუშავა დამნაშავეობასთან ბრძოლის მწყობრი სისტემა. შეიქმნა მუდმივმოქმედი ორგანო, რომელსაც დაევალა საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის რაიონის ყველა რგოლის კოორდინაცია. ეს ხელს უწყობს საზღვისპირა რაიონში დამნაშავეობის თავიდან აცილებას, ჩადენილ ბოროტმოქმედებათა, უპირველესად სახელმწიფო და მოქალაქეთა პირადი ქონების დატაცების, მექრთამეობის, ხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას.

პარტიის ახალციხის რაიკომთან რამდენიმე წელია ფუნქციონირებს დისციპლინის, მართლწესრიგის განმტკიცებისა და ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის საკოორდინაციო რაიონული კომისია. მისი სტრუქტურა, ფუნქციები და მუშაობის რეგლამენტი იმთავითვე განისაზღვრა.

ეს კომისია დიდ როლს ასრულებს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ოპერატიული ვითარების გაჯანსაღებაში. ამას მოწმობს ის, რომ უკვე მიღე-

ბულია ხელშესახები პოზიტიური შედეგები. კომისია შრომითი კოლექტივების, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საბჭოების, ამხანაგური სასამართლოებისა და სხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტების ყურადღებას მუდმივად ამახვილებს სოციალისტური საკუთრების დატაცების, წამატებებისა და თვალისახვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებაზე.

ამაღლდა საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა სოციალისტური საკუთრების დაცვისა და მოვლა-პატრონობისათვის, საბუღალტრო-სარევიზიო აპარატის საქმიანობისადმი კონტროლის უზრუნველყოფისათვის მეტი ყურადღება ექცევა მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობაზე პირების შერჩევას.

სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სახანძრო უსაფრთხოების განმტკიცებასა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებას. შემუშავდა გეგმა სახალხო მეურნეობის ობიექტების ხანძრისაგან დასაცავად.

სოციალისტური ქონების დაცვისათვის პირველადი პარტიული ორგანიზაციების სამეურნეო ხელმძღვანელებისა და შრომითი კოლექტივების პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის რაიონული სოციალისტური შეჯიბრების დებულებაში შეტანილია ცვლილება. სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას გათვალისწინებულია მხედველობაში იქნეს მიღებული მონაცემები საწარმოში, ორგანიზაციასა და დაწესებულებაში დისციპლინისა და მართლწესრიგის დაცვის შესახებ. ამასთან დაკავშირებით დანაშაულებრივი ფაქტების აღრიცხვა წარმოებს ცალკეული შრომითი კოლექტივების მიხედვით.

ბოლო დროს კიდევ უფრო გაძლიერდა ბრძოლა სოციალისტური ქონების დატაცების, მექრთამეობის, სპეკულაციისა და სხვა ანგარებით დანაშაულებათა წინააღმდეგ. პარტიის რაიკომის ბიურომ იმსჯელა შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების მუშაობის შესახებ და დასახა ღონისძიებანი მის საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობენ სახალხო რაზმელები. ამჟამად ახალციხის რაიონში არის 2150 სახალხო რაზმელი, რომლებიც სისტემატურად აწყობენ რეიდებს, ავლენენ მუქთახორებს, ადმინისტრაციული ზედამხედველობის წესების, ქუჩაში მოძრაობის წესების დამრღვევთ, ლოთებს, ხულიგნებს, შინ გამოხდილი სპირტიანი სასმელებით მოვაჭრეთ, საპასპორტო რეჟიმის დამრღვევთ. რეიდები ეწყობა წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების ბაზაზე. რაზმელები ეწევიან ფართო ახსნა-განმარტებითს მუშაობას მოსახლეობაში.

ბევრი რამ კეთდება უბნის ინსპექტორთა მუშაობის გააქტიურებისა და მათი პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით, რასაც უკვე დადებითი შედეგი მოჰყვა. ინსპექტორის როლის ამაღლებაზე ბევრად არის დამოკიდებული საზოგადოებრივი წესრიგის მდგომარეობა თავის უბანზე. უბნის ინსპექტორმა ყველაზე კარგად უნდა იცოდეს, თუ ვინ როგორ ცხოვრობს, ვის რა უჭირს და ულხინს, ვინ რით არის დასაქმებული. მის მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა

აქვს მუქთახორების, სპეკულანტების, ხულიგნების და სხვა დამნაშავეთა გამოვლენისათვის, დანაშაულის პროფილაქტიკისათვის.

ახალციხის რაიონში სატრანსპორტო საშუალებები სწრაფი ტემპით იზრდება, რამაც თავის მხრივ წამოჭრა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის, საგზაო შემთხვევათა თავიდან აცილებისა და ავტოსატრანსპორტო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემა. ყველა ავტოსაგზაო შემთხვევა, რომელსაც ადამიანის მსხვერპლი მოჰყვა, პარტიის რაიკომის ბიუროს მსჯელობის საგანი ხდება, ისახება სათანადო ღონისძიებანი ავტოსატრანსპორტო შემთხვევების შემცირების უზრუნველსაყოფად.

ავტომანქანის გატაცების თავიდან აცილების მიზნით ახალციხის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებას დაევალა ავტომანქანის ტექნიკური დათვალიერების დროს მოსთხოვონ მძღოლებს, რომ თავიანთი მანქანები აღჭურვონ გატაცების საწინააღმდეგო საშუალებებით. ამან უკვე გამოიღო დადებითი ნაყოფი. 1982 წელს პირადი საკუთრების ავტომანქანის გატაცების მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო. 1983 წელს ასეთი დანაშაული არ აღრიცხულა.

არასრულწლოვანთა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პროფილაქტიკის გაძლიერების მიზნით პარტიის რაიკომი ახორციელებს მნიშვნელოვან ღონისძიებებს. დიდი ყურადღება ექცევა მოზარდებთან ინდივიდუალურ მუშაობას, ფართოდ არის გამოყენებული დამრიგებლობა და შეფობა სამართალდარღვევისადმი მიდრეკილების მქონე მოზარდებთან. არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ სერიოზული ნაკლოვანებანია სკოლების, პროფტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა სამართლებრივ აღზრდაში. მათს აღმოსაფხვრელად შემუშავებულია საჭირო ღონისძიებანი.

კომკავშირული აქტივის, განათლების ორგანოების, არასრულწლოვანთა კომისიებისა და ინსპექციის თანამშრომლებთან ერთად სისტემატიურად იმართება რეიდები უზედამხედველო მოზარდთა გამოსავლენად, ხორციელდება პროფილაქტიკური ღონისძიებანი როგორც არასრულწლოვანის სასწავლებელში და საცხოვრებელ ადგილას, ისე მათი მშობლების შრომითს კოლექტივებში.

სასამართლო სწორად იყენებს არასრულწლოვანთა დანაშაულის საქმეთა გამო სასჯელის გადავადებას.

დამნაშავეობის თავიდან აცილების ერთ-ერთი პირობაა მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც განსაკუთრებით გამწვავდა მოქმედ კანონმდებლობაში შარშან შეტანილი ცვლილებების შემდეგ. პრაქტიკულად დაიწყო ახალი ეტაპი ამ ანტისაზოგადოებრივი მოვლენის აღმოსაფხვრელად. მანამდე კი ბევრი ხარვეზი იყო მუქთახორების გამოვლენის, აღრიცხვის, შრომითი მოწყობისა და შრომითს კოლექტივებში დამკვიდრების მხრივ. ბრძოლის მთელი სიმძიმე მხრებზე აწვა შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებას. ხშირად ამ კატეგორიის პირები შრომითი მოწყობის მეორე დღესვე ტოვებდნენ სამუშაოს და ცნობის ამოფარებულნი კვლავ განაგრძობდნენ პარაზიტულ ცხოვრებას, ეს კი უარყოფითს გავლენას ახდენდა გაწეული სამუშაოს ხარისხსა და ეფექტიანობაზე.

1982 წელს და 1983 წლის პირველ ნახევარში რაიონის პროკურატურის, სასამართლოს და შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მუშაკთა მონაწილეობით მოეწყო მეცადინეობათა ციკლი მოქმედ კანონმდებლობაში მომხდარ ცვლილებათა შესასწავლად. განხორციელდა აგრეთვე ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებანი. მოეწყო მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთთვიური. შეიქმნა სპეციალური ჯგუფი უმუშევართა გამოვლენისა და აღრიცხვისათვის. რაიონული საბჭოს აღმასკომთან არსებული კომისიები უზრუნველყოფენ დროებით უმუშევართა შრომითს მოწყობასა და მათ სამუშაო ადგილზე დამკვიდრებას. მთელი ამ საქმიანობის კოორდინაციას ახორციელებს რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

1982 წელს გამოვლენილია 94 დროებით უმუშევარი, მათ შორის 46 არ მუშაობდა 3 თვეზე მეტ ხანს. სამუშაოზე მოეწყო 58, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა 3 პირი. 1983 წლის პირველ კვარტალში გამოვლენილია 46 დროებითი უმუშევარი, მათგან სამუშაოზე მოეწყო 26 პირი, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა 1 პირი.

Რასაკვირველია, ეს არის პირველი ნაბიჯები და ისინი ჯერ კიდევ არ იძლევიან თვითდამშვიდების საფუძველს. რაიონში საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ათობით ახალგაზრდა უმაღლეს სასწავლებელში სწავლისათვის მომზადების მოტივით წლების განმავლობაში არ არის ჩაბმული საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში და ეჩვევა პარაზიტულ ცხოვრებას.

1982 წელს მივაღწიეთ თითქმის ყველა სკოლადამთავრებულის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაბმასა და შრომითს კოლექტივში მათს დამკვიდრებას. მაგალითად, 1982 წელს რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა დაამთავრა 771-მა მოსწავლემ. მათგან სწავლა განაგრძო 389 მოსწავლემ, ხოლო შრომითს საქმიანობაში ჩაება 382, ამასთან მათი უმრავლესობა დასაქმებულია მატერიალური წარმოების სფეროში.

სამართალდარღვევათა თავიდან აცილებას მარტოოდენ ადმინისტრაციული ორგანოები ვერ შეძლებენ. მათ აქტიურად უნდა დაუჭირონ მხარი სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, მთლიანად რაიონის მოსახლეობამ. სამართალდარღვევათა თავიდან აცილებაში დიდ დახმარებას გვიწევს მთელი საზოგადოებრიობა. ამის შედეგია, რომ დღეისათვის რაიონის 10 სოფელში უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ მომხდარა არც ერთი დანაშაული.

Საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში გადამწყვეტი როლი მაინც ადმინისტრაციულ ორგანოებს ეკუთვნის. ამის გათვალისწინებით 1982 წელს გავაძლიერეთ ადმინისტრაციული ორგანოები. მთლიანად შეიცვალა მათი ხელმძღვანელობა. სამართალდაცვის ორგანოებს სათავეში ჩაუდგნენ ენერგიული ამხანაგები, რომლებიც ცოდნასა და ენერგიას არ ზოგავენ თავიანთი ფუნქციებისა და მოვალეობების პირნათლად შესრულებისათვის. მეტი ყურადღება ექცევა დამნაშავეობასთან ბრძოლის პროფილაქტიკას. უფრო ფართოდ გაიშალა სამართლებრივი პროპაგანდა მოსახლეობაში.

Ყოველივე ეს იმის მტკიცე საფუძვლებს ქმნის, რომ ახალციხის რაიონში მტკიცე და სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი დამყარდება.

# სასამართლო აღმასრულებლებთან მუშაობის გაუმჯობესებისათვის

მართლმსაჯულების განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლოების გადაწყვეტილებათა დროულ და სრულყოფილ აღსრულებას.

ბოლო წლებში რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო რეგულარულად განიხილავს და აანალიზებს სასამართლოების საქმიანობას გადაწყვეტილებათა აღსრულების დარგში. კოლეგიის სხდომებსა და ოპერატიულ თათბირებზე ხშირად მსჯელობენ სასამართლოს აღმასრულებლების მუშაობის საკითხებზე. დიდი ყურადღება ექცევა გადაწყვეტილებათა აღსრულების ეფექტიანობის ამაღლებას. აღმასრულებლებს ეწევათ პრაქტიკული დახმარება. სამინისტრო განაზოგადებს სახალხო სასამართლოებში სააღსრულებო მუშაობას, დადებითს გამოცდილებას აცნობს ყველა აღმასრულებელს.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სასამართლოს აღმასრულებლის საქმიანობის ხარისხი დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად კონკრეტულად და საქმიანად ეხმარება მას სასამართლოს თავმჯდომარე თუ მოსამართლე, სისტემატურად აკონტროლებენ თუ არა ისინი სააღსრულებო წარმოების საქმეთა მიმდინარეობას.

ამ მხრივ დადებითს შეფასებას იმსახურებენ ქ. ქუთაისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ს. მაღლაკელიძე, ქ. ზუგდიდის სასამართლოს თავმჯდომარე კ. კვირკველია, გარდაბნის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარე გ. ხაბაშვილი, ქ. რუსთავის სასამართლოს თავმჯდომარე ა. მაისურაძე, რომლებიც ეხმარებიან სასამართლოს აღმასრულებლებს პროფესიული ცოდნის დონის ამაღლებაში, სააღსრულებო წარმოების მოწესრიგებაში, ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში. ისინი ოპერატიულ თათბირებზე პერიოდულად ისმენენ აღმასრულებლების ინფორმაციას განსაზღვრულ პერიოდში მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ, ამოწმებენ, იმაღლებს თუ არა კვალიფიკაციას აღმასრულებელი.

სამინისტროს კოლეგიის დადგენილებით, ყოველწლიურად სასამართლოს 30-40 აღმასრულებელი პროფესიული ოსტატობის სკოლას გადის სამინისტროსთან არსებულ იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედ კურსებზე.

რესპუბლიკის სასამართლოებში ამჟამად მუშაობს 173 აღმასრულებელი, მათ შორის, იურისტის კვალიფიკაცია აქვს 33 კაცს, დაუმთავრებელი უმაღლესი განათლებითაა 15, დანარჩენს აქვს საშუალო განათლება, მათ შორის 28 აღმასრულებელი არის საშუალო იურიდიული განათლებით. ეს ძალზე მცირეა. სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის 1980 წლის 19 მარტის № 2 ბრძა-

ნებით, სასამართლოს აღმასრულებელს უნდა ჰქონდეს საშუალო იურიდიული განათლება, რაც ჩვენთან ჯერ კიდევ არ არის განხორციელებული. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა სამი-ოთხი წლის განმავლობაში ეს რგოლი დაკომპლექტდეს საშუალო იურიდიული განათლების პერსპექტიული სპეციალისტებით. ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სასამართლოს ორგანიზაციული საქმიანობის გაუმჯობესებას.

სასამართლო აღმასრულებლების კადრების თვისებრივ გაუმჯობესებას და მათი საქმიანობის სრულყოფისათვის საჭირო რეკომენდაციის შემუშავებას ისახავდა მიზნად აღმასრულებლების ატესტაცია, რომელიც სამინისტროს კოლეგიის 1982 წლის 28 ოქტომბრის დადგენილების საფუძველზე მოეწყო მიმდინარე წლის იანვარ-აპრილში.

ატესტაციამ ცხადყო, რომ სასამართლოს აღმასრულებლების აბსოლუტური უმრავლესობა თავისი საქმიანი და მორალური თვისებებით შეეფერება დაკავებულ თანამდებობას. ისინი ხარისხიანად და კეთილსინდისიერად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას. ოთხ აღმასრულებელს თავისი მოვალეობის სანიმუშო შესრულებისათვის საატესტაციო კომისიის შუამდგომლობის საფუძველზე გამოეცხადა მადლობა, ხოლო სასამართლოს ხუთი აღმასრულებელი ჩაირიცხა დასაწინაურებელთა რეზერვში. იმათ შორის ვინც კეთილსინდისიერად ემსახურება თავის საქმეს, შეიძლება დავასახელოთ: ამბროლაურის რაიონის სასამართლოს აღმასრულებელი ლ. ველიაშვილი, რომელიც სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დაჯილდოებულია სამკერდე ნიშნით „მუშაობაში წარმატებისათვის", ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სასამართლოს უფროსი აღმასრულებელი შ. მაჩაიძე, ბორჯომის რაიონის სასამართლოს აღმასრულებელი ვ. გელაშვილი, ქ. გორის სასამართლოს უფროსი აღმასრულებელი ს. გორგიშელი, ზუგდიდის რაიონის სასამართლოს აღმასრულებელი ხ. ქარდავა, ქ. ქუთაისის ლენინის რაიონის სასამართლოს აღმასრულებელი ე. გზირიშვილი და სხვა.

ამასთან ერთად, ატესტაციამ გამოავლინა ნაკლოვანებანი სასამართლოს აღმასრულებლების საქმიანობაში, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს სასამართლოების მუშაობის ხარისხზე. ეს აღმასრულებლები მთელი პასუხისმგებლობით არ ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას, არ ახორციელებენ ღონისძიებებს სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი შედეგებია კასპის, საჩხერის, ლენტეხის სახალხო სასამართლოებში.

საატესტაციო კომისიამ სასამართლოს 23 აღმასრულებელი საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის და დაბალი პროფესიული დონის გამოვლენისათვის პირობითად დატოვა სამუშაოზე. მათი საქმიანობა უახლოეს ხანში ხელახლა შემოწმდება და მიღებული იქნება საბოლოო გადაწყვეტილება. სასამართლოს 4 აღმასრულებელი გათავისუფლდა სამუშაოდან პირადი განცხადებით.

ეს ფაქტები იმის მაჩვენებელია, რომ რესპუბლიკაში ამ კადრებთან მუშაობა ჯერ კიდევ არ დგას სათანადო სიმაღლეზე. ამიტომ არის, რომ სასამართლოს აღმასრულებელთა ნაწილს არა აქვს საკმარისი პროფესიული მომზადება და, ბუნებრივია, არაკვალიფიციურად ასრულებს თავის მოვალეობას.

ყველგან არ არის დაწესებული სათანადო კონტროლი სასამართლო გადა-

წყვეტილებების აღსრულებისადმი, რის შედეგადაც ხშირად სააღსრულებო წარმოების შესრულება ჭიანურდება, რაც იწვევს მშრომელთა კანონიერ საჩივრებს. ეს განსაკუთრებით ითქმის საალიმენტო საქმეებზე.

სასამართლოს აღმასრულებელი პერიოდულად, არა უგვიანეს კვარტალში ერთხელ, წინასწარ შედგენილი გრაფიკით უნდა ამოწმებდეს ხელფასიდან ალიმენტის დაკავების მდგომარეობას საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში. ეს ყველგან არ სრულდება. საკმარისად არ იყენებენ ამ საქმეში საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს — სახალხო მსაჯულებს. სუსტია კონტაქტი აგრეთვე პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტებთან.

მთელი რიგი რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეები სათანადო ხელმძღვანელობას, კონტროლსა და დახმარებას არ უწევენ სასამართლოს აღმასრულებლებს. ბევრი სასამართლოს თავმჯდომარე არ ასრულებს ინსტრუქციის მოთხოვნას — კვარტალში ერთხელ, პირადად შეამოწმოს სასამართლოს ყველა აღმასრულებლის მუშაობა და განახორციელოს გადამჭრელი ღონისძიებანი შემოწმების შედეგად გამოვლენილი უარყოფითი მხარეების გამოსასწორებლად.

ზოგჯერ შემოწმების თაობაზე არ ადგენენ სათანადო აქტს, მის შედეგებს არ განიხილავენ ოპერატიულ თათბირზე.

ამას წინათ კოლეგიამ განიხილა ატესტაციის შედეგები. ითქვა, რომ საატესტაციო კომისიამ ნაყოფიერი მუშაობა გასწია სასამართლოს აღმასრულებლების კადრების ხარისხობრივი მონაცემების, მათი პროფესიული და საქმიანი თვისებების შესწავლის და შეფასებისათვის, ამ რგოლის უკეთესი დაკომპლექტებისათვის.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის დადგენილებით „სასამართლო აღმასრულებლების ატესტაციის შედეგების შესახებ" გათვალისწინებულია განხორციელდეს ღონისძიებანი სასამართლო აღმასრულებლებთან მუშაობის რადიკალური გაუმჯობესებისათვის. სამინისტროს შესაბამისმა სამმართველოებმა, რაიონულმა (საქალაქო) სასამართლოებმა ყველაფერი უნდა იღონონ კოლეგიის დადგენილების შესასრულებლად.

—•—

# ნამიბიის* პრობლემა და საერთაშორისო სამართალი

გ. მთვარელიძე


ნამიბიის პრობლემას ძველი და დრამატული ისტორია აქვს. ამ ნახევრად უდაბნო ქვეყნის ტერიტორია შეადგენს 823,8 ათას კვ. კმ. (დაახლოებით საფრანგეთისა და ინგლისის ფართობი ერთად აღებული), მოსახლეობა ერთ მილიონამდეა. 100.000 თეთრკანიან კოლონისტს უკავია ქვეყნის ნაყოფიერი მიწების უდიდესი ნაწილი.

იმპერიალისტებისათვის ნამიბია მნიშვნელოვანი სამხედრო პლაცდარმია, რომელიც „იცავს" მათ საზღვაო გზებს სამხრეთ ატლანტიკაში. ამას ადასტურებს გროტფონტენში და ქვეყნის სხვა რაიონებში შექმნილი ნატოს სამხედრო-საზღვაო ბაზები.

ნამიბიის დამონების დასაწყისად ითვლება 1883 წელი, როდესაც გერმანელმა კოლონისტებმა დააარსეს სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში თავიანთი პირველი დასახლებანი. 1884 წელს „რკინის კანცლერმა" ბისმარკმა სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა გერმანიის კუთვნილებად გამოაცხადა. ეს პროცესი გაგრძელდა 1915 წლამდე, ანუ გერმანიის კოლონიური იმპერიის დაშლამდე, რის შემდეგაც ნამიბიის ტერიტორია ოკუპირებულ იქნა სამხრეთ აფრიკის კავშირის[1] მიერ.

1920 წლის დეკემბერში ერთა ლიგამ სამხრეთ აფრიკის კავშირს მიაკუთვნა ნამიბიის მართვის მანდატი.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველა სამანდატო ტერიტორია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) საერთაშორისო მეურვეობის სისტემას გადაეცა. მიუხედავად ამ გადაწყვეტილებისა, სამხრეთ აფრიკამ უარი განაცხადა გადაეცა ნამიბია გაეროს მეურვეობაში. უფრო მეტიც, 1949 წელს მოახდინა ნამიბიის ანექსია და ფაქტობრივად გადააქცია იგი სამხრეთაფრიკელი რასისტების კოლონიად.

ნამიბიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს გაერო, რომელიც დაინტერესებულია ნამიბიის ბედით დაარსების დღიდან. ამ პერიოდში ნა-

---

* ნამიბია 1968 წლამდე ცნობილი იყო სამხრეთ-დასავლეთ აფრიკად. ეს სახელწოდება მას ევროპელმა დამპყრობლებმა მიანიჭეს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1968 წლის 12 ივნისის 2372 (XXII) რეზოლუციით დადგინდა, რომ სამხრეთ-დასავლეთ აფრიკას, მისი მოსახლეობის ნების თანახმად, ეწოდოს ნამიბია. ნამიბია წარმოებულია სიტყვა ნამიბ-უდაბნოდან, რომელიც მდებარეობს ქვეყნის ატლანტიკის ოკეანის სანაპიროს გასწვრივ მდ. კუნენედან ჩრდილოეთში და მდ. ნარინჯამდე სამხრეთში. მობინადრე უძველესი ტომების ნამასა და დამარას ენებზე „ნამიბ" ნაშნავს ფარს.

[1] 1961 წლის მაისიდან — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა.

მიბიის საკითხი განხილულია გაეროს სხვადასხვა მთავარ[2] და დამხმარე[3] ორგანოში.

საკმარისია ითქვას, რომ ნამიბიის საკითხის გადაჭრას მიეძღვნა გაეროს ორი სპეციალური სესია და რამდენიმე კონფერენცია.

1946 წლიდან ნამიბიის საკითხი გაეროს გენერალური ასამბლეის ყველა სესიის მუშაობის დღის წესრიგშია შეტანილი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ხნის განმავლობაში მიღებულია გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს მრავალი რეზოლუცია, გაერომ ვერ შეძლო მიეღწია იმისათვის, რათა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას დამოუკიდებლობა მიენიჭებინა ნამიბიისათვის. მთელი ეს წლები ნამიბიის საკითხზე გაეროში წარმოებს ბრძოლა პროგრესულ ძალებსა და საერთაშორისო რეაქციას შორის.

თავდაპირველად გაერო მხარს უჭერდა ნამიბიის შეყვანას საერთაშორისო მეურვეობის სისტემაში, რომელიც მეურვეობაში მყოფი ტერიტორიის მიმართ პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას ითვალისწინებდა. გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ ეტაპზე მიენიჭა გაეროს ისეთ დოკუმენტებს, როგორიც არის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948), აგრეთვე კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების დეკლარაცია.

ნამიბიის საკითხის განხილვა გაეროში პირობითად სამ ეტაპად იყოფა: პირველი ეტაპის დასაწყისად ითვლება 1946 წელი, როცა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობამ გაეროს არსებითად მოსთხოვა მის შიერ ნამიბიის ანექსიის ცნობა. ეს პერიოდი დამთავრდა 1960 წელს, როდესაც სსრ კავშირის ინიციატივით გაერომ მიიღო კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების ისტორიული დეკლარაცია. ამ პერიოდიდან გაეროს მთელი მეცადინეობა მიზნად ისახავდა იმას, რომ სამხრეთ აფრიკას გაეროს წესდების შესაბამისად გადაეცა ნამიბია საერთაშორისო მეურვეობაში.

მეორე პერიოდი მოდის 1960-66 წლებზე, როდესაც ნამიბიის პრობლემის განხილვამ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. პროგრესული ძალები მოითხოვდნენ ნამიბიისათვის მიეცათ თვითგამორკვევის უფლება, ეცნოთ ნამიბიელი ხალხის ბრძოლის კანონიერება, გაეუქმებინათ სამხედრო ბაზები ნამიბიაში. ამ პერიოდში გაერომ მიიღო მთელი რიგი რეზოლუციები, რომლებიც მოითხოვდა სამხრეთ აფრიკასთან ნაწილობრივ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ბოიკოტს.

1966 წელს იწყება მესამე პერიოდი, როდესაც გენერალურმა ასამბლეამ დაადგინა, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობამ დაკარგა ნამიბიის მართვის უფლება[4].

ნამიბიელი ხალხის ისტორიაში დიდმნიშვნელოვან თარიღად არის შესული 1966 წლის 27 ოქტომბერი. ამ დღეს გენერალურმა ასამბლეამ თავის XXI სესიაზე მიიღო ისტორიული რეზოლუცია 2145 (XXI), რომელიც საყოველთაო აღიარებით წარმოადგენს შემობრუნების პუნქტს გაეროში ნამიბიის საკითხის ხანგრძლივი განხილვის ისტორიაში.

ამ რეზოლუციით გენერალურმა ასამბლეამ გამოაცხადა, რომ ნამიბიის ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება გაეროს წესდების და გენერალური ასამბლეის 1960 წლის 14 დეკემბრის 1514 (XV)[5] რეზოლუციის შესაბამისად და რომ ამ ტერიტორიას ენიჭება საერთაშორისო სტატუსი, სანამ არ მოიპოვებს დამოუკიდებლობას. იმასთან დაკავშირებით, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ ვერ შეასრულა თავისი ვალდებულებანი ნამიბიის მმართველობის საკითხში, ამავე რეზოლუციით ასამბლეამ გააუქმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მანდატი და იმ დღიდან ტერიტორიის მართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშუალო მოვალეობად გამოაცხადა.

ამ გადაწყვეტილების თანახმად გაეროს მე-5 სპეციალურ სესიაზე აფრიკა-აზიის, ლათინური ამერიკის ქვეყნებმა და იუგოსლავიამ წარმოადგინეს რეზოლუციის პროექტი, რომელიც

---

[2] გენერალური ასამბლეის უშიშროების საბჭო, სამეურვეო საბჭო, საერთაშორისო სასამართლო.

[3] გაეროს მეოთხე კომიტეტი, სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის სპეკკომიტეტი, კეთილი სამსახურის კომიტეტი, სპეციალური პოლიტიკური კომიტეტი, დეკოლონიზაციის სპეკკომიტეტი, აპარტეიდის სპეკკომიტეტი, ნამიბიის სპეკკომიტეტი, გაეროს ნამიბიის საბჭო და სხვა.

[4] Анатолий Громико-Конфликт на юге Африки М., 1979, стр. 233—234.

[5] დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ, ამ დეკლარაციის მე-2 მუხლის ძალით, ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება, ამ უფლების ძალით ხალხები თავისუფლად ამყარებენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და ახორციელებენ თავიანთ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას.

სათანადო განხილვისა და ცვლილებების შეტანის შემდეგ მიიღო გენერალურმა ასამბლეამ 1967 წ. 19 მაისს 2248 (S.V) რეზოლუციის სახით. რეზოლუციას ხმა მისცა 85 სხელმწიფომ, 30-მა თავი შეიკავა. წინააღმდეგი გამოვიდნენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა და პორტუგალია, რომლებმაც პროვოკაციულად გამოიყენეს დოკუმენტში არსებული ხარვეზები.

რეზოლუცია თუმცა ითვალისწინებდა ნამიბიიდან სამხრეთ აფრიკის ადმინისტრაციული, სამხედრო და პოლიტიკური პერსონალის გამოყვანას და ქვეყნისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებას, მასში არაფერი იყო ნათქვამი ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებისგან ადმინისტრაციის შექმნის შესახებ, მთლიანად უგულვებელყოფილი იყო აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის როლი, რომელიც მას ენიჭება, როგორც დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო ორგანიზაციას, ნამიბიის ამ მწვავე პოლიტიკური პრობლემის გადაჭრაში და რაც მთავარია, ამერიკის შეერთებულ შტატებს ინგლისსა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოებს არ მოუწოდეს შეეწყვიტათ სამხრეთ აფრიკელი რასისტებისათვის დანაშაულებრივი მხარდაჭერა. ამ მიზეზების გამო სოციალისტურმა სახელმწიფოებმა ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს და ამასთან ერთად პირობა მისცეს აფრიკისა და აზიის ქვეყნებს, რომ მზად არიან მხარი დაუჭირონ ყველა მოქმედებას, რომლებიც მიმართულია სამხრეთ აფრიკელი რასისტებისა და მათი იმპერიალისტი მფარველების მანევრების წინააღმდეგ.

2248 (S-V) რეზოლუციის ძალით შეიქმნა გაეროს ნამიბიის საბჭო[6] 11 წევრი სახელმწიფოს შემადგენლობით[7], რომელიც დღესაც მოქმედებს.

გენერალური ასამბლეის ზემოხსენებულმა ისტორიულმა რეზოლუციებმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მმართველი წრეების მკვეთრი რეაქცია გამოიწვია. მათი პოზიცია ნამიბიის პრობლემის მიმართ აისახა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის 1967 წლის 26 სექტემბრის წერილში გაეროს გენერალური მდივნის სახელზე, სადაც იგი ცინიკურად აყენებს საკითხს 2145 (XXI) რეზოლუციის არაკანონიერების შესახებ. რომ რეზოლუცია, თითქოსდა, სამხრეთ აფრიკას თავს ახვევს მოქმედების კურსს, რომელიც არაფრით არ შეესაბამება ნამიბიის მოსახლეობის პროგრესსა და კეთილდღეობას. ხოლო როდესაც გაეროს ნამიბიის საბჭომ მოინდომა თავისი ერთ-ერთი ძირითადი ამოცანის განხორციელება — ჩასულიყო ნამიბიაში, სამხრეთ აფრიკის ხელისუფლებმა ოფიციალურად განაცხადეს, რომ თვითმფრინავს, რომლითაც იმგზავრებდნენ საბჭოს წევრები, არ მიეცემოდა დაშვების უფლება .ამასთან დაკავშირებით გაეროს ნამიბიის საბჭომ თავის ყოველწლიურ II ანგარიშში განაცხადა, რომ „დედამიწის ნებისმიერი რაიონის ხმელეთისა და წყლის ტერიტორიათა იურიდიული სტატუსი თანაბარი ზომით ვრცელდება ამ რაიონების ზევით მდებარე საჰაერო სივრცეზე. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2145 (XXI) და 2248 (S-V) რეზოლუციებით გააუქმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მანდატი, რაც ვრცელდება ამ ტერიტორიის საჰაერო სივრცეზეც. ამიტომ სამხრეთ აფრიკას არ გააჩნია იურისდიქცია ნამიბიის საჰაერო სივრცის მიმართ. აქედან გამომდინარე, საბჭო, გეგმავდა რა თავის მგზავრობას, თავს არ თვლიდა რომელიმე სახელმწიფოს იურისდიქციის ქვემდებარედ, გარდა გაეროს იურისდიქციისა. იმ დროს, როდესაც ნამიბიის საბჭო ცდილობდა როგორმე დაეთანხმებინა სამხრეთ აფრიკის ხელისუფალნი დაეშვა იგი ნამიბიის ტერიტორიაზე, ფერვუდის მოთავრობა შეუდგა ოდენდაალის

---

[6] თსუ შრომები — სამართალი, ფსიქოლოგია პედაგოგიკა თბ., 1977 წ. გ. მთვარელიძე — „საერთიანებული ერების ორგანიზაციის ნამიბიის საბჭოს სამართლებრივი სტატუსი.

[7] გაიანა, ეგვიპტე, ზამბია, ინდოეთი, ინდონეზია, კოლუმბია, ნიგერია, პაკისტანი, თურქეთი, ჩილე და იუგოსლავია. 1972 წლის 3031 (XXVII) რეზოლუციით ამ შემადგენლობას დაემატა ბურუნდი, ჩინეთი, ლიბერია, მექსიკა, პოლონეთი, რუმინეთი და სსრ კავშირი, ხოლო 1974 წლის 13 დეკემბრის (3295 XXIX), რეზოლუციით საბჭოს წევრები გახდნენ ავსტრალია, ალჟირი, ბანგლადეში, ბოტსვანა, ჰაიტი, სენეგალი, ფინეთი. ამდენად დღეისათვის საბჭოში შედის 25 წევრი სახელმწიფო.

გეგმის[8] განხორციელებას, რომელიც რეკომენდაციას იძლეოდა დაყოფილიყო ნამიბია აფრიკული ტომებით დასახლებულ 10 რაიონად, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის „ბანტუსტანების" მსგავსად. გეგმის მიხედვით, არაევროპელების (ადგილობრივი მოსახლეობის) დასახლება მოიცავდა 32629394 ჰექტარს. ფერად[9] მოსახლეობას ეთმობოდა 22421 ჰექტარი, ხოლო თეთრკანიანებს (ევროპელებს) — ნამიბიის დანარჩენი ნაწილი ანუ ტერიტორიის საერთო ფართობის 43 პროცენტი.

გაეროს ნამიბიის საბჭომ თავისი საქმიანობის დასაწყისშივე გამოთქვა შეშფოთება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კატეგორიული უარის გამო დამორჩილებოდა გაეროს გადაწყვეტილებებს, რაც უცილობლად გამოიწვევს ძალადობის ესკალაციას და რასობრივ ომებს. საბჭომ რწმენა გამოთქვა, რომ ეს სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა ამ რაიონში საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას. საბჭომ ჩათვალა, რომ ამ საფრთხის თავიდან აცილებისათვის პასუხისმგებლობა გაეროს ეკისრებოდა.

საბჭომ აცნობა აგრეთვე გენერალურ ასამბლეას, რომ სამხრეთაფრიკელი რასისტები, აფერხებენ რა ნამიბიის ტერიტორიიდან შეიარაღებული ძალების დაუყოვნებლივ და მთლიან გამოყვანას, ჩქარობენ ქვეყანაში შექმნან ბანტუსტანები, რაც მოწმობს, მისი ტერიტორიალური მთლიანობის მოსპობისაკენ მისწრაფებას. აქვე საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ ისინი ვერ შეძლებენ დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, თუ გაეროს მხრივ არ იქნება მიღებული ეფექტიანი იძულებითი ზომები სამხრეთ აფრიკელი რასისტების წინააღმდეგ.

გენერალურმა ასამბლეამ თავის XXII სესიაზე, 1968 წლის 12 ივნისს, მიიღო 2372 (XXII) რეზოლუცია, რომელშიც გენერალური ასამბლეა კვლავ მიმართავდა გაეროს ყველა წევრ სახელმწიფოს მოწოდებით — მიეღოთ „ეფექტიანი ეკონომიკური და სხვა სახის ზომები" ნამიბიიდან სამხრეთ აფრიკის კოლონიური რეჟიმის გასაძევებლად და გაეწიათ ნამიბიელი პატრიოტებისათვის სათანადო დახმარება დამოუკიდებლობისათვის სამართლიან ბრძოლაში.

თანამედროვე პირობებში ნამიბიელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის უმთავრესი მიზანია თავისუფლების მოპოვება. ნამიბიელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას სათავეში უდგას მისი ავანგარდი — ნამიბიის სახალხო ორგანიზაცია (სვაპო), რომელიც 1960 წელს შეიქმნა[10]. თავდაპირველად სვაპოს პოლიტიკური პროგრამა არ ითვალისწინებდა შეიარაღებულ ბრძოლას, მაგრამ მას შემდეგ, რაც 1966 წელს გაეროს საერთაშორისო სასამართლომ იმპერიალისტური სახელმწიფოების ზეგავლენით კანონიერად ცნო ნამიბიის ოკუპირება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მიერ სვაპომ 1966 წლის 26 აგვისტოს განახორციელა ნამიბიის ჩრდილოეთში არსებული სამხედრო ბანაკის იერიში და გაანადგურა გარნიზონის ნაწილი, ამ აქტის შემდეგ 26 აგვისტო ნამიბიელი ხალხის ეროვნულ განმათავისუფლებელი ბრძოლის სიმბოლოდ იქცა, ხოლო 1974 წლიდან პროგრესული ხალხები აღნიშნავენ როგორც ნამიბიასთან სოლიდარობის დღეს.

ნამიბიელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას მძლავრი სტიმული მისცა პორტუგალიის კოლონიური იმპერიის დამხობამ და აფრიკაში მთელი რიგი დამოუკიდებელი სახელმწიფოების და უპირველესად ანგოლის სახალხო რესპუბლიკის (1975) შექმნამ. ანგოლასთან მეზობლობამ მნიშვნელოვნად გააფართოვა ნამიბიელი პატრიოტების შესაძლებლობანი. პორტუგალიის კოლონიური იმპერიის დამხობამ შეცვალა პოლიტიკურ ძალათა თანაფარდობა აფრიკის სამხრეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სასარგებლოდ, მკვეთრად გაძ-

---

8 სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობამ 1962 წელს შექმნა კომისია ნამიბიის საკითხის შესასწავლად. კომისიას სათავეში ედგა სამხრეთ აფრიკის მაღალი თანამდებობის პირი ოდენდალი, სხვადასხვა საკითხებს შორის კომისიას უნდა შეესწავლა საკითხი „ბანტუსტანების" დამკვიდრების მიზანშეწონილობის შესახებ, ნამიბიის მოსახლეობის სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისათვის.

9 ადგილობრივი პირის და ევროპელის ნარევი.

10 სვაპოს პირველ პრეზიდენტად არჩეულ იქნა ოვამბოლენდის მკვიდრი, სკოლის მასწავლებელი სემ ნოუომა, რომელიც სვაპოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით ემიგრაციაში ცხოვრობს. История национально-освободительной борьбы народов Африки в новейшее время. М., стр. 539.

ლიერა პრეტორიის საერთაშორისო იზოლაცია. ასეთ პირობებში პრეტორიისათვის ნამიბიაში კოლონიური რეჟიმის შენარჩუნებამ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა მიიღო.

1971 წლის 21 ივნისს გაეროს უშიშროების საბჭოს თხოვნით საერთაშორისო სასამართლომ გამოიტანა კონსულტაციური დასკვნა ნამიბიის საკითხზე. სასამართლომ ჩათვალა, რომ სამხრეთ აფრიკის შემდგომი ყოფნა ნამიბიაში არაკანონიერია, სამხრეთ აფრიკა ვალდებულია დაუყოვნებლივ გაიწვიოს თავისი ადმინისტრაცია ნამიბიიდან და შეწყვიტოს მისი ოკუპაცია. გაეროს წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან ცნონ სამხრეთ აფრიკის ყოფნის არაკანონიერება ნამიბიაში და თავი შეიკავონ სამხრეთ აფრიკასთან კავშირურთიერთობის დამყარებაზე. ამავე დასკვნაში სასამართლომ განაცხადა, რომ 2145 (XXI) რეზოლუციის ძალით სამხრეთ აფრიკის მანდატის გაუქმება გენერალური ასამბლეის უფლებამოსილებათა ფარგლებში განხორციელდა[11].

მსოფლიოს პროგრესული საზოგადოების მნიშვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენს 1974 წლის დეკემბერში გაეროს უშიშროების საბჭოს № 366 რეზოლუცია, რომელმაც დაავალდებულა პრეტორია, დამორჩილებოდა გაეროს გადაწყვეტილებებს და საერთაშორისო სასამართლოს 1971 წლის 21 ივნისის კონსულტაციურ დასკვნას და 1975 წლის 30 მაისამდე შეეწყვიტა ნამიბიის უკანონო ოკუპაცია ეცნო მისი ტერიტორიული მთლიანობა და ეროვნული ერთიანობა.

ამ დოკუმენტებმა უდიდესი გავლენა იქონია ნამიბიელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გაფართოებასა და სვაპოს საერთაშორისო აღიარებაზე. იმისათვის, რომ თავი დაეღწია მის წინაშე მდგომი ვალდებულებების შესრულებისაგან, პრეტორიამ დაიწყო დასავლეთის სახელმწიფოების დაშინება, თითქოსდა თუ ნამიბიას დამოუკიდებლობას მიანიჭებდნენ მას კომუნისტური საფრთხე ემუქრებოდა. მიუხედავად ამისა, იგი მაინც იძულებული გახდა 1975 წლის 20 მაისს მიეცა ოფიციალური თანხმობა ნამიბიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ. თუმცა, როგორც შემდეგში გახდა ცნობილი, პრეტორია შეუდგა თავისი ბატონობის შენარჩუნების შენიღბული გეგმის შემუშავებას. ეს ამოცანა დაეკისრა ეგრეთ წოდებულ „კონსტიტუციურ კონფერენციას“ ტურნხალეში, როგორც მას უწოდებენ ვინდხუკში (ნამიბიის მთავარი ქალაქი) არსებული დარბაზის სახელწოდების მიხედვით, სადაც 1975-1977 წლებში მიმდინარეობდა პლენარული სხდომები. ოფიციალურად კონფერენციას უნდა შეემუშავებინა ნამიბიის მომავლის მშვიდობიანი გადაწყვეტის გეგმა. კონფერენციის მუშაობაში თეთრკანიანებისა და „ფერადკანიანების“ პარალელურად მონაწილეობის მისაღებად დაშვებულ იქნენ ადგილობრივი მოსახლეობის ცხრა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები. სვაპომ, რომელიც არსებითად არ გამორიცხავდა ქვეყნის პოლიტიკური მომავლის გადაწყვეტის მშვიდობიან გზას, უარყო კონფერენციის გამართვა ტომობრივი დაყოფის ბაზაზე და წამოაყენა კონფერენციის მუშაობაში თავისი მონაწილეობის პირობები: 1. სამხრეთ აფრიკის მიერ ნამიბიელი ხალხის დამოუკიდებლობისა და ეროვნული სუვერენიტეტის უფლების ცნობა, 2. ნამიბიის ტერიტორიული მთლიანობის აღიარება, 3. სამხრეთ აფრიკის პოლიციისა და არმიის გაყვანა ნამიბიიდან, 4. ყველა პოლიტიკური პატიმრის დაუყოვნებლივი გათავისუფლება, 5. ყველა რეპრესიული კანონის გაუქმება, 6. სვაპოს ნამიბიელი ხალხის ერთადერთ უფლებამოსილ წარმომადგენლად ცნობა[12]. ამ პირობების დაკმაყოფილების უარყოფამ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მხრივ განაპირობა სვაპოს უარი მონაწილეობა მიეღო კონფერენციის მუშაობაში. კონფერენციამ, რომელმაც პრეტორიის დიქტატით ჩაიარა, მიიღო „დელეგატების“ სახელით დეკლარაცია, რომლითაც უარყოფილ იქნა ნამიბიელი პატრიოტების შეიარაღებული ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის და მოიწონა ე. წ. „ხოუმლენდების“ შექმნის პოლიტიკა. კონფერენციის გახსნის წინ 1975 წლის სექტემბერში სვაპომ გამოაქვეყნა დამო-

---

[11] ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. legal Consequences for States of the Continued, Presence of South Africa in Namibia (South West Africa) notwithstanding Security Council Resolution 276 (1970) Advisory Opinion J. C. J. Reports 1971, p. 16. Е. И. Кофман. Юридические последствия консультативного заключения Международного Суда от 21 июня 1971 года. Сборник аспирантских работ, часть 1. Изд. Казанского университета, 1973 г.

[12] Reports of the United Nations Council for Namibia, v. I, N. Y., 1976, p. 104.

უკიდებელი ნამიბიის კონსტიტუტია"[13], რომელიც ქვეყანაში მუშებისა და გლეხების რესპუბლიკის შექმნას ითვალისწინებდა, სადაც აღმასრულებელი ძალაუფლება თავმოყრილი იქნებოდა ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის ხელში. კონსტიტუცია იძლეოდა თეთრკანიანი მოსახლეობის უფლებათა გარანტიას. ითვალისწინებდა რასობრივი და კლასობრივი ექსპლოატაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციას და აცხადებდა მიუმხრომლობის კურსს საგარეო პოლიტიკაში[14].

ამ მეტად დიდმნიშვნელოვანმა დოკუმენტმა ერთხელ კიდევ დაადასტურა სვაპოს პოლიტიკური პლატფორმის პროგრესულობა. ამან დიდი როლი შეასრულა უშიშროების საბჭოს 1976 წლის იანვრის № 385 რეზოლუციის მიღებაში, რომელიც მხარს უჭერდა სვაპოს პროგრესულ მოთხოვნებს და ითვალისწინებდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მხრივ ნამიბიის უკანონო ოკუპაციის შეწყვეტას, მისი ტერიტორიის გამოყენებას დამოუკიდებელი აფრიკული სახელმწიფოების წინააღმდეგ შეიარაღებული თავდასხმებისათვის, ხოუმლენდების პოლიტიკის გაუქმებას, პოლიტიკური თავისუფლების, არჩევნების ჩატარებას გაეროს კონტროლით, რათა ნამიბიელი ხალხისათვის მიეცათ საშუალება დამოუკიდებლად განესაზღვრა სამშობლოს პოლიტიკური მომავალი. ამ მოთხოვნების შესრულების საბოლოო ვადად დაინიშნა 1976 წლის 31 აგვისტო.

პრეტორიამ, რომელიც შეშფოთებული იყო ნამიბიელი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის საერთაშორისო მხარდაჭერით, ჯერ კიდევ ზემოაღნიშნული ვადის გასვლამდე შექმნა ე. წ. კონსტიტუციური კომიტეტი და ნამიბიის დამოუკიდებლობის მინიჭების ვადად გამოცხადდა 1978 წლის 31 დეკემბერი. ეს იყო ნამიბიელი ხალხისა და მისი ავანგარდის — სვაპოს დიდი გამარჯვება. ამასთან ერთად სამხრეთ აფრიკამ და მისმა მფარველმა დასავლეთის სახელმწიფოებმა ყველაფერი იღონეს, რათა ნამიბიელი ხალხის ამ გამარჯვებას არ მოჰყოლოდა მათთვის არასასურველი შედეგი. არც სამხრეთ აფრიკას და არც მის მოკავშირეებს ხელს არ აძლევდათ ნამიბიის პრობლემის სამართლიანი გადაწყვეტა, ამასთან ერთად იცოდნენ, რომ სვაპოს მეთაურობით შეიარაღებული ბრძოლის აღმავლობა გამოიწვევს სამხრეთაფრიკელი რასისტების კრახს. დაიწყეს ახალი დიპლომატური მანევრების რაუნდი. ასეთ პირობებში 1977 წლის აპრილში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ინგლისმა, საფრანგეთმა, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ და კანადამ შექმნეს ე. წ. „საკონტაქტო ჯგუფი", რომელსაც დაეკისრა შუამავლის როლი პრეტორიასა და სვაპოს შორის. ფაქტობრივად შუამავლებს ამოძრავებდათ არა ნამიბიელი ხალხისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების სურვილი, არამედ თავიანთი პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესები ნამიბიაში.

1977-78 წლებში გაიმართა „ხუთეულის" მოლაპარაკების რამდენიმე რაუნდი პრეტორიასა და სვაპოსთან. ამ შეხვედრებისას და გაეროში ნამიბიის საკითხის განხილვისას დასავლეთი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მათ მოლაპარაკებას საფუძვლად ედო გაეროს უშიშროების საბჭოს 1976 წლის 30 იანვრის № 385 რეზოლუციის განხორციელება[15]. ფაქტობრივად ისინი არღვევდნენ ან საერთოდ უგულვებელყოფდნენ ზემოაღნიშნული რეზოლუციის ძირითად მოთხოვნებს, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ნამიბიის დამოუკიდებლობის გადაწყვეტისათვის.

უგულვებელყოფილ ან დამახინჯებულ იქნა ისეთი არსებითი მოთხოვნები, როგორიც არის სამხრეთ აფრიკის მთელი შეიარაღებული ძალების და არაკანონიერი ადმინისტრაციის გამოყვანა, ნამიბიის ტერიტორიის მთლიანობა და ა. შ. „დასავლეთის ხუთეულის" წინადადებანი სვაპომ უარყო, რასაც აქტიურად დაუჭირა მხარი დამოუკიდებელმა აფრიკულმა, აგრეთვე სოციალისტურმა სახელმწიფოებმა და მსოფლიოს პროგრესულმა ძალებმა, რამაც თავისი ნაყოფი გამოიღო. საერთო მეცადინეობის შედეგად წამოყენებულ იქნა ახალი წინადადებანი, რომელთა ძირითად დებულებებს სვაპო დაეთანხმა. ეს გეგმა, რომელიც ცნობილია „ვალდჰაიმის გეგმის" სახელწოდებით და დამტკიცებულია გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ, ითვალისწინებდა ნამიბიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებას[16] ეტაპობრივად. მას წინ უძღოდა 7-თვიანი გარდამავალი პერიოდი, რომელიც ოფიციალურად უნდა დაწყებულიყო უშიშროების

---

[13] J. H. P. Serfontcin «Namibia?»Fokus Suid Publishers. Randburg, 1976, приложение конституция независимой Намибии.

[14] Totemeyer G. Namibia old and new. L., 1978, p. 203–205.

[15] Анатолий Громыко-Конфликт на юге Африки М., 1979 г. стр. 235.

[16] ООН Документ № 12827 от 29 августа 1978.

საბჭოს მიერ რეზოლუციის[17] მიღების დღიდან, რომელიც ამტკიცებდა გაეროს სამოქმედო გეგმას. გათვალისწინებული იყო 4-თვიანი საარჩევნო კამპანიის ჩატარება. მანამდე კი საომარი მოქმედება უნდა შეწყვეტილიყო და ორივე მხარე დაბრუნებულიყო სამხედრო ბაზებში 12 კვირის განმავლობაში. სამხრეთ აფრიკას მთელი შეიარაღებული ძალები უნდა გამოეყვანა ნამიბიის ტერიტორიიდან, გარდა ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარე ორ სამხედრო ბაზაში არსებული გარნიზონისა, რომელთა ტერიტორიის ფარგლებიდან გამოყვანა ნავარაუდევი იყო არჩევნების დამთავრების შემდეგ. გეგმა ითვალისწინებდა ყველა პოლიტიკური პატიმრის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას, ნამიბიელი ემიგრანტების, მათ რიცხვში სვაპოს მთელი აპარატის შემადგენლობისა დაუბრკოლებელ, ნებაყოფლობით დაბრუნებას სამშობლოში. საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება არსებულ პოლიტიკურ ძალებს ეკისრებოდა, რომელთა მოქმედების კონტროლს განახორციელებდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გენერალური ადმინისტრატორი გაეროს გენერალურ მდივანთან შეთანხმებით. გარდამავალ პერიოდში გაეროს წარმომადგენელს დაექვემდებარებოდა გაეროს შეიარაღებული ძალების 7500 ჯარისკაცი, გაეროს სამოქალაქო პერსონალი 2500 კაცის შემადგენლობით. უოლფიშ-ბეის სტრატეგიულად დიდმნიშვნელოვანი ნავსადგურის სტატუსი დამატებით მოლაპარაკებას უნდა გადაეწყვიტა, რომელიც გაიმართებოდა მოგვიანებით სამხრეთ აფრიკასა და დამოუკიდებელ ნამიბიას შორის[18].

როგორც მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ დაგვანახვა, პრეტორიამ სულ მოკლე ხანში უარყო ე. წ. „ვალდჰაიმის გეგმა" და ნამიბიის ტერიტორიაზე 1978 წლის დეკემბერში მოაწყო „საარჩევნო" სპექტაკლი. არჩევნების შედეგად შექმნილ დამფუძნებელ კრებას უნდა გადაეწყვიტა, მიზანშეწონილი იყო თუ არა ჩატარებულიყო ახალი არჩევნები „გაეროს კონტროლით". ამასთან ერთად სამხრეთ აფრიკამ გააძლიერა რეპრესიები ნამიბიელი პატრიოტების მიმართ, ქვეყანაში გაჩაღდა ანტიკომუნისტური, რასისტული და ნაციონალისტური დემონსტრაციები. რეაქციას სვაპომ შეიარაღებული ბრძოლის გაძლიერებით უპასუხა. ბუნებრივია, სამხრეთ აფრიკელი რასისტების ასეთმა მუხანათურმა მოქმედებამ გამოიწვია საერთაშორისო ზიზღი და უნდობლობა და უკიდურესობამდე დაძაბა მდგომარეობა ნამიბიაში.

დასავლეთის სახელმწიფოები, რომლებიც ფარულ მოლაპარაკებას აწარმოებდნენ პრეტორიასთან, ფართო რეკლამას უწევდნენ „არჩევნებს" ნამიბიაში, ემყარებოდნენ რა სამხრეთ აფრიკის პირობას, რომ ნამიბიაში 1979 წელს დაუბრკოლებლად გაიმართებოდა გაეროს კონტროლით გათვალისწინებული არჩევნები.

საარჩევნო სპექტაკლი ნამიბიაში, რომელსაც პრეტორია რეკლამას უწევდა, როგორც დემოკრატიული ძალების ტრიუმფი, ფაქტობრივად ფალსიფიკაციას წარმოადგენდა, ამომრჩეველთა რეგისტრაცია ტოტალური ძალმომრეობით ხორციელდებოდა. ყოველივე ამას თავის შედეგი მოჰყვა. ტურნხალეს დემოკრატიულმა ალიანსმა, რომელსაც არჩევნების შემდეგ პრეტორიის მემკვიდრეობა უნდა მიეღო ნამიბიაში, 50 ადგილიდან 41 მოიპოვა დამფუძნებელ კრებაში — მარიონეტულ ორგანოში, რომელიც მოწოდებული იყო დაეკანონებინა სამხრეთ აფრიკის რეჟიმი ნამიბიაში. საარჩევნო სპექტაკლი ნამიბიაში არსებითად საერთაშორისო პროგრესული აზრის გამოწვევას წარმოადგენდა. გაერომ გადაჭრით დაგმო იგი და მისი შედეგები არაკანონიერად გამოაცხადა და გაეროს ყველა წევრ სახელმწიფოს მოუწოდა არ ეცნოთ ამ სპექტაკლის შედეგად შექმნილი ხელისუფლების ორგანოები.

არჩევნების შედეგებმა ფართო მღელვარება გამოიწვია ნამიბიაში. მუშათა კლასმა და ახალგაზრდობამ გრანდიოზული გაფიცვები მოაწყვეს. შეიარაღებული ბრძოლის და საგაფიცვო მოძრაობის შეზღუდვის მიზნით სამხრეთ აფრიკამ ცალმხრივად დაიწყო ნამიბიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება, 1979 წლის მაისში ოკუპანტებმა დამფუძნებელ კრებას შეუცვალეს სახელწოდება, უწოდეს მას ეროვნული ასამბლეა, გააფართოეს წევრთა რაოდენობა და საკანონმდებლო ფუნქციებით აღჭურვეს იგი. მაგრამ ისევე, როგორც უწინ, საგარეო ურთიერთობა, ეკონომიკა, არმია, პოლიცია და სხვა პრეტორიის განკარგულებაში რჩებოდა.

სვაპომ კატეგორიულად დაგმო ნეოკოლონისტური რეჟიმის დამყარება ნამიბიაში და ცენტრალური კომიტეტის II პლენუმზე 1979 წლის იანვარში მიიღო შესაბამისი დეკლარაცია. დეკლარაციაში ხაზგასმით არის აღნიშ-

[17] Совет Безопасности резолюция 435, от 29 сентября 1978.

[18] ООН Совет Безопасности, Резолюция 432, (1978) от 27 июля 1978.

ნული, რომ ნამიბიის გათავისუფლების ერთადერთი გზაა შეიარაღებული ბრძოლა[19].

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმატებებითა და გაფართოებით შეშფოთებულმა სამხრეთაფრიკელმა რასისტებმა მიმართეს მორიგ პოლიტიკურ მანევრებს. 1979 წელს დასავლეთის სახელმწიფოებთან ერთად წამოაყენეს ახალი წინადადებები, რომლებიც ითვალისწინებდა ნამიბიის ჩრდილოეთ საზღვრების რაიონში ორმხრივი „დემილიტიზირებული" ზონების შექმნას, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღწევის დღიდან ორი კვირის განმავლობაში. ამასთან ერთად სვაპოს უნდა განეიარაღებინა თავისი სამხედრო ძალები ან გაეყვანა ისინი ნამიბიის ტერიტორიიდან ანგოლასა და ზამბიის საზღვრების სიღრმეში.

ამდენად სვაპო, რომელიც გაეროს მიერ ცნობილია როგორც ნამიბიელი ხალხის ერთადერთი კანონიერი წარმომადგენელი, უნდა გაძევებულიყო სამშობლოდან .ამასთან ერთად გეგმა ითვალისწინებდა სამხრეთ აფრიკის ძალაუფლების დაკანონებას ნამიბიაში. ამასთან დაკავშირებით 1979 წლის დეკემბერში სვაპომ განაცხადა, რომ ნამიბიელი ხალხი არასოდეს არ დეთანხმება თავისი ბედის ნეოკოლონიალისტურ გადაწყვეტას და განაგრძობს ბრძოლას სრული დამოუკიდებლობის მიღწევამდე და დაადასტურა სვაპოს 1979 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილება გააძლიეროს შეიარაღებული ბრძოლა. სვაპოს პოზიციას ფართოდ დაუჭირეს მხარი ნამიბიაში. 1979 წლის მარტში ვინდხუკში გაიმართა სვაპოსთან სოლიდარობის 25-ათასიანი მიტინგი. მსოფლიოს პროგრესული საზოგადოება სვაპოს განიხილავს როგორც ნამიბიელი ხალხის ერთადერთ კანონიერ წარმომადგენელს[20].

1980 წელს სვაპომ თავისი დაარსების 20 წელი იზეიმა. ამასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მისალმება[21] გაუგზავნა სვაპოს ეროვნულ აღმასკომს, მისალმებაში ნათქვანია, რომ სვაპო თავისი ისტორიის მანძილზე იბრძვის სამხრეთაფრიკელი რასისტების წინააღმდეგ ნამიბიის დამოუკიდებლობისთვის. მისი ხელმძღვანელობით ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ დიდ წარმატებებს მიაღწია, სვაპო ჭეშმარიტად ნამიბიელი ხალხის ერთადერთი კანონიერი წარმომადგენელია.

ცნობილია, რომ უშიშროების საბჭოს აქვს უფლება გამოიყენოს ნებისმიერი საშუალება, მათ შორის იძულებაც იმ მიზნით, რათა სამხრეთაფრიკელი რასისტები აიძულოს დაემორჩილონ გაეროს გადაწყვეტილებებს. სინამდვილეში უშიშროების საბჭო სრულად ვერ იყენებს თავის უფლებებს — დასავლეთის სახელმწიფოების, კერძოდ ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და ინგლისის მიერ ვეტოს უფლების ბოროტად გამოყენების გამო. იმპერიალისტური სახელმწიფოების გეგმებში ნამიბიას უმნიშვნელოვანესი სამხედრო-სტრატეგიული როლი აკისრია, განსაკუთრებით თანამედროვე პირობებში, როცა ქვეყნის ჩრდილოეთით შეიქმნა ანგოლის სახალხო რესპუბლიკა.

ნამიბია ფლობს უდიდეს ბუნებრივ სიმდიდრეს. აქ მოიპოვება სხვადასხვა დასახელების პოლიმეტალები, მათ შორის ურანის მადანი, რომლის საბადოები უდიდესია მსოფლიოში. მაგრამ ნამიბია მაინც ყველაზე მეტად ცნობილია როგორც „ალმასების ქვეყანა", სადაც ყოველწლიურად 3 მილიონ კარატ ალმასს მოიპოვებენ — ამ მაჩვენებლით მას კაპიტალისტურ სამყაროში მეორე ადგილი უკავია. სამხრეთ აფრიკის გაზეთის „სტარის" ცნობით, გარი — ოპენგეიმერის ალმასის დამმუშავებელი საწარმოები, სადაც ალმასების მტაცებლური მოპოვება წარმოებს, შემოღობილია ეკლიანი მავთულხლართით და ასმეტრიანი დანალმული ზოლით, ხოლო საწარმოში შესასვლელები აღჭურვილია უახლესი რენტგენული დანადგარებით[22].

ალმასების ექსპორტი ნამიბიიდან 1977 წელს 350 მილიონ დოლარს შეადგენდა. დადგენილია, რომ თუკი ასეთი ტემპით განვითარდება ალმასების ექსპორტი ნამიბიიდან, მაშინ 10-15 წლის შემდეგ მისი მარაგი საეროდ ამოიწურება[23]. ამ ვითარების გამო 1974 წლის 24

---

[19] Правда 12 января 1979 г.

[20] Галыбин — Намибия (Юго-Западная Африка) в планах колонизаторов, 1946—1970 гг. М., 1971 г. стр. 110.

[21] «Правда», 19 апреля 1980.

[22] П. И. Мачха — Актуальные проблемы современной Африки М., 1979 г. стр. 263.

[23] Анатолий Громыко — Африка прогресс, трудности, перспективы, М., 1981. стр. 206.

აგვისტოს გაეროს ნამიბიის საბჭომ თავის 204-ე სხდომაზე განიხილა გაეროს ნამიბიის კომისრის მიერ წარმოდგენილი პროექტი დეკრეტისა ნამიბიის ბუნებრივი რესურსების დაცვის შესახებ, რომლის მიზანია დამოუკიდებლობის მოპოვებამდე შეწყდეს ალმასების საბადოების მძარცველური ექსპლოატაცია, სათანადო განხილვის შემდეგ თავის 209-ე სხდომაზე 1975 წლის 27 სექტემბერს ნამიბიის საბჭომ მიიღო დეკრეტის ტექსტი, რომელშიც ნათქვამია, რომ გაეროს ნამიბიის საბჭო მხარს უჭერს გენერალური ასამბლეის 1803 (XXII) 1962 წლის 14 დეკემბრის რეზოლუციას, რომელიც აცხადებს ხალხების უფლებას თავისი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრისა და რესურსების განუყოფელ სუვერენიტეტზე და აღნიშნავს, რომ სამხრეთ აფრიკამ უხეშად დაარღვია ეს უფლება. გაეროს ნამიბიის საბჭო ადგენს: 1. არც ერთ პირს ან ორგანოს არა აქვს ნამიბიის ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსების ძებნის, დაზვერვის, გამოკვლევის, მიღების, რეწვის, დამუშავების, გამოყენების, გაყიდვის და ექსპორტირების უფლება, თუ არ ექნებათ გაეროს ნამიბიის საბჭოს ნებართვა.

2. ნებისმიერი ნებართვა, კონცესია ან ლიცენზია, რომელიც ზემოაღნიშნულ პუნქტში მოყვანილი მიზნებისთვის არის გაცემული სამხრეთ აფრიკის ან ე. წ. „სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ადმინისტრაციის" მიერ, ძალადაკარგული და ანულირებულია.

ნამიბიის პრობლემა გაეროს გენერალური ასამბლეის, უშიშროების საბჭოსა და მთელი რიგი დამხმარე ორგანოებისა და სპეციალიზებულ დაწესებულებათა მუშაობის დღის წესრიგში რჩება. თანამედროვე პირობებში გაეროს წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობა ერთსულოვანია, რომ ნამიბიის გათავისუფლება სავსებით შეესაბამება კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების დეკლარაციის მოთხოვნებს.

ასეთ პირობებში მთავარია გადაილახოს ნატოს მთავარი ქვეყნების წინააღმდეგობა, რომლებიც უშიშროების საბჭოში ვეტოს უფლებას იყენებენ ნამიბიის ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდ, უზრუნველყოფილ იქნეს ნამიბიის პრობლემის გამო მიღებული გადაწყვეტილების შესრულება, სამხრეთ აფრიკის რასისტული სახელმწიფოს მიმართ გაეროს წესდების VII თავში გათვალისწინებული საერთაშორისო სანქციების ეფექტიანი გამოყენება.

საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს ნამიბიელი ხალხის უფლებას მოიპოვოს დამოუკიდებლობა, ტერიტორიის მთლიანობისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის საფუძველზე. საბჭოთა სახელმწიფო ცნობს ნამიბიის სამართლიან ბრძოლას, მხარს უჭერს გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს ყველა გადაწყვეტილებას ნამიბიის მიმართ.

გადამწყვეტი სიტყვა ნამიბიაში ნათელი მომავლის უზრუნველყოფისათვის ეკუთვნის მის ხალხს.

ამჟამად ნამიბიელი ხალხის ბრძოლაში გადამწყვეტი ფაზა დადგა და რასისტებისა და იმპერიალისტების დანაშაულებრივი ბლოკის არსებობის მიუხედავად არ არის შორს ის საათი, როდესაც ნამიბიელი ხალხი მოიპოვებს თავის კუთვნილ კანონიერ ადგილს აფრიკის თავისუფალი ხალხების ძმურ ოჯახში.

# თინათინ წერეთლის პიროვნება

„გამოჩენილი პიროვნების მორალურ თვისებებს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვთ მოცემული თაობისა და ისტორიის მთელი მსვლელობისათვის, ვიდრე წმინდა ინტელექტუალურ მიღწევებს. უკანასკნელი გაცილებით უფრო მეტადაა დამოკიდებული ხასიათის სიდიადისაგან, ვიდრე ეს ჩვეულებრივადაა მიღებული“.

ალბერტ აინშტაინი.

გ. ტყეშელიაძე,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი



თინათინ წერეთელი თანდაყოლილი ნიჭიერებითა და ძლიერი ნებისყოფით გამოირჩეოდა. ამ ნებისყოფის საბოლოო დასაყრდენს, მისი დაუცხრომელი ენერგიის სათავეს თ. წერეთლის მაღალი მოთხოვნილებები წარმოადგენდა, რის წყალობითაც მას შეეძლო დაუფლებოდა თავის ქცევას და მეცნიერების ინტერესებისათვის ჭეშმარიტად ნებითი მოქმედება შეესრულებინა.

ამ მოთხოვნილებების ჩამოყალიბება და განვითარება ჯერ კიდევ ბავშვობიდანვე დაიწყო. მე საგულდაგულოდ გავეცანი თინათინ წერეთლის მშობლების — ვასილ წერეთლისა და ქეთევან ჩიქოვანის ცხოვრებისათვის დამახასიათებელ ფაქტებს. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ტრივიალურ ჭეშმარიტებაში, რომ სწორედ ოჯახია ის პირველსაწყისი წყარო, სადაც შესაძლებელია ბავშვს ჩვევად ექცეს პოზიტიური ინტერესებით მოქმედება.

ვასილ წერეთელი ძველი ფორმაციის დარბაისელი ინტელიგენტი იყო. დღენიადაგ მუშაობდა და საკუთარი მოღვაწეობის მაგალითზე შვილებსაც შრომისადმი სიყვარულს უნერგავდა. მისი ქალიშვილი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ელენე წერეთელი ასე იგონებს მამას: „ვასილ წერეთელი იყო პიროვნება, აღჭურვილი უაღრესად კეთილშობილური თვისებებით, საოცრად კაცთმოყვარე, არაჩვეულებრივად თავდადებული საქმისადმი და უანგარო. სწორედ ამიტომ აირჩია მან თავის პროფესიად ექიმობა. მას უნდოდა თავისი საქმით როგორმე შეემსუბუქებინა თავისი ხალხისათვის მძიმე ცხოვრება, ებრძოლა მძიმე ეპიდემიებთან და დაავადებებთან“.

ცოდნისადმი მისწრაფება თ. წერეთელს, მის დებსა და ძმას — აკადემიკოს ვიორგი წერეთელს მამის საქციელიდან ჩაესახათ. ვ. წერეთელს შესწავლილი ჰქონდა ფილოსოფია, ერკვეოდა პოლიტეკონომიაში, აინტერესებდა სოციოლოგია, ისტორია, იურისპრუდენცია (იგი ერთხანს ოდესის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა), იცნობდა მხატვრულ ლიტერატურასა და ხელოვნების თეორიას. უფრო მეტიც, მან უამრავი წერილი გამოაქვეყნა რევოლუციამდელ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში

(სხვათა შორის, მისი სოციალურ-ეკონომიკური და ფილოსოფიური შეხედულებები კრიტიკულად არის შეფასებული ჩვენს მარქსისტულ ისტორიოგრაფიაში).

თ. წერეთლის დედის, სათნო და კეთილი პიროვნების — ქეთევან ჩიქოვანის გულღია და სტუმართმოყვარე ხასიათი ბევრად უწყობდა ხელს იმას, რომ წერეთლების ოჯახში ხშირად გამართულიყო მუსაიფი ლიტერატურის, განსაკუთრებით პოეზიის ,ხელოვნების, კულტურის, მუსიკის ისტორიის საკითხებზე. მათ ოჯახში იკრიბებოდნენ იმდროინდელი ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები: აკაკი წერეთელი, გალაკტიონ ტაბიძე, დავით კლდიაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, დიმიტრი უზნაძე და სხვები.

თ. წერეთლის გიმნაზიელი მეგობრები ერთხმად ადასტურებენ მის ნიჭიერებას. ჩვენი სასიქადულო მწერლის დავით კლდიაშვილის ქალიშვილი ქეთევან კლდიაშვილი თ. წერეთელზე თავის მოგონებაში წერს: „მუდამ წიგნებში ჩაფლული, გაკვეთილებზეც მერხის ქვეშ ამოდებულ წიგნს ჩასცქეროდა. მასწავლებლის გამოძახების დროს ჩვენი ერთი-სიტყვის კარნახი საკმარისი იყო, რომ მიმხვდარიყო, თუ რაზე იყო გამახვილებული მასწავლებლის შეკითხვა. თიკო ბრწყინვალედ უპასუხებდა, ისე, რომ არც კი იგრძნობდა მასწავლებელი, თუ მოწაფე სხვა რამეთი იყო გატაცებული“. თ. წერეთლის ამ თვისებებს ადასტურებს მისი მეორე გიმნაზიელი მეგობარი თამარ შარაშიძე-ჯაფარიძე: „თიკო კითხულობდა ძალიან ბევრს გიმნაზიაშიც, სახლშიც. სულ მიკვირდა, როდისღა ამზადებდა გაკვეთილებს. როგორც ჩანს, თავისი ზოგადი განათლებით, საკითხვა მასალაში რაღაც არაბავშვური სიდინჯით და სიღრმით წვდომის უნარით, დაკვირვებით საგნებსა და მოვლენებზე, თანდათან ყალიბდებოდა არა სტანდარტული და ჩვეულებრივი წარჩინებული გიმნაზიელი მოსწავლის სტერეოტიპი, არამედ მთლიანი პიროვნება და მოაზროვნე ადამიანი. გიმნაზიელი ამხანაგები ყველაფერ ამას შეიძლება ბავშვობისა და გამოუცდელობის გამო ბოლომდე ვერ ვიზიარებდით, მაგრამ ქვეცნობიერად ყოველთვის ვგრძნობდით და უდიდეს პატივს ვცემდით თიკო წერეთლის დიდ შინაგან ძალას“.

უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლისას თ. წერეთელმა იმთავითვე მიიქცია ყურადღება თავის ასაკთან შედარებით დიდი განათლებით. თ. წერეთლის მეულლე. ცნობილი საბჭოთა კრიმინალისტი ვლადიმერ ჩაყაშვილი პირველ შთაბეჭდილებად ასახელებს თ. წერეთლის მხატვრულ გემოვნებასა და გასოცარ მეხსიერებას. ეს კი მას შესაძლებლობას აძლევდა ადვილად დაეშახსოვრებინა და ზეპირად წარმოეთქვა პუშკინის, ლერმონტოვის, ტიუტჩევის, ბლოკის, პასტერნაკის, მაიაკოვსკის და სხვათა მრავალი ლექსი. მას ღრმად ესმოდა ცვეტაევა, სიყვარულით ეკიდებოდა ფრანგ პოეტებსაც — ბოდლერს, ვერლენს, რემბოს, ვერჰარნის და სხვ. რასაკვირველია, ქართველი კლასიკოსები ბავშვობიდანვე იცოდა. თვალყურს ადევნებდა თანამედროვე ქართულ, რუსულ და უცხოურ ლიტერატურას.

ჩემს მეხსიერებაში არასდროს წაიშლება ასეთი სცენა: ლენინგრადში ვართ. ეს იყო 1964 წელი. აქ შეიკრიბნენ სახელმოხვეჭილი კრიმინალისტები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან და ევროპის სოციალისტური ქვეყნებიდან. განიხილებოდა სისხლის სამართლის მეცნიერების საკვანძო პრობლემები. შესვენებისას ნევის პროსპექტზე გამოვედით. შევჩერდით პეტრე პირველის ბრინჯაოს მხედართან. ყველასათვის მოულოდნელად თ. წერეთელმა ხმადაბლა ა. პუშკინის პოემა „ბრინჯაოს მხედრის“ შესავლიდან ზეპირად ერთი ტაეპი წარმოსთქვა :

«И думал он:
Отсель грозить мы будем шведу,
Здесь будет город заложен
Назло надменному соседу.
Природой здесь нам суждено
В Европу прорубить окно,
Ногою твердой стать при море.
Сюда по новым им волнам
Все флаги в гости будут к нам,
И запируем на просторе».

მაგრამ თ. წერეთლის თვალსაწიერი მხოლოდ მხატვრული ლიტერატურით არ შემოფარგლულა. უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლისას მისი ინტერესები კიდევ უფრო გამრავალფეროვნდა და უპირველესი მნიშვნელობა მოიპოვა სამართლის მეცნიერების დაუფლების მისწრაფებამ. ამის ნათელი დასტურია ვ. მაყაშვილის ნაამბობი გამოცდებისათვის მზადების შესახებ.

თ. წერეთელი და ვ. მაყაშვილი არ კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ იმით, რასაც ლექტორი დაასახელებდა აუცილებელ ლიტერატურად. ისინი ღრმად სწავლობდნენ ძირითად კურსებსა და სახელმძღვანელოებს, მონოგრაფიებსა და მნიშვნელოვან სტატიებს. მაგალითად, სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში გამოცდების ჩასაბარებლად თ. წერეთელსა და ვ. მაყაშვილს შეუსწავლიათ ტა-

განცევის „ლექციები..“ (ორი ტომი), სერგეევსკისა და ფრანც ლისტის სახელმძღვანელოები და პოინტკოვსკის სახელმძღვანელო. სისხლის სამართლის პროცესის მომზადებისას მათ შეუდგენიათ ყველა ძირითად პრობლემაზე ერთიანი კონსპექტი. ამ კონსპექტს საფუძვლად დადებია ფოინიცკის ორი ტომი, სლუჩევსკისა და როზინის ვრცელი სახელმძღვანელოები, ლიუბლინსკის მონოგრაფია ინგლისის მტკიცებითი სამართლის შესახებ, ვლადიმიროვის ნაშრომი მტკიცებულებათა შესახებ, პოლიანსკის ნარკვევები სისხლის სამართლის პროცესში, სათანადო სტატიები. როდესაც გასცნობია ამ ერთიან კონსპექტს, რომელშიც შესასწავლი საგნის პრობლემატიკა და შესაბამისი საკითხები იყო გაშუქებული, ლ. ანდრონიკაშვილს გადაუწყვეტია არ გამოეცადა ისინი. მაგრამ ორივეს დაუჩემებია, რომ გამოცდა უსათუოდ შემდგარიყო. მისწრაფება საგნების ფუნდამენტური შესწავლისა ‘იმდენად დიდი იყო, რომ სამოქალაქო სამართლის კერძო ნაწილი მათ ნაწილ-ნაწილ ჩაბარეს. ეს კი შესაძლებელს ხდიდა გაცილებით უფრო ღრმად აეთვისებინათ საგანი.

მეცნიერებისადმი ასეთ დაუოკებელ ლტოლვას თ. წერეთელი უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ განსაკუთრებით ავლენდა სისხლის სამართლის ფუნდამენტური პრობლემების შესწავლისას. ამ თვალსაზრისით მეტად დამახასიათებელია მისი მონაწილეობა სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის მაღალი ტიპის სემინარში. ეს სემინარი ლ. ანდრონიკაშვილმა დაარსა 1934 წელს თბილისის უნივერსიტეტში. მეთოდიკური თვალსაზრისით ამ სემინარის მუშაობა მეტად თავისებური იყო: აქ იხილავდნენ კლასიკურ კაზუსებს — ნ. სერგეევსკის მიერ შედგენილი კაზუსების კრებულის მიხედვით და ავრეთვე რთულ შემთხვევებს საბჭოთა სასამართლო პრაქტიკიდან. განსახილველად მოჰქონდათ დამახასიათებელი სასამართლო საქმეები არქივიდან, რომელთა შერჩევა ხდებოდა წამყვან პრაქტიკოს მუშაკებთან კონსულტაციის საფუძველზე.

როგორც ვ. მაყაშვილი იგონებს, ლ. ანდრონიკაშვილმა შეიმუშავა კაზუსების განხილვის მისეული მეთოდიკა. თავდაპირველად კაზუსს იგი შესავალ ლექციაში ახასიათებდა, დაფაზე ხაზავდა მისი განხილვის სქემას, თანაც ახდენდა ილუსტრაციას ცხოვრებისეული მაგალითებით. სასამართლო საქმეთა განხილვაში მონაწილეობდნენ სტუდენტებიც. მათ შორის ხდებოდა როლების განაწილება: ერთი სემინარს საქმის შინაარსს მოახსენებდა, თანაც თავს იკავებდა ანალიზისა და შეფასებისაგან, ხოლო დანარჩენი ორი ბრალმდებლის როლში გამოდიოდა, ორი კი დამცველისა. ამოცანა ის იყო, რომ სტუდენტები ღრმად ჩასწვდომოდნენ განსახილველი საკითხის არსს. ამისათვის კი, რასაკვირველია, წინასწარი მომზადება იყო საჭირო.

სემინარისათვის ყველა გულდასმით ემზადებოდა. საანალიზოდ შერჩეულ კაზუსს ან სასამართლო საქმეს სწავლობდნენ ასისტენტები მატერიალური სისხლის სამართლის, პროცესისა და კრიმინალისტიკის თვალსაზრისით. ამასთან ცდილობდნენ დაედგინათ განსახილველი თეორიული საკითხების წრე, რომლებიც შეიძლება წარმოშობილიყო კაზუსის ან სასამართლო საქმის განხილვისას. ამის შემდეგ შეიკრიბებოდნენ ლ. ანდრონიკაშვილთან და დეტალურად განიხილავდნენ შესწავლილ მასალას. ამით ისახებოდა სასემინარო მეცადინეობის ხასიათი და მიმართულება. იმავდროულად ასისტენტები ამზადებდნენ იმ სტუდენტებს, რომლებსაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ კაზუსის განხილვაში. მათ განუმარტავდნენ, თუ რა მომენტებზე უნდა გაემახვილებინათ ყურადღება საქმის შინაარსის გადმოცემისას როგორ უნდა აეგოთ საბრალდებო და დაცვითი სიტყვა. მათი სტრუქტურა და სხვ.

სემინარის მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენდა ხელმძღვანელის ან ასისტენტის დასკვნა იმ საკითხებზე, რომლებიც წარმოიშობოდა კონკრეტული მასალის განხილვისას. პრობლემის მეცნიერული დახასიათება ფართო იყო .აქ შუქდებოდა ყველა ძირითადი კონცეფცია, რომელსაც ემხრობოდა ცალკეული მეცნიერი ამა თუ იმ საკითხის განხილვისას, სხვადასხვა კონკრეტული შემთხვევის გადაწყვეტის ვარიანტები. დასკვნაში ნათლად უნდა ყოფილიყო ნაჩვენები თეორიისა და პრაქტიკის ზემოქმედება. ნებისმიერი კონკრეტული მასალის განხილვისას აქცენტი კეთდებოდა თეორიისა და პრაქტიკის მოთხოვნებზე, იმაზე, თუ რა თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა შესაბამის დებულებას. არკვევდნენ, რომელს უნდა მისცემოდა უპირატესობა ანდა ხომ არ იყო შესაძლებელი მისი დამოუკიდებელი, არგუმენტირებული გადაწყვეტა. ვ. მაყაშვილი დასძენს, რომ ასეთი დასკვნა უეჭველად შეიცავდა მეცნიერული კვლევის ელემენტებს. ამის გამო ასისტენტებისათვის სემინარი წარმოადგენდა კვლევაძიებითი ჩვევების გამომუშავების

ნამდვილ სკოლას. საკმარისია ითქვას, რომ ინტერესი სისხლის სამართლის ისეთი ფუნდამენტური პრობლემისადმი, როგორიცაა მიზეზობრივი კავშირი, თ. წერეთელს აღეძრა მაშინ, როდესაც განხილული კაზუსების საფუძველზე მოუხდა ამ პრობლემაზე დასკვნის გაკეთება.

თ. წერეთლის ძლიერი ნებისყოფა, რომელსაც ასეთი ზოგადი და პროფესიული ცოდნა ედო საფუძვლად, გამბედაობაშიც ვლინდებოდა.

1937 წელს სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგეობა მიანდეს ლ. ანდრონიკაშვილს. ლ. ანდრონიკაშვილმა სთხოვა თ. წერეთელს წაეკითხა ვეებერთელა სამასსათიანი კურსი სამოქალაქო სამართლის კურსის წასაკითხად უთხრა მასწავლებელს. თ. წერეთელი ერთობ შეაშფოთა ურთულესი ამოცანის სიმძიმემ და სირთულემ, მაგრამ გაბედულად შეუდგა მოვალეობის შესრულებას. თ. წერეთელმა დაიწყო ინტენსიური, დაძაბული მუშაობა სამოქალაქო სამართლის კურსის წასაკითხად-დგებოდა დილის 6 საათზე და მთელი დღე დაძაბულად მუშაობდა. მაღალი მოვალეობის შესრულებისათვის იგი თავის თავს არ ზოგავდა. სამოქალაქო სამართლის კურსის კითხვასთან ერთად განაგრძობდა მუშაობას სემინარში, თანაც რამდენიმე ნაშრომი გამოაქვეყნა. უფრო მეტიც, 1943 წელს დაასრულა ნაშრომი „ობიექტური მომენტის მნიშვნელობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის". ეს ნაშრომი მან იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარადგინა. მას მაღალი შეფასება მისცეს მოსკოველმა სწავლულებმა— პროფ. მ .ისაევმა, პროფ. ა. ტრაინინმა, პროფ. ნ. დურმანოვმა, პროფ. ა. პიონტკოვსკიმ, პროფ. ბ. უტევსკიმ, პროფ. ა. გერცენზონმა და სხვ. ამ ნაშრომზე 1943 წლის 13 ოქტომბერს პროფ. მ. ისაევი თ. წერეთელს სწერდა: „თქვენ მე მომანიჭეთ უდიდესი სულიერი სიამოვნება. როგორც კი მივიღე თქვენი დისერტაცია, მე ყველაფერი გვერდზე გადავდე და დაუყოვნებლივ მის კითხვას შევუდექი. თქვენი ნაშრომის გულდასმით შესწავლის შედეგს წარმოადგენდა ჩემს მიერ გამოგზავნილი დეპეშა. თქვენი ნაშრომი ჭეშმარიტად ძვირფასი მეცნიერული გამოკვლევაა. თქვენ გვევლინებით როგორც დასრულებული ოსტატი. რამ მიმიზიდა უპირველეს ყოვლისა: ეს არის მტკიცე ფილოსოფიური საძირკველი, რომელზეც თქვენ დგახართ. ფილოსოფიური მომზადება თქვენ დაგეხმარათ გადაგეწყვიტათ რიგი პრინციპული საკითხები მიზეზობრივი კავშირის, საშიშროების შესახებ და ა. შ. ტრაინინი თქვენ სავსებით დამსახურებულად გააკრიტიკეთ. თქვენ მიერ შერჩეული თემა უაღრესად საინტერესოა. თქვენ დააყენეთ მეტად საინტერესო პრობლემა ობიექტური მომენტის მნიშვნელობის შესახებ. და არა მარტო დააყენეთ, არამედ მნიშვნელოვანწილად გადაწყვიტეთ. ობიექტური მომენტის თვალსაზრისით ისეთი საკითხების ანალიზი, როგორიცაა მომზადება, მცდელობა, თანამონაწილეობა და სხვა, ჩვენ გვაიძულებს ახლებურად შევხედოთ ამ პრობლემებს. თქვენ მშვენივრად იყენებთ არა მარტო თანამედროვე, არამედ რევოლუციამდელ ლიტერატურას. თქვენ გააანალიზეთ და გააკეთეთ განმაზოგადებელი დასკვნები საბჭოთა ლიტერატურიდან, ამოიღეთ სასარგებლო თვით მცირე საჟურნალო სტატიებიდანაც კი. გერმანული ლიტერატურა საკმარისზე მეტია. ჩემს ხელში გაიარა ბევრმა საკანდიდატო დისერტაციამ. მაგრამ არც ერთი არ არის ისეთი, რომ თქვენი დისერტაციისათვის შემედარებინა. მაგრამ რატომ მივმართო შედარებებს, თქვენი ნაშრომი კარგია თავისთავად, აბსოლუტურად და არა შედარებით. თუ საჭირო იქნება, მე დიდი სიამოვნებით მოგცემთ ოფიციალურ დასკვნას". მეორე წერილში (1944 წლის 18 დეკემბერი) პროფ. მ. ისაევი აღნიშნავდა: „თქვენ დააყენეთ უაღრესად საინტერესო პრობლემა, დააყენეთ სავსებით ორიგინალურად და მოგვეციით ამ პრობლემის გადაწყვეტა. რუსულ ლიტერატურაში არ არის ასეთი საინტერესო ნაშრომი, რომელიც ასე სრულად ასახავდეს ობიექტური მომენტის მნიშვნელობას სისხლის სამართალში. კითხულობ და არ იცი, რაში არ შეიძლება თქვენ დაგეთანხმოთ, ისეა ყველაფერი დამაჯერებელი და დასაბუთებული. ყველას ვუსურვებდი დაეწერა ასეთი სადოქტორო დისერტაცია"[1].

დაუშრომელმა და ინტენსიურმა მუშაობამ თ. წერეთელი ძლიერ გამოფიტა ფიზიკურად და იგი საავადმყოფოში მოათავსეს. დიაგნოზი: მწვავე დისტროფია. როდესაც თ. წერეთელი ინახულა ცნობილმა ქართველმა თერაპევტმა ნ. ყიფშიძემ, მან ლაკონიურად მიუთითა — შაქარი, კარაქი. სხვა მკურნალობა საჭირო არ იყო. კვების რეჟიმის გაუმჯობესების წყალობით თ. წერეთელი მალე განი-

[1] მეტად დასანანია, რომ ეს ნაშრომი დღემდე არ გამოქვეყნებულა. მას ოდანავადაც არ დაუკარგავს მეცნიერული ღირებულება და პრაქტიკული მნიშვნელობა.

კურნა და ისევ მეცნიერულ მუშაობაში ჩაება.

თ. წერეთლის თანხმობა, წასულიყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დოქტორანტურაში, მისგან დიდ ძალისხმევას მოითხოვდა. ომი ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო, ცხოვრება ჭირდა, ისევ გრძელდებოდა სასურსათო კრიზისი, თავად თ. წერეთელი ჯერ კიდევ მთლად მოკეთებული არ იყო, თბილი ტანსაცმელი არ ჰქონდა, მოსკოვში წასვლა ერთობ საშიში გახდა. ახლა მოსკოვში ბინის შოვნა, ვლადიმერ მაყაშვილის მძიმე ავადმყოფობა, მცირე ხელფასი. ოჯახს ვ. მაყაშვილის და არჩენდა .ასეთი უაღრესად არახელსაყრელი პირობების მიუხედავად თ. წერეთელმა მაინც გადაწყვიტა დოქტორანტურაში წასვლა. ამან მომავალში ბევრად შეუწყო ხელი იურიდიული მეცნიერების განვითარებას საქართველოში.

თ. წერეთელი გამარჯვებებისა და დამარცხებების რთულ ლაბირინთში ყოველთვის დინჯად მიაბიჯებდა. მისი შინაგანი რწმენა, შინაგანი სიამაყე ანელებდა უარყოფით ემოციებს. თ. წერეთელი არასდროს არ ეძლეოდა სასოწარკვეთილებას, მაშინაც კი, როდესაც შექმნილი ვითარება თითქოსდა წალეკვას უქადდა მის სანუკვარ მიზნებსა და ოცნებებს. რა თქმა უნდა, მასში ღრმა სულიერ ტკივილს იწვევდა ზოგიერთის მიერ მის წინააღმდეგ უსაფუძვლო ფარული თუ აშკარა გალაშქრება, მაგრამ უიმედობის განცდა მას არასდროს არ დაუფლებია. კოლეგებს აკადემიის სამართლის სექტორიდან, და მეც კარგად გვახსოვს ის ოლიმპიური სიმშვიდე, რომლითაც თ. წერეთელი შეხვდა სამართლის სექტორის ხელმძღვანელის თანამდებობაზე მის წინააღმდეგ მოწყობილ უკანონო კენჭისყრას. მდგომარეობას ართულებდა ის, რომ მოქიშპეებს მხარს უჭერდა ზოგიერთი გავლენიანი პირი. ასეთ სიტუაციაში არცთუ ისე მცირე მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ როგორ მოიქცეოდა თ. წერეთელი. თ. წერეთელს კი სრულიად არ დაუკარგავს წონასწორობა, განაგრძობდა მუშაობას მონოგრაფიაზე ლუარსაბ ანდრონიკაშვილის შესახებ. საბოლოოდ ყველაფერი გაირკვა და სამართლიანობა აღდგა.

მოწინააღმდეგის მიმართ თ. წერეთელი მტკიცე, პირდაპირი და შეუდრეკელი იყო. მისთვის უცნობი არ იყო სიძულვილისა და უნდობლობის განცდა, მაგრამ ეს განცდა არასდროს არ გამოვლენილა ვინმეს დამცირებით.

ზემოთ უპირატესად თ. წერეთლის ნებისყოფაზე გავაკეთე აქცენტი. ცნობილია, რომ ძლიერი ნებისყოფის ადამიანი შეიძლება კეთილიც იყოს და ბოროტიც. თ. წერეთელი თავის ძლიერ ნებისყოფას სრულად და უშურველად კეთილშობილურ მიზნებს ახმარდა, უფრო ზუსტად, მისი ხასიათის წამყვან ტენდენციას ყოველთვის კეთილგანწყობილება წარმოადგენდა. ამის დასადასტურებლად მრავალთაგან მხოლოდ რამდენიმე საგულისხმო ფაქტს მოვიტან:

ნათქვამია, ვინც შეგირდი არ ყოფილა, ვერასდროს უსტაბაში ვერ გახდებაო. თ. წერეთელი კი ლუარსაბ ანდრონიკაშვილის შეგირდობით სახელმოხვეჭილი უსტაბაში გახდა. სწორედ ამის გამო იგი განსაკუთრებული პატივისცემითა და მოკრძალების გრძნობით ეკიდებოდა ლუარსაბ ანდრონიკაშვილის სახელს. ჩემს კითხვაზე: რატომ შეარჩიეთ სამართლის დარგი სამეცნიერო ასპარეზად? მან დაუყოვნებლივ მიპასუხა: ჩემი სამეცნიერო მოღვაწეობის მიმართულების განსაზღვრაში გადამწყვეტი როლი პროფესორ ლუარსაბ ანდრონიკაშვილს მიუძღვისო. ამ ლაკონიურ პასუხში ჩანდა მოწაფის სანიმუშო ერთგულება მისი სახელოვანი მოძღვრისადმი. მარტო ის რად ღირს, რომ თ. წერეთელმა თავისი უმთავრესი ნაშრომი მიზეზობრიობის შესახებ სისხლის სამართალში პროფ. ლ. ანდრონიკაშვილის ხსოვნას მიუძღვნა, ხოლო 1976 წელს თ. წერეთელმა გამოსცა მონოგრაფია, რომელშიც რევოლუციამდელ რუსეთში ლ. ანდრონიკაშვილის საადვოკატო მოღვაწეობაა გაშუქებული.

სხვათა შორის, თ. წერეთლის ეს წიგნი დიდი ინტერესით მიიღო მკითხველმა საზოგადოებრიობამ. თბილისის უნივერსიტეტის მაშინდელმა რექტორმა აკად. ი. ვეკუამ ამის შესახებ თ. წერეთელს 1976 წლის 1 აპრილს ასეთი ბარათი გამოუგზავნა: „უპირველესად მადლობა მინდა მოგახსენოთ თამარისა და ჩემი სახელით თქვენი შესანიშნავად დაწერილი წიგნის მოძღვნისათვის პროფ. ლ. ანდრონიკაშვილზე. დიდი ხანია მე ამისთანა ცოცხლად და საინტერესოდ დაწერილი წიგნი მეცნიერზე და საზოგადო მოღვაწეზე არ შემხვედრია. წიგნი სულმოუთქმელად იკითხება. უეჭველია, მას ბევრი მკითხველი ეყოლება. სასურველია ის რუსულ ენაზე გამოიცეს“.

ასევე მაღალი შეფასება მისცა ამ წიგნს აკად. ა. შანიძემ. იგი თ. წერეთელს 1976 წლის 17 სექტემბერს სწერდა: „ულრმეს მადლობას მოგახსენებთ თქვენი ძვირფასი წიგნის მოძღვნისათვის ბ-ნ ლუარსაბ ანდრონიკაშვილის რევოლუციური მოღვაწეობის

შესახებ. ამ წიგნის წაკითხვამ განსაკუთრებული სიამოვნება მომგვარა. ბ-ნ ლუარსაბი არაჩვეულებრივი ნათელი პიროვნება იყო, რომელიც ყველას ხიბლავდა, ვინც კი მას ხვდებოდა და იცნობდა".

თავის მხრივ თ. წერეთელი თავდავიწყებამდე ზრუნავდა იურიდიული მეცნიერების განვითარებისათვის საქართველოში. იგი მართლაც სანთლით დაეძებდა ახალგაზრდას, რომელიც შემოქმედებითი ნიჭით იქნებოდა გამორჩეული. არათუ დაეძებდა, არამედ მოძებნის შემდეგ ინტენსიურად იწყებდა ვ. მაყაშვილთან ერთად ამ ახალგაზრდის ჯერ ზნეობრივ, შემდეგ კი მეცნიერულ წვრთნას. ამისათვის არ იშურებდა დროს, მზად იყო ყველაფერი გვერდზე გადაედო, ოღონდ მიზნისათვის მიეღწია და სამართლის მეცნიერების ღირსეული მსახური აღეზარდა. ამ მიმართულებით მუშაობას იგი თავისი მეცნიერული მოღვაწეობის ნაწილად თვლიდა. ახალგაზრდა მკვლევარისათვის დასახმარებლად თ. წერეთელი სულ სხვადასხვა ფორმებს იყენებდა: ყოველდღიური კონსულტაციები და პრობლემის დამუშავებისას წამოჭრილი სადავო საკითხების განხილვა, მისი ნაშრომის ნაწილ-ნაწილ და შემდეგ მთლიანად კრიტიკული წაკითხვა. ამით თ. წერეთელი აზუსტებდა საძიებელი საკითხის არსს, თანაც ცდილობდა ესწავლებინა მოწაფისათვის აზრის ნათლად და თანმიმდევრულად გადმოცემა და ა. შ. დიდ ყურადღებას აქცევდა იგი ნაშრომის სტილს. თუ მიიჩნევდა, რომ ნაშრომი გამდიდრდებოდა უცხოური ლიტერატურით, მაშინვე იგი საათობით, ხოლო ზოგჯერ მთელი დღეებით თარგმნიდა მთელ გვერდებს, თავებს უცხოური წიგნებიდან და ჟურნალებიდან, თანაც ეს ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნდა.

1958 წლის მიწურულს მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ვიყავი მივლინებული. მოსკოვიდან წერილით შევატყობინე თ. წერეთელსა და ვ. მაყაშვილს ჩემი მუშაობის შესახებ. 1958 წლის 10 დეკემბერს თ. წერეთელმა ასეთი წერილი გამოგზავნა: „ძვირფასო გიორგი! მივიღე შენი წერილი, საიდანაც ჩანს, რომ ინტენსიურად მუშაობ დისერტაციაზე. ამ ამბავმა ძალიან გამახარა. კვირაში რამდენიმე საათი, რომელსაც კრიმინალისტიკაზე კარგავ, დაკარგული დრო არ არის. ყოველი ცოდნა გამოსადეგია. გეგმიდან ჩანს, რომ ბევრი გიფიქრია შენს თემაზე. სამწუხაროდ, მე ეხლა ძალიან დატვირთული ვარ სხვადასხვა სამუშაოთი და შესაძლებლობა არა მაქვს გადავთვალიერო ლიტერატურა და დაწვრილებით აზრი მოგწერო გეგმის თობაზე. ამიტომ ვჯერდები შენიშვნებს, რომლებიც ერთბაშად მომივიდა თავში გეგმის გაცნობისას. ჯერ ერთი, თემის სათაური მეტად ვიწროა. როგორც გეგმიდან ჩანს, შენი თემის მოცულობა არ არის შემოფარგლული მხოლოდ სასამართლო პრაქტიკით, არამედ იგულისხმება თეორიული საკითხებისა და აგრეთვე სხვადასხვა საკანონმდებლო ფორმულების განხილვა. ამიტომ უკეთესია თემის სახელწოდება უფრო ზოგადი (ჩამოაცილე სასამართლო პრაქტიკაზე მითითება). მეორე, ჩემში სერიოზულ ეჭვს იწვევს შენი დამოკიდებულება დანაშაულის იდეალური ერთობლიობისადმი". ამის შემდეგ წერილში თავად თემის საკითხებზეა საუბარი. შემდეგ კი ნათქვამია: „დურმანოვთან საუბარი შენთვის ძალიან სახარბიელო იქნება. მე გუშინწინ მივიღე მისი წერილი. აუცილებელია მასთან მიხვიდე. დაურეკე ტელეფონით და უთხარი, რომ წერილი გაქვს მასთან ჩემგან. წერილს გიგზავნი და გადასცემ. გარდა ამისა, კარგი იქნება, თუ სამართლის ინსტიტუტში გაეცნობი ბურუუაზიულ კოდექსებს (თანამედროვეს). მანდ უნდა იყოს თარგმნილი რუსულად და მანქანაზე დაბეჭდილი, მიმართე ჩემი სახელით ვერა ისაკოვნა კამიხსკაიას ან რაისა ოსიპოვნა ხალფინას და ისინი მოგიხერხებენ. ორივეს დაურეკე და გადაეცი ჩემი სალამი. გარდა ამისა, თუ რამე დაგჭირდეს, მოიწერე წერილი ან დეპეშა გამოგზავნე, რითაც შევძლებ, დაგეხმარები. როდის აპირებ დაბრუნებას? ჩვენთან ყველაფერი ძველებურად არის. ჩვენმა განყოფილებამ ესეს არის ძირითადად მოათავა იურიდიული ტერმინოლოგიის რედაქცია. ძალიან ბევრი დრო წაგვართვა. დღეში 8-10 საათი ვმუშაობდით და სადავო კიდევ ბევრი დაგვრჩა. წერილს ნუ დააგვიანებ. დურმანოვთან საუბრის შემდეგ აუცილებლად მომწერე. იყავი კარგად. შენი თ. წერეთელი. ვლადიმერმა გულითადი სალამი შემოგითვალა".

სამწუხაროდ, წერილის მოცულობა შესაძლებლობას არ მაძლევს გაგაცნოთ ის ღრმა შთაბეჭდილებები და საგულისხმო დაკვირვებები, რომლებიც თ. წერეთლის მოწაფეებს: იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს თ. შავგულიძეს, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს ა. გაბიანს, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატებს ჯ. ბაბილაშვილს, ო. გამყრელიძეს, ლ. სურგულაძეს, მ. უგრეხელიძეს და სხვა მრავალ მოწაფეს აქვთ მათი სახელოვანი მასწავლებლის შესახებ.

თ. წერეთელი დიდი აღფრთოვანებით ხვდებოდა მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, სხვა

სამეცნიერო ცენტრების სწავლულ იურისტთა წერილებს, რომლებშიც მისი რომელიმე მოწაფის ნიჭიერებაზე იყო საუბარი. ასეთ წერილს, დიდსა თუ პატარას, აკადემიასა თუ უნივერსიტეტში ყველას აცნობდა. ეს მისთვის მართლაც დღესასწაული იყო.

მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი ნ. კუზნეცოვა მოგონებაში თ. წერეთლის შესახებ წერს: „თ. წერეთლის დიდ დამსახურებას წარმოადგენს ქართულ სწავლულთა სკოლის შექმნა. ბევრ მათგანს „ხარისხის წერეთლისეული ნიშანი“ ატყვია. მეცნიერების ამ რაინდებს განასხვავებთ ერთგულება ფუნდამენტური გამოკვლევებისადმი, ორიგინალობა და კომპეტენტურობა... სწორად ამბობენ ხალხში: ადამიანი ცოცხლობს თავის წიგნებსა და მოწაფეებში. მოწაფეები კი თინათინს ბევრი ჰყავს და არა მარტო საქართველოში“.

თ. წერეთელი ღრმად განიცდიდა მისი ახლობლისა თუ მოწაფის სულიერ ტრავმას, მაგრამ არასდროს მას განწირულად არ თვლიდა. მისთვის მთავარი იყო არა უბრალოდ შებრალება, არამედ აქტიური დახმარება, ყურადღება; სამართლის სექტორის ერთ თანამშრომელს შვილი გარდაეცვალა. თ. წერეთელი ყოველნაირად ცდილობდა დეპრესიით შეპყრობილი თანამშრომლის ამ მდგომარეობიდან გამოყვანას. მან ამ თანამშრომელს სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი წააკითხა, შემდეგ ობიექტურად მოიწონა და თანაც მეცნიერული კამათი გაუმართა .ამას აკეთებდა დიდი ტაქტით და უდიდესი გულისხმიერებით. ამით თ. წერეთელი ცდილობდა აღედგინა მისი აქტიურობა და შემოქმედებითი უნარი, შეძლებისდაგვარად გადაერთო მისი ცნობიერება სხვა ობიექტზე.

მის სერიოზულ, საქმიან გამომეტყველებაში, რომელიც ზოგჯერ მიუკარებლობის, პედანტობის შთაბეჭდილებას ტოვებდა, დაკვირვებული თვალი ყოველთვის შეამჩნევდა სითბოსა და სიმპათიას, ხოლო კერძო ურთიერთობაში — სისადავეს. მაგრამ ეს სითბო და სიმპათია არამც და არამც არ შეეხებოდა მეცნიერების ათვისების ინტერესებს. კარგად მახსოვს, პირველი, ასე ვთქვათ, არაოფიციალური გამოცდა, რომელიც მან და მისმა მეუღლემ ვლადიმერ მაყაშვილმა მომიწყეს შინ დანაშაულის მოძღვრების საკითხებზე. მათთან მივედი, ვღელავდი, მიმიღეს უაღრესად გულთბილად, თითქოსდა განმუხტეს ჩემი სულიერი მღელვარება. მაგრამ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემისას ნათლად ვიგრძენი, რომ სასიამოვნო მიღება პასუხის გაცემაზე აღარ ვრცელდებოდა.

თ. წერეთელი პირად ცხოვრებაში უაღრესად მოკრძალებული იყო. ეს თვისება მას სტუდენტობაშივე ახასიათებდა. აკად. ელეფთერ ანდრონიკაშვილი უპირველეს ყოვლისა სწორედ მის ამ თვისებაზე აკეთებს აქცენტს: „თინათინი ჩემი მამის ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი სტუდენტი იყო. იმ წლებში მას «Тинусик»-ს ეძახოდა. იგი ხშირად მოდიოდა ჩვენთან, როგორც წესი, თავისი მომავალი მეუღლის ვლადიმერ მაყაშვილისა და ქეთევან ამირაჯიბის თანხლებთ, რომლებიც მისი თანაკურსელები იყვნენ. ჩვენს შორის განსხვავება იყო 7-8 წელი. ამრიგად, თუ იგი 18 წლისა იყო, მე 10 ან 11 წლისა ვიყავი. იგი იყო იმდენად მოკრძალებული, იმდენად მდუმარე, იმდენად შეუმჩნეველი, რომ მე სულ მაკვირვებდა: რარ ნახა მამამ მასში საინტერესო და რატომ შეეძლო მას მიეჩნია იგი ტალანტად? სხვა საქმეა, ვფიქრობდი მე, ვლადიმერ (ვოლია) მაყაშვილი, რომელიც ყოველთვის ლაპარაკით იყო გატაცებული, უსმენდა მამას გაბრწყინებული თვალებით, გულღია...“

მამამისის მსგავსად თ. წერეთელი რაიმე პრობლემაზე ფიქრისას ზოგჯერ მთლიანად გამოეთიშებოდა გარემოს და მთელი ყურადღება კონცენტრირებული ჰქონდა მხოლოდ ამ პრობლემაზე. ეს ზოგჯერ კურიოზულ შემთხვევასაც იწვევდა. მახსოვს, სამართლის სექტორს ესტუმრა ცნობილ კრიმინალისტთა დელეგაცია: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან. თ. წერეთელმა სექტორის თანამშრომლები ამ დელეგაციას შეგვახვედრა. როგორც მიღებულია, მან თავდაპირველად დელეგაციას წარუდგინა სექტორის მეცნიერი თანამშრომლები გვარების მოხსენიებით. მოულოდნელად თ წერეთელი შეყოვნდა, ჩემსკენ გადმოიხარა და ხმადაბლა მკითხა: „მენაბდე რა გვარიაო“. მე დავიბენი და ვუპასუხე: როგავა-მეთქი.

თ. წერეთელი გამოერკვა და მის თვალებში დიდი გაოცება ამოვიკითხე. ამ შემთხვევაში მასწავლებელი და მოწაფე თანაბარ დონეზე აღმოჩნდნენ.

აკად. ე. ანდრონიკაშვილს სავსებით სწორად შეუმჩნევია თ. წერეთლისათვის კარდასახვის უნარი, როდესაც იგი ტრიბუნაზე ადიოდა: „და აი, მე დავინახე იგი მომხსენებლად კათედრაზე. ეს იყო მისი საკანდიდატო დისერტაციის დაცვა. არა! მე დავინახე არა თიკო წერეთელი, ყოველთვის ძუნწი ეესტებით, მიმიკით. მე დავინახე აღფრთოვანებული მშვენიერი ქალი, ქალი შთამაგონებული სილამაზით, გატაცებული აზრით, ელვარე თვალებით, თავისუფალი და ფართო ეესტებით. დიახ!— ვთქვი მე. — ყოველი ადამიანი უნდა შეიცნო შემოქმედებაში. იმ დღეს მე ვიხილე თიკოს მთელი არსი, საათნახევარში მე დავინახე ის, რაც ჩემთვის დაფარული იყო წლების განმავლობაში“.

თ. წერეთლის ზემოქმედების დიდ უნარს აუდიტორიაზე ადასტურებს აგრეთვე პროფ. ნ. კუზნეცოვა. იგი წერს: „ცოცხალ თ. წერეთელს მე შევხვდი ბრალის შესახებ ცნობილ დისკუსიაზე. მღელვარე კამათის მესამე დღეს.. „ურიდიული ინსტიტუტის მცირე დარბაზში თავმჯდომარემ გამოაცხადა პროფ. თ. წერეთლის გამოსვლის შესახებ. როგორც ახლა მახსოვს, ტრიბუნაზე მსუბუქად ავიდა ტანწერწეტა ქალი მადლმოფენილი სახის ლამაზი ნაკვთებით, თვალების გამჭრიახი ბრძნული გამოხედვით, რომლებიც ყველაფერს ხედავენ და ყველაფერი იციან, თუმცა არ ჩქარობენ დასკვნების გამოტანას. შინაგანი და გარეგანი სილამაზის ასეთი შერწყმა იშვიათი მოვლენაა და ამას არ შეეძლო ზემოქმედება არ მოეხდინა დისკუსიაზე; თ. წერეთლის გამოსვლის შემდეგ თვით ყველაზე როხროხა და კატეგორიული დისპუტანტები როგორღაც მყისვე დამშვიდდნენ, გაიღიმეს, უკვე თავაზიანად იქცეოდნენ“.

* * *

წინამდებარე წერილში მე ვცდილობდი ისე დამეხასიათებინა თ. წერეთლის პიროვნება, რომ მოწაფის ტენდენციური და გადაჭარბებული შეფასება საერთოდ გამომერიცხა. ამიტომ უპირატესად მხოლოდ ფაქტები მომქონდა ანდა სხვა პირების, სწავლულების მოგონებებს ვემყარებოდი[2]. მათი შეხედულებები თ. წერეთლის პიროვნების შესახებ საოცრად ერთსულოვანია. ამ ერთსულოვნების კიდევ ერთი ნათელი მაგალითია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკის პროფ. რ. ხალფინას მოგონება. ეს მოგონება სრულად ასახავს თ. წერეთლის მაღალ ინტელექტსა და ზნეობრიობას.

როგორც უკვე აღვნიშნე, 1945 წლიდან 1948 წლამდე თ. წერეთელი ხსენებული ინსტიტუტის დოქტორანტურაში იყო. აი, რას წერს ამის შესახებ პროფ. რ. ხალფინა: „ეს იყო ძნელი და მეტად საინტერესო ხანა. იმ ასპირანტთა, უმცროს და უფროს მეცნიერთანამშრომელთა შორის მრავლად იყვნენ ისეთებიც, რომლებიც შემდეგში ცნობილი მეცნიერები გახდნენ: ნ. დურმანოვი, ბ. ნიკიფოროვი, ვ. კირიჩენკო, ვ. კამინსკაია, ვ. კოტოვი, მ. ლაზარევი, დ. ლევინი, ნ. კუპრიცი და მრავალი სხვა. უფროსი თაობის მეცნიერთა შორის იყვნენ სამართლებრივი მეცნიერების ისეთი გამოჩენილი წარმომადგენლები, როგორიცაა ნ. პოლიანსკი, ა. ტრაინინი, მ. არუანოვი, ს. გოლუნსკი, ი. ლევინი, მ. აგარკოვი, ს. კეჩეკიანი, მ. სტროგოვიჩი. სამართლებრივი მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა შორის მუდმივი, ცოცხალი ურთიერთობა იყო. მხურვალედ განიხილებოდა სამართლის თეორიისა და მისი სხვადასხვა დარგის ზოგადი პრობლემები. შედარებით ახალგაზრდა კოლექტივს ცხოვლად აინტერესებდა და განიხილავდა არა მარტო პროფესიულ პრობლემებს, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემებსაც, ლიტერატურის, ხელოვნების საკითხებსაც. თინათინის გამოჩენამ ამ მღელვარე და ერთგვარად უწესრიგო კოლექტივში მყისვე მიიპყრო ყურადღება. მაშინ ჯერ კიდევ უცნობი იყო თანამედროვე სოციოლოგიის ტერმინი „არაფორმალური ლიდერი“. მაგრამ იმისათვის, რომ განვსაზღვროთ მისი ადგილი კოლექტივში, ეს ტერმინი ერთობ ელემენტარული და არასაკმარისი იქნებოდა. მისთვის უფრო სწორი იქნებოდა გვეწოდებინა კოლექტივის მეცნიერული სინდისი, მეცნიერული ეთიკის, მორალის, ადამიანური ურთიერთობების საკითხებში უმაღლესი ავტორიტეტი. თუკი შევეცდებით განვსაზღვროთ მისი სახე,

[2] უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო მათ ამ მოგონებების მოწოდებისათვის.

გადმოვცეთ ის, რასაც ყველა გრძნობდა, ვისაც კი მასთან ურთიერთობა ჰქონდა. შეიძლება ეს ერთი სიტყვით გამოვხატოთ — კეთილშობილება. იგი გამოიხატებოდა ყველაფრით—გარეგნობით, ხმით, მანერით, სიტყვით, რეაქციით სხვების სიტყვებსა და ქცევაზე. გასაოცარ გარეგნულ თავდაჭერას, რომლის იქით ინტუიციურად იგრძნობოდა ემოციურობა, რეაქციის სიმძაფრე, არ შეიძლება არ მოეხდინა დიდი შთაბეჭდილება გარეშე ხალხზე. მასთან ურთიერთობაში ადამიანები როგორღაც უფრო მკაცრად ეპყრობოდნენ თავიანთ თავს, უფრო მეტს მოითხოვდნენ საკუთარი მესაგან". პროფ. რ. ხალფინა ასეთი პატივისცემისა და ნამდვილი ავტორიტეტის მიზეზად თვლის თ. წერეთლის ღრმა ცოდნას, ფართო ერუდიციას, ბრწყინვალე ლოგიკას, მეცნიერის ნათელ ტალანტს. იქვე მიუთითებს ლიტერატურისა და განსაკუთრებით პოეზიის, ხელოვნების სხვადასხვა დარგის ღრმა ცოდნაზე. შემდეგ განაგრძობს: „მაგრამ ყველაზე მთავარი, რაც განსაზღვრავდა თინათინისადმი განსაკუთრებულ ურთიერთობას, იყო ის მაღალი მორალური მოთხოვნები, რომლებსაც იგი უპირველეს ყოვლისა თავის თავს უყენებდა. სწორედ ამ მორალური სტანდარტების სიმაღლე, ადამიანურ ღირებულებათა სისტემის სიმტკიცე აქცევდა მას შეურყეველ მოსამართლედ კოლექტივში წამოჭრილ სადავო საკითხებში, და რაც ნიშანდობლივია, იგი არასდროს არ მიისწრაფოდა ასეთი როლისაკენ, იშვიათად და ძალიან თავშეკავებულად გამოთქვამდა თავის შეხედულებას, მაგრამ აწეული წარბი, ოდნავ შეცვლილი ინტონაცია, ხშირად შეკითხვის სახით, გაიძულებდა გეფიქრა: სწორად მოიქცა თუ არა ადამიანი. დასაბუთებულია თუ არა მისი მსჯელობა. როგორც მეცნიერი ახალგაზრდობისათვის, ისე უფროსი თაობის მეცნიერთათვის ნიმუში იყო თინათინის პრინციპულობა. იგი ვერ ითმენდა ვერვითარ დაუსაბუთებელ, არაარგუმენტირებულ, გარეგნულ ეფექტზე აგებულ მსჯელობებს. თავშეკავებული, ყოველთვის კორექტული მანერით იგი ღრმად და დასაბუთებულად აკრიტიკებდა მოუფიქრებელ კონიუნქტურულ გამონათქვამებს. თავად იგი თავის თითოეულ დებულებას ისე ღრმად და დაწვრილებით ასაბუთებდა, რომ მასთან დავისათვის საჭირო იყო საფუძვლიანი მომზადება და ამის შედეგად დავაში მართლაც შეიძლებოდა ჭეშმარიტება შობილიყო. პოლემისტისაგან იგი მოითხოვდა მეცნიერული ეთიკის ყველა ნორმის დაცვას. მახსოვს, ერთი ნაშრომის განხილვისას თინათინმა თავაზიანად, კორექტულად და ამასთან მეტად თვალსაჩინოდ და დაუზოგავად დაამტკიცა, რომ ერთ-ერთმა კრიტიკოსმა, რომელიც მეტად უხეში და მკვახე ფორმით თავს დაესხა ნაშრომის ავტორს, არსებითად საკუთარი თეორიის სახით გაიმეორა სხვა სიტყვებით გაკრიტიკებული ნაშრომის დებულებები. დრო იყო უხეირო კრიტიკოსი მიწაში ჩამძვრალიყო".

რაღა გვეთქმის!

მართლაც რომ, უმრავლოს ღმერთმა ჩვენს ერს თინათინ წერეთლის სადარი პიროვნებები.

# ადვოკატი, ჟურნალისტი, მოღვაწე



საქართველოს დღევანდელ ადვოკატურას ჰყავს ისეთი წარმომადგენლებიც რომლებიც ღირსეულად იხდიან თავის პროფესიულ მოვალეობას და ,ამას გარდა, ნაყოფიერად მოღვაწეობენ ჟურნალისტიკაში, მწერლობაში, მეცნიერებაში.

ერთ-ერთი ასეთი მოღვაწეა ვახტანგ ალექსანდრეს ძე სიდამონიძე. ვ. სიდამონიძის დაცვითი სიტყვები ყოველთვის გამოირჩეოდა დამაჯერებელი არგუმენტებით, რაც კარგად არის განმტკიცებული იურიდიულად, მეცნიერულად. ამის მაგალითად გამოდგება ბრალდებულ ვერძეულის სიხსლი! სამართლის საქმის განხილვის დროს ვახტანგ სიდამონიძის მიერ წარმოთქმული დაცვითი სიტყვა, რომელიც შეტანილია 1963 წელს გამოცემულ „ქართველ ადვოკატთა სიტყვების" კრებულში.

მხატვრულ ნაწარმოებთა კვლევისა და ლიტერატურული კრიტიკის უნარი იმდენად აქვს მომადლებული ვახტანგ სიდამონიძეს, რომ მთელ რიგ წმინდა მეცნიერულ აზრებს იურისპრუდენციის მოშველიებით ამტკიცებს და იურიდიულ-პროცესუალურ ნორმებს კი მეცნიერულად ასაბუთებს. ამასთან თავის სიტყვას ხალხური გამოთქმებით, ანდაზებით, ნართაულებით და ნაკვესებით ავსებს, ამკობს და ალამაზებს. არ ერიდება ფრაზების გამეორებასაც კი, რაც იმდენად საშიში და სარისკოა, რომ თუ იგი საქმის შინაარსის აუცილებლობით არ არის გამოწვეული, შეიძლება უარყოფითი გავლენაც მოახდინოს სიტყვაზე, ამიტომ არის, რომ თავის დაცვით სიტყვაში ვ. სდამონიძე ამბობს: „მოსაწყენია რაიმეს ხშირი განმეორება, მით უფრო იმის, რაც ადამიანს პარადოქსად მიუჩნევია, მაგრამ იმის დავიწყებაც არ შეიძლება, რომ წინსვლა და განვითარება შეუძლებელია განმეორების გარეშე". სამართლიანად არის ნათქვამი: „დროის დაკარგვა არ არის ჭეშმარიტების განმეორება".

ვახტანგ სიდამონიძეს საქართველოს ისტორიის, ლიტერატურის, ხელოვნების და ხალხური სიტყვიერების საკითხებზე არაერთი საჟურნალო და საგაზეთო წერილი აქვს დაწერილი. იგი 500-მდე წერილის, 40-მდე შრომისა და რამდენიმე წიგნის ავტორია. მან პირველმა დაწერა ისეთი შრომები, როგორიც არის „არაბ-ქართველთა ხელშეკრულება და მისი მნიშვნელობა VII საუკუნის ქართული იურიდიული აზროვნების ისტორიისათვის", „ვინ იყო გაბრიელ მაიორი?" (მიძღვნილია XVIII საუკუნის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწისა და თეატრალის, საქართველოს სამეფო თეატრის დამაარსებლის გაბრიელ მაიორისადმი). ავტორმა ბოლომდე გადაჭრა საცილობელი საკითხი გაბრიელის ვინაობის თაობაზე და გაარკვია, რომ იგი თბილისის მკვიდრია, ეროვნებით ქართველი და მისი გვარ-სახელია გაბრიელ ტარბაიძე.

ვახტანგ სიდამონიძემ საინტერესო შრომა მიუძღვნა „არსენას ლექსის" ავტორობის საკითხს, როგორც ცნობილია, დიდხანს არსებობდა დავა იმის თაობაზე, თუ ვინ იყო პირველმთქმელი „არსენას ლექსისა". ვახტანგმა შეძლო მიეკვლია პირველწყაროებისათვის (ანტონ ფურცელაძის არქივი, გაზეთი „კავკაზი" და სხვა) და დაედგინა, რომ ქართული ზეპირსიტყვიერების შედევრის „არსენას ლექსის" ავტორმთქმელი იყო იაკობ გოგებაშვილის თანასოფლელი გლეხი გიორგი ქებაძე.

სიდამონიძემ პირველად თარგმნა გენიალური ქართველი პოეტისა და მოაზროვნის ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიისა და მოღვაწეობის ამსახველი ოცი საბუთი, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლისათვის.

ამის თაობაზე საინტერესო წერილი „ნიკოლოზ ბარათაშვილი სამართლისა და განჩინების ექსპედიციაში" დაბეჭდა ჟურნალ „საბჭოთა სამართალში".

ვახტანგ სიდამონიძეს არც საქართველოს ადვოკატურის ისტორია აქვს დავიწყებული.

ბევრ ღვაწლმოსილ ადვოკატს მიუძღვნა საინტერესო წერილი. XIX საუკუნის ქართველი ადვოკატის — ლუარსაბ ლოლუასი და მოსე ქიქოძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე საინტერესო წერილები დაიბეჭდა „საბჭოთა სამართალში". ამ წერილებმა გაიმარჯვა გამოცხადებულ კონკურსში და პირველი პრემია დაიმსახურა.

ვახტანგ სიდამონიძის წინასიტყვაობითა და რედაქციით გამოიცა რუსი მწერლის ვალერიან ჩერნის რომანის „ნექტარინას" ქართული თარგმანი.

მისი თაოსნობით არის მოპოვებული კავკასიის მეფისნაცვლის დეპარტამენტის კანცელარიის სტამბაში 1848 წელს მეტად მცირე ტირაჟით რუსულ ენაზე დაბეჭდილი, დღეს ბიბლიოგრაფიულად იშვიათი, პლატონ იოსელიანის მონოგრაფია: „Жизнь великого моурава Георгиу Саакадзе", რომელიც გიორგი თარხნიშვილის თარგმნით, ვ. სიდამონიძის შესავალი წერილითა და რედაქციით 1978 წელს გამოიცა, რითაც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული წყარო შეემატა ქართულ ისტორიოგრაფიას.

დიდი შრომისა და გარჯის ფასად დაწერა შრომა, რომელსაც ეწოდება „ქართულ ასპარეზობათა ქრონიკები" (გამოიცა 1978 წელს), რომელშიც გაშუქებულია ქართულ ასპარეზობათა განვითარება საუკუნეების მანძილზე, აგრეთვე, „ქართული სასამართლო მეგვრმეტყველება" (დაიბეჭდა 1971 წელს).

ვახტანგს ხშირად უყვარს თქმა: თუკი რამ სიკეთე და ცოდნა გამაჩნია, ამას ჯერ ჩემს საკუთარ მამას და შემდეგ ჩემს პროფესორ-მასწავლებლებს ლუარსაბ ანდრონიკაშვილს, შალვა ნუცუბიძეს, ალექსანდრე ვაჩეიშვილს, ზოზო ნანეიშვილს, იროდიონ სურგულაძეს, კოტე ბაქრაძეს, ვლადიმერ ყღენტს, ბიძინა რამიშვილს უნდა ვუმადლოდეო.

ვახტანგ სიდამონიძე საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირის წევრი, აღიარებული პუბლიცისტი და მკვლევარია, რომელსაც მრავალი ახალგაზრდა იურისტის მიმართ გამოუჩენია მზრუნველობა და ამჟამადაც ცოდნასა და ენერგიას არ იშურებს, რათა დხმარება გაუწიოს ახალგაზრდა სპეციალისტებს პროფესიულ დაოსტატებაში, რამეთუ კარგად იცის, რომ ახალგაზრდობა ჩვენი სამშობლოს ხვალინდელი დღე, სიამაყე და მომავალია.

ნიკოლოზ კევლიშვილი

# წინ ახალი გადასახედებია

ირგვლივ ყველაფერი თოვლს დაეფარა. თეთრ საბურველში ჩახვეულიყო ცაგერის ფიჭვნარით დაფარული გორაკები.

დარეჯან სილაგაძე სამუშაო მაგიდასთან იჯდა და ახვლედიანის ბინის გაქურდვის საქმეს ფურცლავდა, ვინ იცის, მერამდენედ.

...ტარიელი და მალხაზი სოფელ სურმუშში შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს გურგენ ხეცურიანის ოჯახში. ლხინი და დროსტარება რამდენიმე საათს გაგრძელდა. ნასვამი ახალგაზრდები ერთად გაუყვნენ სოფლის შარაგზას.

— მოდი, ახვლედიანის ბინა გავქურდოთ, — თქვა ტარიელმა, — დანამდვილებით ვიცი, რომ შინ არავინ არის.

...მოიპარეს 41 მანეთის ობლიგაცია, რადიომიმღები „სელგა", ელექტროფარანი, ხუთ მანეთად ღირებული ბურთი. ორი კოლოფი სიგარეტი „მზიური" და შვიდი მანეთი ფული.

მალხაზი თექვსმეტი წლისაც არ იყო. შესაძლოა არც იცოდა, რა სასჯელი ელოდა ესოდენ დაუფიქრებელი ნაბიჯისათვის...

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. მალხაზმა სკოლა დაამთავრა, სავალდებულო სამხედრო მოვალეობაც მოიხადა და დღეს კოლმეურნეობაში მუშაობს ტრაქტორისტად. მასზე რომ აუცი ალარ თქმულა სოფელში, ამაში გამომძიებლის წვლილიც არის.

„პატივცემულო დარეჯან! გილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღესასწაულს — რვა მარტს! გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას! თქვენს კარგ ადამიანობას და სიკეთეს არ დავიწყებთ მე და ჩემი მშობლები, სანამ ცოცხლები ვიქნებით! მუდამ გამარჯვებულს ვევლოთ თქვენს რთულსა და სიძნელეებით აღსავსე გზაზე სიკეთისა და სამართლიანობის დასაცავად!“

ასეთი ბარათი გამოუგზავნა მალხაზმა დარეჯან სილაგაძეს. სწერენ სხვებიც. ისინიც, ვინც სასჯელს იხდის და შინ დაბრუნებულებიც, რომლებიც დღეს პატიოსნად შრომობენ.

ეს იმ ახალგაზრდების ბარათებია, რომლებსაც დაუბრუნა რწმენა და მომავლის იმედი, საფასურია იმ დიდი, ადამიანური სიკეთისა, მთელი სიცოცხლის მანძილზე რომ გაჰყვება მათ მეგზურად.

ზშირად უთქვამთ დარეჯანზე: ყველა საქმეს მთელი პასუხისმგებლობით ეკიდება, უნარი შესწევს დაინახოს ის უხილავი, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო წვრილმანი, რომელსაც შეუძლია სწორ კვალზე დააყენოს. არც ერთი დანაშაული გაუხსნელი არ რჩება. მისთვის არ არსებობს დიდი და მცირე, იოლი და რთული საქმე.

როდესაც თვითონ დარეჯანს ვკითხეთ, რა არის მისთვის მთავარი დამნაშავეობასთან ბრძოლაში, ოდნავ დაფიქრდა და გვითხრა: დამნაშავეში ყოველთვის ვეძებ არა მარტო ბოროტ საწყისს, ვცდილობ დადებითიც დავინახო... სიკეთის ეს მარცვალი მისსავე გამოსასწორებლად ვამოვიყენო. ვცდილობ ამოვიკითხო ბინი ფარული აზრებიც, რომლებსაც დამნაშავე იოლად არავის ანდობს. ყველა დამნაშავეს ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება, მთავარია შეძლო ზემოქმედების მოხდენა. ჩემი აზრით, ეს უკვე არის გამოსწორებისაკენ გადადგმული მისი პირველი ნაბიჯი.

დარეჯან სილაგაძე დიდ ყურადღებას უთმობს რაიონში სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდას. როგორც პარტიის ცაგერის რაიკომის ლექტორი, შრომითს კოლექტივებში, სკოლებში, სამრეწველო და სოფლის მეურნეობის საწარმოებში სისტემატურად აწყობს ლექცია-საუბრებს. რაიონულ გაზეთში ბეჭდავს წერილებს, რომლებშიც გაანალიზებულია დანაშაულის გამომწვევი მიზეზები, ნაჩვენებია მათი აღკვეთის გზები.

ცაგერის საშუალო სკოლის მეათეკლასელმა თინა მუშკუდიანმა მისი ლექციის მოსმენის შემდეგ ასეთი ბარათი გამოუგზავნა გამომძიებელ ქალს: „პატივცემულო დარეჯან, მწამს, რომ მუდამ გაამარჯვებინებთ სიმართლეს, სიკეთეს, სიწმინდეს და პატიოსნებას, სამართალს ყოველთვის მოუნახავთ გზას. თქვენი პროფესია მუდამ სიხარულის მომტანი ყოფილიყოს ჩვენთვის და თქვენთვისაც“.

დარეჯან სილაგაძის კვალიფიკაციაზე მეტყველებს სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა და საქართველოს სსრ პროკურორის ბრძანებები. მინიჭებული აქვს I კლასის იურისტას ჩინი, სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშო შესრულებისა და დანაშაულის გამოძიების საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოებულია საჩუქრებით, გამოცხადებული აქვს მადლობები. სულ ახლახან საქართველოს სსრ პროკურორის ბრძანებით კვალავ აღინიშნა მისი კარგი მუშაობა.

ბარშან და წელს დარეჯან სილაგაძემ ათობით სისხლის სამართლის საქმე გამოიძია. საგამოძიებო ვადა არ დურღვევია არც ერთ საქმეზე. დანაშაულის გამომწვევ მიზეზებზე შეტანილი აქვს წარდგინებები, ხელახალი გამოძიებისათვის არც ერთი საქმე არ დაბრუნებია. გამოძიებული კი აქვს ისეთი რთული კატეგორიის საქმეები, როგორიც არის ყაჩაღობა, განზრახ მკვლელობის მცდელობა, სახელმწიფო ქონების დატაცება.

დარეჯან სილაგაძე 30 წლისაც არ არის. ახალგაზრდა გამომძიებელი ყოველდღიურად იმაღლებს პროფესიულ ცოდნას, ზშირად ესაუბრება გამოცდილ კოლეგებს, ეს კი მომავალ წარმატებათა საწინდარია.

ლ. მაისურაძე

# ოფიციალური ნაწილი

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1983 წლის 22 ივნისის ბრძანებულებით გიორგი ნიკოლოზის ძე ყოლბაია არჩეულია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ.**

გიორგი ნიკოლოზის ძე ყოლბაია დაიბადა 1940 წელს, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ქ. გუდაუთაში, მოსამსახურის ოჯახში, ეროვნებით აფხაზია.

1958 წელს დაამთავრა გუდაუთის აფხაზური საშუალო სკოლა. იმავე წელს სწავლა განაგრძო ხარკოვის იურიდიულ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1962 წელს.

1962 წელს მუშაობას იწყებს პროკურატურის ორგანოებში. თანამიმდევრულად არის სოხუმის რაიონის და ქ. სოხუმის პროკურატურის გამომძიებელი. ქ. სოხუმის პროკურორის თანაშემწე, შემდეგ კი მოადგილე. 1975 წლის დამდეგს აირჩიეს ქ. სოხუმის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარედ. მალე გ. ნ. ყოლბაია დააწინაურეს პარტიულ სამუშაოზე — საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგედ. 1977 წლიდან მუშაობდა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარ არბიტრად.

საკავშირო ალკა რიგებში მიიღეს 1956 წელს. სკკპ წევრია 1963 წლიდან. არის იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი. არაერთხელ აურჩევიათ კომკავშირული და პარტიული ორგანიზაციების ბიუროს შემადგენლობაში. იყო პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის წევრი, სახალხო დეპუტატების სოხუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატი.

---

# წახალისება

**საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის 1983 წლის 9 აგვისტოს ბრძანებით ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ გავრცელებაში აქტიური მონაწილეობისათვის გამოეცხადა მადლობა:** ქ. რუსთავის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს **ალბერტ მაისურაძეს;** ქ. ჭიათურის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს **გიორგი თევზაძეს;** ქ. ზუგდიდის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს **კაპიტონ კვირკველიას;** ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს **შოთა სარიას;** ქ. ტყიბულის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს **შალვა ლებანიძეს;** გეგეჭკორის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს **მუხრან ბაკულიას;** ზესტაფონის რაიონის სახალხო სასამრთლოს თავმჯდომარეს **ლოტბერდი კუპატაძეს;** ჩხოროწყუს რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს **ჯემალ ადამიას;** წალენჯიხის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს **ვალერი ჩიქობავას.**

# რუსული სამართლის წიგნების ქართული თარგმანები მეთვრამეტე საუკუნეში

გ. ნადარეიშვილი,

გეორგიევსკის ტრაქტატის ოთხასი წლისთავთან დაკავშირებით ხშირად ისმის საკითხი, ჰქონდა თუ არა შუა საუკუნეების რუსულ და ქართულ სამართლებრივ სისტემებს რაიმე საერთო და შეიძლება თუ არა ისინი განვიხილოთ როგორც ძირითადად ერთმანეთის ანალოგიურნი?

პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ XI-XVIII საუკუნეების ქართული სამართალი წარმოებით ურთიერთობათა ფეოდალური ტიპის ქართული ვარიანტის პროდუქტი და გამოხატულება იყო, ამიტომ, ცხადია, მას რუსულ სამართალთან შედარებით ახასიათებდა მთელი რიგი თავისებურებანი. მაგრამ წარმოებით ურთიერთობათა ერთგვაროვნობის პირობებშიც კი, არცთუ იშვიათად არის საკმაო განსხვავებანიც. სამართლის, როგორც ზედნაშენის სფეროში. კარლ მარქსი გვასწავლის, რომ „ერთსა და იმავე ეკონომიკურ ბაზისს — ერთსა და იმავე მთავარი პირობების მიხედვით — უთვალავ სხვადასხვა ემპირიულ გარემოებათა, ბუნებრივ პირობათა, რასობრივ ურთიერთობათა, გარედან მოქმედ ისტორიულ გავლენათა და სხვათა მეოხებით შეუძლია თავისი გამოვლენისას ისეთი დაუსრულებელი ვარიაციები და გრადაციები გვიჩვენოს, რომელთა გაგებაც მხოლოდ ამ ემპირიულად მოცემულ გარემოებათა ანალიზის საშუალებით შეიძლება“[1].

მართლაც, ამ და სხვა გარემოებათა გამო ქართული და რუსული ფეოდალური სამართალი თუმცა ძირითადად ემსგავსებოდა ერთმანეთს, მაგრამ საკმაოდ განსხვავდებოდა კიდეც. როდესაც რეალურად დადგა საქართველოსა და რუსეთს შორის მეგობრობის ხელშეკრულების დადების საკითხი, ქართული სახელმწიფოს მესვეურები დაინტერესდნენ რუსული სამართლის რაგვარობით, დაიწყეს რუსული სამართლის წიგნების თარგმნა და ბევრი მსგავსება აღმოაჩინეს ქართულ სამართალთან.

პირველ ყოვლისა როგორც ქართული ,ისე რუსული ფეოდალური სამართლის თეორიული საფუძველი იყო მართლმადიდებლური ქრისტიანული მოძღვრება. საქართველოსა და რუსეთის გაბატონებულ წრეებს თავიანთ ქვეყნებში მოქმედ სამართლის წყაროდ მიაჩნდათ ძველი და ახალი აღთქმის წიგნები აგრეთვე მსოფლიო საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებები. ბიზანტიურ-ბერძნული წარმოშობის ნომოკანონები როგორც საქართველოში, ასევე რუსეთში ხალისით ითარგმნებოდა და გამოიყენებოდა კიდევაც სამოქმედოდ.

გვიან საშუალო საუკუნეებში, როდესაც რამდენიმე სამეფო-სამთავროდ დაქუცმაცებულ საქართველოს გაუჭირდა ძლიერი, აგრესიული მეზობელი სახელმწიფოების გვერდით არსებობა, ცხადია, მმართველმა წრეებმა თვალი მიაპყრეს ქრისტიანული რუსეთის ძლიერ სახელმწიფოს, საქართველოს წარსული ისტორიის გამოცდილებამ მათ უჩვენა, რომ კურსის აღება ერთი მუსლიმანი აგრესორიდან მეორისაკენ საქართველოსთვის დამღუპველი იყო. რელიგიურ განსხვავებასთან ერთად, რომელსაც ხალხის თვალში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თურქეთისა და ირანის საზოგადოებრივი წყობილება არსებითად განსხვავდებოდა ქართულისაგან. თურქული და ყიზილბაშური ფეოდალიზმი განვითარების გაცილებით დაბალ საფეხურზე იდგა, ვიდრე ქარ-

---

[1] კ. მარქსი. კაპიტალი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა. ტ. მესამე ნაწ. II, წიგნი მესამე. „საბჭოთა საქართველო“. თბ., 1959, გვ. 411-412.

თული. საქართველოსათვის მიუღებელი იყო აგრეთვე სუნიტური თუ შიიტური მიმართულების მუსლიმანური სამართალი.

გარდა ამისა ქართული სამეფო-სამთავროების მმართველმა წრეებმა კარგად იცოდნენ, რომ მომავალი რუსეთის მხარეს იყო.

თურქი ასიმილატორების და ყიზილბაში დამრბევლების წინაშე ქართველთა არჩევანი მეტისმეტად შეზღუდული იყო. მეგობარი სახელმწიფო, რომელსაც შეეძლო საქართველოსათვის კონკრეტული დახმარების აღმოჩენა ისე, რომ მძიმე ვითარებაში ჩავარდნილი ქვეყნისთვის კიდევ ახალი ზიანი არ მიეყენებინა, არ ჩანდა. საგანთა და მოვლენათა ლოგიკამ მიიყვანა საქართველო რუსეთთან დაახლოების იდეამდე.

„რაც უფრო გაუნათლებელია ადამიანი, რაც უფრო ნაკლებ იცნობს იგი იმ საგანთა განსაზღვრულ დამოკიდებულებას, რომელთა განხილვისათვის მას მოუმართავს, მით უფრო აქვს მიდრეკილება ილაპარაკოს ყოველგვარ ფუჭ შესაძლებლობებზე, როგორც ეს ხდება პოლიტიკის სფეროში, როცა ე. წ. ლუდხანის პოლიტიკანები ლაყბობენ.

გონიერი, პრაქტიკული ადამიანები თავს არ იტყუებენ შესაძლებელით იმიტომ, რომ იგი მხოლოდ შესაძლებელია, არამედ ნამდვილს მისდევენ"[2].

ფუჭი შესაძლებლობები რომ გამოირიცხოს, მაშინდელ საქართველოს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. ქართველმა პოლიტიკოსებმა შეიგნეს, რომ ანგარიში უნდა გაეწიათ ხალხის სურვილისათვის, საქართველო დაახლოებოდა რუსეთს, და ამიტომ ხელი მოჰკიდეს რუსული სამართლებრივი ძეგლების ქართულად თარგმნას. მიზანი თავისთავად ცხადი იყო — უფრო კარგად გასცნობოდნენ იმ ქვეყანას, რომელთანაც დაახლოებას და კავშირს ესწრაფვოდნენ.

ცნობილია, რომ ვახტანგ მეექვსე ქართლში თვით ჩაუდგა სამართლის წიგნთა კრებულის შედგენის საქმეს. მისი განკარგულებითა და ხელმძღვანელობით შედგენილ სამართლის წიგნთა კრებულში, გარდა საკუთრივ თვით ვახტანგ მეექვსის სახელით ცნობილი სამართლის წიგნისა, მოთავსებული იყო ძველი ქართული კანონმდებლობის ისეთი ძეგლები, როგორიც არის ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნი, სადაც შემორჩენილია აგრეთვე ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტი, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, კათალიკოსთა სამართალი.

გარდა ეროვნული საკანონმდებლო ძეგლებისა, კრებულში მოთავსებული იყო მოსეს კანონები, ბერძნული სამართალი, სირიულ-რომაული სამართლის წიგნი და სომხური სამართლის ძეგლები.

რადგანაც კრებული სამოქმედოდ იყო გამიზნული, უნდა ვივარაუდოთ, რომ შემდგენლები უცხოურ სამართლის წიგნებს მიიჩნევდნენ სამართლებრივ სიძველეთა ისეთ არსენალად, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შეიძლებოდა გამოყენებულიყო. ასეთი ხასიათის კრებულს სამართლის ისტორია არ იცნობს. მას რამდენადმე მოგვაგონებს სტეფან დუშანის სამართლის წიგნი, რომელშიც მოთავსებული იყო ორი სამართლის წიგნი სერბიულ და ბერძნულ ენებზე. იგი გათვალისწინებული იყო სერბიულ და ბერძნულ მოსახლეობაში გამოსაყენებლად.

დიდი საკანონმდებლო საქმიანობის შემდეგ ვახტანგ VI იძულებული გახდა რუსეთში გახიზნულიყო. თვით მისი უშუალო ინიციატივითა და დავალებით 1729 წელს მოსკოვში ქართულად თარგმნეს XVII საუკუნის რუსეთის ყველაზე მნიშვნელოვანი სამართლის ძეგლი — ალექსი მიხეილის ძის სჯულდება. 1760 წელს „ბრძანებითა საქართველოს მემკვიდრისა და კახთა მეფის ირაკლი თეიმურაზის ძისათა" კვლავ ითარგმნა ზემოხსენებული სამართლის წიგნი. როგორც ვხედავთ, იმდენად დიდი იყო მისწრაფება ზედმიწევნით გასცნობოდნენ რუსეთის სახელმწიფოს შინაგან ცხოვრებას, რომ რუსული სამართლის ერთ-ერთი ყველაზე უშნიშვნელოვანესი და თანაც მოქმედი სამართლის ძეგლი ორჯერ ითარგმნა ქართულად. საყურადღებოა, რომ 1649 წლის სჯულდების ერთ-ერთი ნუსხა დავით ბატონიშვილის ბიბლიოთეკაშიც ყოფილა[3].

---

2 გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი. „ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედია. ნარკვევი. პირველი ნაწილი. ლოგიკის მეცნიერება, შ. პაპუაშვილის თარგმანი. თბ., 1962, გვ. 314-315.

3 იხ. „სამართალი ბატონიშვილის დავითისა". ტექსტი გამოსცა დავით ფურცელაძემ. თბ. 1964, გვ. 13.

დავით ბატონიშვილი კი უშუალოდ იყო დაინტერესებული ქართული სამართლის მოდერნიზაციით და ამ მიზნით რუსული სამართლის ძეგლების მონაცემებს იყენებდა.

„სამართალი ანუ სჯული მეფის ალექსი მიხაილოვიჩისა", როდესაც ის ქართულად ითარგმნა, რა თქმა უნდა, ქართული არისტოკრატიისა და სამეფო გვარეულობის ბიბლიოთეკებში მოხვდა და მათი მკითხველებიც ისინი იყვნენ.

სამართლის ეს წიგნი დაიწერა იმ დროს, როდესაც რუსეთი შედიოდა თავისი ისტორიის ახალ პერიოდში, მაგრამ 1649 წლის სამართლის წიგნი მაინც ბატონყმური კოდექსი იყო. იგი შეგბატონეს უფლებას ანიჭებდა არა მარტო აღგილ-მამულზე, არამედ ყმა გლეხზეც. ასე რომ, ამ მხრივ ქართველი მემამულეებისათვის რუსული სამართალი ადვილად გასაგები და მისაღები იყო. რუსული სამართლის წიგნი იცნობდა აგრეთვე ქართველებისათვის კარგად ცნობილ საგვარეულო მამულის უკუმოსყიდვის და „დაგირავების" ინსტიტუტებს.

ქართველი მემამულეებისათვის მისაღები იყო ისიც, რომ 1649 წლის სჯულდებაში ასახული იყო სასერვიტუტო სამართალი. კოდექსი ითვალისწინებდა სხვისი სავარგულებით სარგებლობის უფლებას. ქართველებისათვის უცხო არ იყო აგრეთვე რუსული საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი. აქაც იგივე პრინციპები ბატონობდა, როგორც ქართულში. ყმა გლეხის ქორწინებისათვის აუცილებელი იყო ბატონის ნებართვა. ამასთან ერთად როგორც საქართველოში, ასევე რუსეთშიც მეუღლეთა ურთიერთობა ქონებრივი განკერძოებულობის პრინციპს ემყარებოდა, მაგრამ იყო ზოგიერთი განსხვავებაც. რუსული სამართლის მიხედვით, თუ ქმარი ცოლს მოკლავდა, მას სჯიდნენ მხოლოდ მათრახის ცემით, ხოლო თუ ცოლი ქმარს გამოასალმებდა წუთისოფელს, მას საშინელი წამებით სჯიდნენ სიკვდილით, ყელამდე მიწაში მარხავდნენ ცოცხლად, და ასე მძიმე ტანჯვით ხდიდნენ სულს დამნაშავე ქალს. ქართველებში ასეთი სასჯელი უცნობი იყო.

მაგრამ რუსულ და ქართულ სამართალს შორის მსგავსება უფრო მეტი იყო, ვიდრე განსხვავება. ეს კარგად იცოდნენ საქართველოს სასულმწიფოს მესვეურებმა. 1649 წლის სჯულდებაში, ისევე როგორც ქართულ სამართალში. კანონმდებელს აშკარად გამოხატული ტენდენცია ჰქონდა. დამნაშავეს მით უფრო მძიმე სასჯელი ეფარდებოდა, რაც უფრო მაღლა იდგა ფეოდალურ-წოდებრივი იერარქიის კიბეზე დაზარალებული. ერთი და იმავე დანაშაულისათვის სხვადასხვა წოდების პირს სხვადასხვა სასჯელი მოელოდა.

ასე რომ, ფეოდალური ქართლ-კახეთის მესვეურთა კლასობრივ ინტერესებს რუსული სამართლის ძირითადი პრინციპები სავსებით შეესაბამებოდა.

ქართველთა მოწინავე საზოგადოებრიობას კარგად ესმოდა ის როლი, რომელიც პეტრე პირველმა შეასრულა რუსეთის ისტორიაში და ამიტომაც, ცხადია, პეტრე პირველის კანონმდებლობის გაცნობის ინტერესი დიდი იყო.

მეფე ერეკლე იყო ინიციატორი და მოთავე, რომ ქართულ ენაზე ეთარგმნათ პეტრე პირველის მეფობის დროს მიღებული უმთავრესი საკანონმდებლო აქტები. 1760 წელს, როდესაც მეფე ალექსი მიხეილის ძის „სჯულდება" ხელმეორედ გადმოიღეს ქართულად, თარგმნეს პეტრე პირველის „გენერალური რეგლამენტიც", რომელიც 1720 წელს იყო მიღებული სახელმწიფო მმართველობის მოსაწესრიგებლად. თვით ერეკლეც ცდილობდა საჭირო რეფორმების განხორციელებით დაეჩქარებინა ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარება .ამიტომაც მისთვის რუსეთის გამოცდილებას პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდა. მოგვიანებით ერეკლე დარწმუნდა, რომ მძიმე საშინაო და საგარეო პირობების გამო გაუჭირდებოდა რადიკალური რეფორმების განხორციელება და ეკონომიკის ევროპულად მოწყობა. აქედან გამომდინარე, გაძნელდებოდა ძველი, ტრადიციული სამართლებრივი ნორმების შთლიანად ან მნიშვნელოვანწილად უარყოფაც. 1791 წელს დაიწერა „განწესებანი საქართველოს ბეფის ირაკლისნი ძეთა თვისადმი სამეფოსათვის საქართველოსა". „ჩვენ, ნათქვამია ამ აქტში, საქართველოს კაცნი ვართ და ჩვენი ქვეყნის სამართალს ჩვენ ვერ გარდავაგდებთ და არც შეიძლება, და ბევრმაც რომ მოინდომოს, ძალიან გარჯა მოუნდება და წელიწადებიც ბევრი გაივლის, რომ სხვა რიგი სამართლის ჩვეულება ჩამოაგდოს ვინმე, თუ არ დიდმა ხელმწიფემ, მაგრამ ამასაც ხანგრძელი გარჯა მოუნდება"[4].

---

[4] „ქართული სამართლის ძეგლები", ტ. II, თბ., 1965 წ. მეცნ. გვ. 509.

5. „საბჭოთა სამართალი", № 4

ერეკლე აფრთხილებდა შვილებს და „საქართველოსა და კახეთის ერთა", რომ შინააშლილობაზე ხელი აეღოთ, თორემ „რაც ძალი ექნებათ მტრისათვის, ის მოყვარეზედ დაიხარჯება და ნათესავზე, და მოაკლდება ძალი ქართველთა და კახთა მტერი წინ წამოდგება და ზედაც შემოჯდება საქართველოებს".

მაშინდელი „საქართველოების "უბედურება სწორედ ის იყო, რომ მათ ვერ შეძლეს რუსეთის მსგავსად გაერთიანება და ის ძალები, რომლებიც მტრების წინააღმდეგ უნდა მოებმარნათ, ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლას მოანდომეს.

სისხლი, რომელიც ქართველებს მეზობელი დიდი სახელმწიფოების ინტერესებისათვის ჰქონდათ დაღვრილი, სავსებით საკმარისი იქნებოდა თვით საქართველოს, როგორც ქმედობაუნარიანი სახელმწიფოს, დამოუკიდებლად არსებობისათვის.

მეფე ერეკლემ სცადა ქართლ-კახეთის სამეფოში ისე მოეწესრიგებინა საქმე, რომ მას ამა თუ იმ ფორმით მუდმივი სამხედრო არმია ჰყოლოდა. ამ ცდას თუმცა საბოლოოდ სასურველი შედეგი ვერ მოჰყვა, მაგრამ გმირ მეფეს მის განსახორციელებლად ძალა და ენერგია არ დაუშურებია.

1783 წლის ივლისში გეორგიევსკში დადებული ტრაქტატის ანუ სამეგობრო ხელშეკრულების დადების შემდეგ კვლავ მთელი სიმწვავით დადგა მაჰმადიან აგრესიულ სახელმწიფოებთან შეტაკების საფრთხე. და მეფის წინაშე კვლავ ისახება ქმედობაუნარიანი არმიის შექმნის ამოცანა. 1774 წელს მიღებული „მორიგის ლაშქრობის განაჩენი", რომელმაც თავდაპირველად მნიშვნელოვანი ნაყოფი გამოიღო, თავადებმა თანდათან მოშალეს და ლევან ბატონიშვილი, ამ დიდებული საქმის მოთავე, იმსხვერპლეს.

და კვლავ არ ცხრება მეფე ერეკლე. მისი განკარგულებით არქიმანდრიტი და თელავის სემინარიის რექტორი გაიოზი (ნაცვლიშვილი) 1784 წელს თარგმნის პეტრე პირველის „სამხედრო წესდებას", რომელსაც თარგმანში „სამხედრო ტიბიკონი" ეწოდება, ეს ხელნაწერი, რომელიც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული (H 2109), კარგად არის შენახული და სარჩევითურთ შეიცავს საშუალო ფორმატის 4179 გვერდს.

უნდა ვიფიქროთ, რომ თარგმანი იმ მიზნით არის შესრულებული, რომ მეფე ერეკლე გასცნობოდა რუსულ სამხედრო წესწყობილებას და შემდეგ, შეძლებისდაგვარად რასაც მისაღებად ჩათვლიდა, ის გადმოეღო საქართველოში.

როგორც აღვნიშნეთ, ქართველები რუსულ სამართალს მეთვრამეტე საუკუნის პირველი ნახევრიდან იცნობდნენ, ხოლო ამ საუკუნის სამოციანი-სამოცდაათიანი წლებიდან მის შესახებ საკმაოდ სრული წარმოდგენა ჰქონდათ.

ერეკლეს, როგორც ჩანს, მოეწონა რუსული სისხლის სამართლის მიერ დაწესებული რიგი სასჯელები და ამ სასჯელების საჯარო ხასიათი. 1774 წელს შედგენილ „მორიგის ლაშქრობის განაჩენში" (§ 16) სასჯელის სახედ ვხვდებით „რუსულად წკეპლში გატარებას"5.

როგორც ჩანს, საქართველოს ძნელბედობამ განაპირობა ის გარემოება, რომ 1760 წლიდან 1784 წლამდე რუსული საკანონმდებლო ძეგლების თარგმნა შეწყდა.

და, მიუხედავად იმისა, რომ ალექსი მიხეილის ძის „სჯულდება" ორგზის ითარგმნა, რომ პეტრეს „გენერალური რეგლამენტიც" უკვე გადმოქართულებული იყო, „სამხედრო ტიბიკონის" გაიოზისეულ თარგმანს მაინც ეტყობა, რომ რუსულ-ქართული იურიდიული ტერმინოლოგია ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ ჩამოყალიბებული.

გაიოზის თარგმანში რუსულ „ტელესნოვ ნაკაზანიე"-ს შეესატყვისება ქართული „ხორციელნი სატანჯველნი". სასჯელის ცნების გამოსახატავად ქართულ ენას თავისი ლექსიკის არსენალში რამდენიმე სიტყვა ჰქონდა: პატიჟი, სასჯელი, სატანჯველი, ტანჯვა, სწავლა და სხვა. გაიოზმა აღადგინა ჯერ კიდევ XI-XII საუკუნეებში გაჩენილი „სატანჯველი" დღევანდელი სასჯელის ცნების გამოსახატავად.

სიკვდილით დასჯა მთარგმნელისთვის „სასიკვდილო სატანჯველია". „სასიკვდილო სატანჯველი იქნების — თოფით, ხრმლით, სარჩობელით ურმის — თუალით, ოთხად გაჭრით და ცეცხლით".

---

5 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, დოკუმენტი № 127, 1965 წ.

მაგრამ გაიოზი ზოგჯერ სასჯელის მნიშვნელობით ხმარობს პატიჟს, ხოლო „სიკვდილით დასაჯონ“-ის ნაცვლად „სიცოცხლეს მოაკლონ“. გაიზოს რუსული колесование გადმოაქვს, როგორც ურმის თვალზე გაკვრა.

ნათარგმნი „სამხედრო ტიბიკონის“ ქართული ტერმინოლოგია ჩვენთვის იმიტომაც არის საინტერესო, რომ იგი შეიცავდა როგორც სისხლის სამართლის, ასევე საპროცესო სამართლის ნორმებსაც.

1783 წლის ივლისში დადებული გეორგიევსკის ტრაქტატის ენა მეტისმეტად ხელოვნური და მწიგნობრულია. მას ეტყობა ანტონ კათალიკოსის გავლენაც და რუსიციზმების ნაკადურად შემოტანის ტენდენციაც. 1783 წელს გაიოზ რექტორი (1746-1821) იმყოფებოდა გეორგიევსკში, სადაც ის აქტიურად მონაწილეობდა ტრაქტატის შეკვრაში. გაიოზი რუსული ორიენტაციის პიროვნება იყო და, შესაძლოა, რუსიციზმური სტილის ტერმინებიდან ზოგიერთი მაინც მისი შემოტანილია.

ქართულად ითარგმნა აგრეთვე ეკატერინე მეორის „ნაკაზიც“. მისი მთარგმნელი ისევ გაიოზ რექტორი იყო (H-460), რა დაედო მოტივად ეკატერინე მეორის „ნაკაზის“ თარგმნას? ჯერ ერთი, რუსული სამართლისადმი დიდი ინტერესი, რუსეთის ვითარების უფრო ახლო გაცნობის სურვილი, იმ ხალხის ყველა მნიშვნელოვანი ძეგლის კარგად ცოდნა, რომელსაც ქართველებმა თავისი ბედი დაუკავშირეს. და ბოლოს, მოსაზრება, ქართველებს შეიძლებოდა თავისთვის რაიმე სასარგებლო ენახათ მათში. ცნობილია, რომ ეკატერინე მეორეს მიაჩნდა, რომ რუსეთში მოქმედი კანონებიდან ზოგი მოძველებული იყო, ზოგიც ერთიმეორეს ეწინააღმდეგებოდა. იმათ სახელმძღვანელოდ, რომელნიც მომავალში ახალი სამართლის წიგნს ანუ სჯულდება შეიმუშავებდნენ, მან შეადგინა „ნაკაზი“ ანუ განაწესი. ეს იყო ფილოსოფიურ-იურიდიული ტრაქტატი, რომელშიც გადმოცემული იყო მოსაზრებანი, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა ახალი სამართლის წიგნის შემდგენ კომისიას.

1766 წელს ეკატერინე მეორემ თავისი „ნაკაზის“ პროექტი წარუდგინა გრაფ ნიკიტა პანინს და გრიგოლ ორლოვს და თან შექმნა კომისია, რომელსაც მიანიჭა უფლება, რომ რუსეთის პირობებისათვის მიუღებელი აზრები ამოეღოთ იქიდან. ამ კომისიამ „ნაკაზიდან“ ნახევარზე მეტი ამოშალა. სხვათა შორის, „ნაკაზის“ თავდაპირველ ვარიანტში ის აზრი იყო ფარარებული, რომ თუ მემამულე მეტისმეტად მკაცრი იყო და გლეხებს მხეცურად ექცეოდა, მისთვის გლეხები უნდა წაერთმიათ და ისინი ყმობიდან გაეთავისუფლებინათ. კომისიამ იმპერატორს არ მოუწონა ეს მოსაზრება და სათანადო ადგილიც „ნაკაზიდან“ ამოღებულ იქნა. სხვათა შორის, ქართული პრაქტიკის მიხედვით, თუ ბატონი გლეხს მოკლავდა, მისი ოჯახი ყმობიდან თავისუფლდებოდა.

სხვა მრავალი მუხლიც, რომლებიც კომისიამ გლეხებისთვის დათმობად მიიჩნია, ამოიღო „ნაკაზიდან“ და მაინც „ნაკაზში“ დარჩა 655 მუხლი, ორი დამატება და დასკვნა.

კომისიამ თვით იმპერატორსაც არ აპატია ბატონყმობის ინსტიტუტის რაიმე შერბილებაზე ფიქრიც კი, რუსი გონებაშეზღუდული მემამულეების განსაკუთრებულ გაღიზიანებას იწვევდა „ნაკაზის“ 400-მდე მუხლი, რომლებიც მონტესკიეს და ბეკარიას ფრაზეოლოგიის მიხედვით იყო შედგენილი.

„ნაკაზი“ გამოიცა 1767 წელს რუსულ, ფრანგულ, გერმანულ და ლათინურ ენებზე, რა თქმა უნდა, „ნაკაზი“ მოქმედი კანონი არ ყოფილა. საინტერესოა, რომ მისგან თითქმის ყველივე პროგრესულის გამოშიგვნის შემდეგაც რუსეთის რეაქციულმა წრეებმა „ნაკაზის“ ტექსტები მაინც არ გაუგზავნეს პროვინციების კანცელარიებს. ის ამ სახითაც კი საშიშად მიაჩნდათ.

ისმის საკითხი, რატომ უნდა ეთარგმნათ ქართველებს ისეთი ძეგლი, რომელიც მოქმედ სამართლად არ ითვლებოდა? ხომ არ თარგმნეს ეს ძეგლი განათლებული აბსოლუტიზმის მიმართულების მქონე პირთა მხარდაჭერით? ეს საკითხი თავისთავად საინტერესოა. გაიოზ რექტორმა კარგად იცოდა, რომ ერეკლე მეფეს სურდა თავისი ქვეყანა ევროპულად გარდაექმნა. „ნაკაზი“ კი ამ მიმართულებას ეხმაურებოდა.

ბაგრატ ბატონიშვილის სიტყვით, გაიოზ რექტორი იყო „ფრიად განსწავლული“ რუსულ, ქართულ და სომხურ ენებში და რუსულიდან მას ოთხასამდე სხვადასხვა წიგნი ჰქონდა თარ-

ვმნილი. მაგრამ თარგმნიდნენ ისეთ წიგნებს, რომლებიც მთარგმნელთა ან თარგმნის მემკვეთთა აზრით, სახელმწიფოსა და ქვეყანას, სამშობლოს სჭირდებოდა.

გაიოზ რეკტორმა თარგმნა, როგორც ზემოთ ითქვა, პეტრე პირველისეული „რეღლამენტი", ანუ მოძღვრება სულიერისა კოლლეღიისა, რომლისამებრ თანამდებობა მისი იცნობების"[6]. საინტერესოა, რომ იგი სასულიერო პირმა თარგმნა, თუმცა ძეგლი, შეიძლება ითქვას, მკაცრად ზღუდავდა სასულიერო ხელისუფლებას მეფის შეუზღუდველი ძალაუფლების სასარგებლოდ. თუ პეტრე პირველის მამის — ალექსი მიხეილის ძის მეფობის წლებში საასულიერო უწყების მესვეური — პატრიარქი ასე თუ ისე შეიძლებოდა მეფეს დაპირისპირებოდა, პეტრემ ასეთ ვითარებას საბოლოოდ დაუსვა წერტილი. ეკლესია პეტრე პირველმა სახელმწიფოს სამსახურში ჩააყენა.

მართალია, საქართველოში ერთხანს ეკლესია მეტი დამოუკიდებლობით სარგებლობდა, ვიდრე რუსეთში, მაგრამ გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში, განსაკუთრებით დავით აღმაშენებლის ხანაში, ეკლესია სახელმწიფოს მორჩილ კორპორაციად იქცა. ეკლესიის სახელმწიფოსადმი დამორჩილების იდეა ახლობელი და გასაგები უნდა ყოფილიყო XVIII საუკუნის საქართველოში.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ პეტრე პირველის „რეღლამენტმა" გარკვეული გავლენა მოახდინა ერეკლე მეორის მიერ საეკლესიო მმართველობის კოლეგიური ორგანოს — დიკასტერიის შემოღებისას.

აქვე უნდა ითქვას, რომ დავით ბატონიშვილი თავის „სამართალში" იმ მოსაზრებას უჭერდა მხარს, რომ სახელმწიფო და ეკლესია ერთმანეთთან შეთანხმებულად უნდა მოქმედებდნენ, მაგრამ ეკლესია დაქვემდებარებული უნდა იყოს სახელმწიფოსადმი. როგორც ჩანს, დავით ბატონიშვილი იწონებდა ამ მხრივ რუსეთის მაგალითს.

თუ პეტრე პირველის „რეღლამენტმა" ასე თუ ისე გავლენა იქონია ქართულ სინამდვილეზე, რა უნდა ითქვას რუსულიდან თარგმნილ დანარჩენ ძეგლებზე?

ამასთან დაკავშირებით დ. ფურცელაძე წერს:

„სულ უმოქმედოდ არც ზოგი სხვა ქართულად თარგმნილი რუსული საკანონმდებლო ძეგლი დარჩენილა. როდესაც რუსეთთან შეერთებულ საქართველოში მოქმედი სამართლის საკითხი გამწვავებულა და ვახტანგ მეექვსის სამართლის თარგმნა „სისტემატიზაციის, და სამოქმედოდ შემოღების საქმეს გამოცოცხლება დასტყობია, დავით ბატონიშვილს მიუმართავს რუსეთის მთავრობისათვის წინადადებით იმის თაობაზე, თუ რა სამართლებრივი მასალით უნდა განხორციელებულიყო მართლმსაჯულება მის სამშობლოში. ამ მიმართვაში იგი რუსეთთან შეერთებამდე მოქმედად ასახელებდა როგორც თვით ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნს, ისე მის კოდიკოში შესულ სხვა ძეგლებს", ხოლო ბოლოს დასძენდა:

«Что же недоставало, то все заимствовано было из Российского Уложения и артикулов... Государя Императора Петра Великого, переведенных на грузинский язык»[7].

როგორც ჩანს, დავით ბატონიშვილი ალექსი მიხეილის ძის „სჯულდებას" ანუ, როგორც მას მეთვრამეტე საუკუნეში ქართველები უწოდებდნენ, „სამართალს ანუ ჰსჯულს მეფის ალექსი მიხაილოვიჩისას" საქართველოში ნაწილობრივად მოქმედ სამართლად თვლიდა. იგივეს ამბობს ავტორი პეტრე პირველის „არტიკულების" ქართული თარგმანის შესახებ.

რა შეიძლება ითქვას ამასთან დაკავშირებით?

მაშინდელი მართლშეგნების თანახმად, თუ უცხოური, ქრისტიანული ქვეყნის ნათარგმნ სამართლებრივ ძეგლში ისეთი გამოსადეგი სამართლებრივი ნორმა მოინახებოდა, რომელსაც ნოქმედ სამართალში არსებული ხარვეზის შევსება შეეძლო და რომელიც არ ეწინააღმდეგებოდა ქართული მართლშეგნების ზოგად საწყისებს, მას გამოიყენებდნენ. მაგრამ ჯერჯერობით სანდო კერძო სამართლებრივი დოკუმენტები, რომლებიც დაადასტურებდა, რომ ფაქტობრივად იყენებდნენ ალექსი მიხეილის ძის სჯულდების რომელიმე ნორმას არ ჩანს.

რუსული სამართლის ძეგლების თარგმნამ ქართველთა მოწინავე საზოგადოება დაარწმუნა,

---

[6] იხ. „სამართალი ბატონიშვილის დავითისა".. დ. ფურცელაძის გამ. გვ. 16.

[7] იქვე. გვ. 16.

რომ. რუსეთის სახით მას საქმე აქვს ისეთ სახელმწიფოსთან, რომელიც თავისი საზოგადოებრივი წესწყობილებით, კლასობრივი სტრუქტურით, მიწათმფლობელობის ფორმით, სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის ურთიერთდამოკიდებულებით, ქრისტიანული კულტურით და სამართლებრივი იდეებით მეტად ახლოს დგას საქართველოსთან. რუსული სამართლის უმთავრესი ძეგლების თარგმნას ქართველებისთვის ის მნიშვნელობაც ჰქონდა, რომ მისი მეშვეობით მდიდრდებოდა და ვითარდებოდა ქართული იურიდიული ტერმინოლოგია.

ცნობილია, რომ ენის შემოქმედი ხალხია, და არა მწერალი, მეცნიერი ან პოლიტიკური მოღვაწე. მაგრამ ეს იმას რადი ნიშნავს, რომ ენის განვითარებას ხელს არ უწყობს ინდივიდი, კორპორაცია-დაწესებულება ან ისეთი ფენომენი, როგორიც სახელმწიფოა.

სახელმწიფოებრიობისა და სამართალგანვითარების მაღალი დონე უთუოდ აისახება ხოლმე ენაში. და რაც უფრო მნიშვნელოვანია, სამართლის ისტორიამ იცის უტყუარი ფაქტები, როდესაც მოწინავე ქვეყნის სწავლულმა იურისტებმა ეთილისმყოფელი გავლენა მოახდინეს ენის განვითარებაზე.

ცხადია, რომ ბერძნულიდან ქართულად იურიდიული ძეგლების ისეთმა მთარგმნელებმა, როგორიც იყვნენ, ექვთიმე მთაწმინდელი, არსენ იყალთოელი და სხვები .აგრეთვე რუსულიდან ქართულად სამართლის წიგნების ქართველმა მთარგმნელებმა ხელი შეუწყვეს საქართველოში სხარტი მონოსემური იურიდიული ტერმინების დამკვიდრებას.

ვფიქრობთ, საჭირო და სასარგებლოა რუსული სამართლის ძეგლების ქართული თარგმანების შესწავლა და მათი მეცნიერული გამოცემა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში პროგრესულად მოაზროვნე ქართველები და თვით გმირი მეფე ერეკლე მეორე კარგად ხედავდნენ ქართული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების დრომოჭმულობას და იბრძოდნენ მისი გარდაქმნისათვის. მაგრამ ისინი ტრადიციის ფარგლებშივე ცდილობდნენ ძველისა და დრომოჭმულის დაძლევას. ამ მიზნის მისაღწევად სჭირდებოდათ მათ რუსული სამართლის წიგნების ქართული თარგმანები. ისინი ფიქრობდნენ, რომ რუსეთის უფრო ახლოს გაცნობით, რუსულ-ევროპული განვითარების გზაზე გამოსვლით ხელს შეუწყობდნენ ქვეყნის განახლებას.

# პრაქტიკა ჯ ბიბლიოგრაფია

## საყურადღებო ნაშრომი

სოციალისტური კანონიერების განმტკიცება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში მოქმედი კანონმდებლობის სწორ გამოყენებაზე. გამოცდილება მოწმობს, რომ ამის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სისხლის სამართლის კანონის ანალიზი, მისი მეცნიერული ინტერპრეტაცია — კომენტირება. ქართველი სწავლული იურისტები — კრიმინალისტები ყოველთვის მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ მოქმედი სისხლის სამართლის კანონების კომენტირებას და მეცნიერულ ანალიზს. მისასალმებელი ფაქტია, რომ გამომცემლობა „მეცნიერებამ" გამოსცა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მესამე თავის (104 — 138 მუხლები) სამეცნიერო — პრაქტიკული კომენტარი სათაურით: „დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ",[1] რომლის ავტორები არიან თ. წერეთელი, ვ. მაყაშვილი, თ. შავგულიძე და მ. მაჭავარიანი. ნაშრომი განკუთვნილია სასამართლოსა და პროკურატურის, სხვა სახელმწიფო ორგანოთა მუშაკებისათვის, საერთოდ ყველა იურისტისათვის. იგი ემყარება დასმულ საკითხებზე არსებული ფართო მეცნიერული ლიტერატურის მიმოხილვას, საკანონმდებლო პრაქტიკის შესწავლასა და ანალიზს, აგრეთვე, რაც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ნაშრომში ფართოდ არის წარმოდგენილი და განზოგადებული სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკა, ხოლო შესადარებლად გამოყენებულია რსფსრ-ის უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკა.

პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ცნება ფართო მნიშვნელობისაა და იგი მოიცავს ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, პირადი თავისუფლების, ნორმალური სქესობრივი განვითარების, ძირი პატივისა და ღირსების ხელმყოფ ისეთ საზოგადოებრივად საშიშ ქმედებებს, როგორიცაა განზრახი და გაუფრთხილებელი მკვლელობა, სხეულის მძიმე დაზიანება, გაუპატიურება, ცემა და წამება, თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა, ცილისწამება და ა. შ.

ნაშრომი იხსნება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის (განზრახ მკვლელობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში) კომენტარით, რომლის ავტორია პროფესორი თ. წერეთელი. გარდა ამისა, მასვე ეკუთვნის სისხლის სამართლის კოდექსის 105, 109, 122-134, 137 და 138 მუხლების კომენტარი. ავტორი უწინარეს ყოვლისა განიხილავს საერთოდ განზრახი და გაუფრთხილებელი მკვლელობის ცნებებს და იძლევა მათს ღრმა მეცნიერულ დახასიათებას, რომელშიც მიმოიხილავს მკვლელობის შემადგენლობის, ქმედობასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის, მკვლელობის მართლწინააღმდეგობის, მკვლელობაში თანამონაწილეობისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. კომენტარის ეს ნაწილი არის ზოგად-თეორიული ხასიათის წანამძღვარი ყველა სახის მკვლელობის კვალიფიკაციისათვის, რომელიც კი გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 თავში.

თეორიულ ნაწილში, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, განიხილავს რა თანამონაწილეობით ჩადენილი მკვლელობის ბრალს ავტორი მართებულად შენიშნავს, რომ „ლოგიკურად წარმოუდგენელია როგორც გაუფრთხილებლობით დახმარება განზრახ მკვლელობაში, ისე განზრახი დახმარება გაუფრთხილებლობით მკვლელობაში" (იხ. გვ. 17). ამიტომ დამნაშავის ყოველი განზრახი მოქმედება, რომლითაც მან ბიძგი მისცა მეორე პირის მიერ გაუფრთხილებლობით მკვლელობის ჩადენას, უნდა დაკვალიფიცირდეს განზრახ მკვლელობად. აქ მხედველობაშია ისეთი შემთხვევები, როდესაც მკვლელი დანაშაულებრივი მიზნის სისრულეში მოყვანისათვის თავისი მოქმედებით გაზრახ ხელს უწყობს

[1] თ. წერეთელი და სხვ. დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ (სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი) თბ. 1980.

ისეთი სიტუაციის შექმნას, რომ მეორე პირის გაუფრთხილებელ მოქმედებას შედეგად მოჰყვეს მის მიერ გამიზნული მსხვერპლის სიკვდილი. მსგავს ქმედობებს სისხლის სამართალში უწოდებენ მკვლელობის შუალობით ამსრულებლობას. ამ დროს დამნაშავე თავისი მიზნის სისრულეში მოყვანისთვის იარაღად იყენებს მეორე პირის გაუფრთხილებელ მოქმედებას. გარდა ამისა, პრაქტიკაში არის მკვლელობის შუალობითი ამსრულებლობის სხვა მაგალითებიც, როდესაც დამნაშავე იარაღად იყენებს შეურაცხად პირს, მცირეწლოვანს და ა. შ.

სასამართლო პრაქტიკისათვის განზრახ მკვლელობათა კვალიფიკაციის საკითხებში შესანიშნავი ორიენტირია საქართველოს სსრ სსკ-ის 104-ე მუხლის კომენტარი, რომელშიც ავტორი განზრახ მკვლელობის დამამძიმებელი გარემოებების თანამიმდევრულ ანალიზს იძლევა. თვალსაჩინოებისათვის ფართოდ არის გამოყენებული სასამართლო პრაქტიკის მაგალითები და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებებში მოცემული განმარტებები, რითაც სრული სიცხადე და გარკვეულობა არის შეტანილი განზრახი მკვლელობის კვალიფიკაციის პრობლემატურ საკითხებში. ავტორი ნათელს ჰფენს განზრახი მკვლელობის კვალიფიკაციის რთულ საკითხებს. მაგალითად, სხვა ძირეულ პრობლემებთან ერთად ავტორი განიხილავს იმ განზრახი მკვლელობის კვალიფიკაციის საკითხს, რომელიც ჩადენილია ქურდობაში ერთობლივი მონაწილეობის შედეგად წარმოშობილი ვალისაგან თავის დაღწევის მიზნით. ქურდობის ერთი თანამონაწილის მიერ მეორე თანამონაწილის მოკვლას, რათა მიისაკუთროს ამ უკანასკნელის კუთვნილი წილი ნაქურდალი ქონებიდან, ავტორი სავსებით მართებულად აკვალიფიცირებს ანგარებითი მოტივით ჩადენილ განზრახ მკვლელობად (იხ. გვ. 19-20). ასევე, თუ ქურდობის, ძარცვის ან ყაჩაღობის ერთმა თანამონაწილემ კანონსაწინააღმდეგო გზით მოპოვებული ქონების უშუალო განაწილების დროს ურთიერთშორის ატეხილ ჩხუბში მოჰკლა მეორე თანამონაწილე, ჩვენი აზრით ქმედობა აქაც უნდა დაკვალიფიცირდეს ანგარებითი მოტივით ჩადენილ განზრახ მკვლელობად, ე. ი. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 104 მუხლის I პუნქტით.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის კომენტარის 35-ე პუნქტში აღნიშნულია, რომ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წლის 27 ივნისის დადგენილების „სასამართლო პრაქტიკისათვის განზრახ მკვლელობის საქმეებზე“ შესაბამისად, განზრახი მკვლელობა, დაკავშირებული გაუპატიურებასთან, ორი დანაშაულის შემადგენლობას გვაძლევს და ამიტომ ყოველთვის დაკვალიფიცირებულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის კოდექსის ორი მუხლით, სახელდობრ, საქართველოს სსრ სსკ 104-ე მუხლის მე-7 პუნქტით და 117-ე მუხლის მე-3 ნაწილით[2] (იხ. გვ. 38-39). მაგრამ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ხსენებულ დადგენილებაში კი მითითებულია 117-ე მუხლზე საერთოდ, და არა 117-ე მუხლის მხოლოდ მე-3 ნაწილზე.

ცხადია, პლენუმის დადგენილების ხსენებული მითითება თავისთავად არ გამორიცხავს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის გამოყენების შესაძლებლობას, მაგრამ ამასთან არც მხოლოდ მისი გამოყენების აუცილებლობას ავალდებულებს. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ასეთი პოზიცია სავსებით მართებულია. იგი მოქმედების გარკვეულ დიაპაზონს უტოვებს სასამართლოს პასუხისმგებლობის საკითხის გონივრული გადაწყვეტისათვის. მაგალითად, თუ არარეციდივისტმა გაუპატიურა სრულწლოვანი პირი

---

[2] სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 28 აპრილის ბრძანებულებით შეტანილია ცვლილებები 117-ე მუხლში. სახელდობრ, ამ მუხლის მე-3 ნაწილიდან ცალკე ნაწილად გამოიყო ორი დამამძიმებელი გარემოება — გაუპატიურება ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ ან არასრულწლოვანის გაუპატიურება, რომელიც ამჟამად წარმოადგენს 117-ე მუხლის მე-3 ნაწილს, ხოლო სხვა დამამძიმებელი გარემოებები — გაუპატიურება ჩადენილი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ან განსაკუთრებით მძიმე შედეგების გამოწვევით, რომელსაც დაემატა აგრეთვე მცირეწლოვანის გაუპატიურება, ჩამოყალიბდ ამე-4 ნაწილად. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იმავე 1980 წლის 28 აპრილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ბრძანებულებასთან ერთად მიიღო აგრეთვე დადგენილება, რომლის თანახმად ბრძანებულებაში მითითებულ მცირეწლოვანში ნაგულისხმევია პირი, რომელსაც 14 წელი არ შესრულებია. ამრიგად ამ დადგენილებით განისაზღვრა მცირეწლოვანი (14 წლის ასაკამდე)) და არასრულწლოვანი (14-დან 18 წლის ასაკამდე) პირის ცნებები.

იხ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1980 წლის 7 მაისი, № 9.

* ВВС СССР, 1975, № 4, стр. 10.

ამ უკანასკნელის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით, ხოლო გაუპატიურების შემდეგ მოკლა იგი, სუბიექტის ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის მე-7 პუნქტით და 117-ე მუხლის პირველი ნაწილით, მაგრამ არა 117-ე მუხლის მე-3 ნაწილით (1980 წლის 28 აპრილის ბრძანებულების პირველი მუხლის მე-2 ნაწილით).

მაშასადამე, გაუპატიურებასთან დაკავშირებული მკვლელობის დანაშაულთა ერთობლიობის წესით კვალიფიკაციის დროს სრულიად დასაშვებია, რომ სსკ-ს 104 მუხლის მე-7 პუნქტთან ერთად საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის (ანუ 1980 წლის 28 აპრილის ბრძანებულების პირველი მუხლის მე-2 ნაწილის) აუცილებელი გამოყენება, როგორც ეს კომენტარში მითითებული (იხ. გვ. 38-39), მართებული არ იყოს, არამედ შესაძლოა გამოყენებულ იქნეს 117 მუხლის პირველი ან მეორე ნაწილიც. 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის (ე. ი. ზემოაღნიშნული ბრძანებულების პირველი მუხლის მე-2 ნაწილის) გამოყენება 104 მუხლის მე-7 პუნქტთან ერთად სწორია მხოლოდ მაშინ, თუ მკვლელობის მომენტამდე გაუპატიურებას თან ახლდა 117-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ხსენებული ბრძანებულების პირველი მუხლის მე-2 ნაწილით) გათვალისწინებული რომელიმე კონკრეტული დამამძიმებელი გარემოება, მხოლოდ ერთი მათგანის გამოკლებით, რომელშიც მითითებულია: „გაუპატიურება... განსაკუთრებით მძიმე შედეგების გამოწვევით“, ვინაიდან სრულიად ნათელია, რომ ამ უკანასკნელი გარემოების ცნება თავისი მნიშვნელობით არ შეიძლება გულისხმობდეს გაუპატიურების შემდეგ ჩადენილ დაზარალებულის მკვლელობას.

ერმად და საინტერესოდ არის ასევე ინტერპრეტირებული კომენტარში მკვლელობის სხვა დანარჩენი სახეებიც, სადაც განხილულია მკვლელობათა თითქმის ყველა ძირითადი პრობლემატური შემთხვევა და მოცემულია მათი კვალიფიკაციის თეორიული საფუძვლები.

სისხლის სამართლის კოდექსის 107-ე მუხლით გათვალისწინებულ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილ მკვლელობასთან დაკავშირებით ყურადღებას შევაჩერებთ ერთ საკითხზე. სახელდობრ, სსკ — 107-ე მუხლის კომენტარის მე-7 პუნქტში მითითებულია, რომ „მკვლელობა დაკვალიფიცირდება როგორც აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებით ჩადენილი და არა როგორც კვალიფიციური მკვლელობა, იმ შემთხვევაშიც,... როდესაც ეს დანაშაული ჩადენილია ისეთი საშუალებით, რომელიც საშიშროებას წარმოადგენს მრავალ პირთა სიცოცხლისათვის“ (იხ. გვ. 53) ამ მართებულ დებულებას უნდა დავამატოთ აგრეთვე ის, რომ თუ ხსენებულ ვითარებაში მომგერიებლის მიერ მრავალ პირთა სიცოცხლისათვის საშიში საშუალების გამოყენებას, გარდა უშუალო თავდამსხმელის სიკვდილისა, შედეგად მოჰყვა აგრეთვე სხვა გარეშე პირთა სიკვდილიც, რომლებიც თავდასხმაში არ მონაწილეობდნენ, მაშინ მისი ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობის წესით, სახელდობრ, საქართველოს სსრ სსკ — 107-ე მუხლითა და გაუფრთხილებლობით მკვლელობით (სსკ-ის 108 მუხლით). მაგრამ თუ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების დროს სუბიექტი მოქმედებდა ევენტუალური განზრახვით ქმედობის მოსალოდნელი შედეგის მიმართ, მაშინ მისი ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის ორი მუხლით, სახელდობრ 107-ე მუხლითა და 104-ე მუხლის მე-6 პუნქტით.

ნაშრომში საკმაოდ ვრცელი ადგილი აქვს დათმობილი განზრახვით თუ გაუფრთხილებლობით სხეულის სხვადასხვა კატეგორიის დაზიანების შემთხვევებსა და მათ კვალიფიკაციას. კომენტარის ხსენებულ ნაწილში ავტორები იკვლევენ სხეულის დაზიანების მრავალ რთულ შემთხვევას, რომელთა კვალიფიკაციის თაობაზე იძლევიან დასაბუთებულ და ზუსტად ჩამოყალიბებულ დასკვნებს, რაც დიდ დახმარებას გაუწევს სასამართლო პრაქტიკის მუშაკებს მსგავსი საკითხების მართებულ გადაწყვეტაში. მაგალითად, ასეთია სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით და 110 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედობების ურთიერთგამიჯვნის (იხ. გვ. 80-81), განზრახი დარტყმით გამოწვეული გაუფრთხილებლობით სხეულის დაზიანების (კვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით) სხეულის გახზრახ დაზიანებისაგან გამიჯვნისა (იხ. გვ. 89-90) და სხვა საკითხები.

სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარის მომდევნო ნაწილში განხილულია სქესობრივ დანაშაულთა სახეები, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით გათვალისწინებული ქალის სქესობრივი ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული უმძიმესი დანაშაულის — გაუპატიურების კვალიფიკაციასთან დაკავშირებული პრობლემები. სხვა ძირითად საკითხებთან ერთად, კომენტარის ამ ნაწილში, გარკვეულია აგრეთვე სასამართლო პრაქტიკისათვის ზოგიერთი მნიშვნე-

ლოვანი სპეციფიკური საკითხი, მაგალითად, როგორიც არის სქესობრივი კავშირის დაჭერის დროს ქალის ნამდვილი წინააღმდეგობისაგან მოჩვენებითი წინააღმდეგობის გარჩევის პრობლემა (იხ. გვ. 93-94); ქალის პატივისა და ღირსების დანაშაულებრივი ხელყოფისაგან გაუპატიურების მცდელობის გამიჯვნა (იხ. გვ. 98), გაუპატიურებაზე ნებაყოფლობით ხელის აღებასთან დაკავშირებული პრობლემატიკა (იხ. გვ. 99-100) და ა. შ.

კომენტარი მართებულად განმარტავს, რომ იმისათვის, რათა პირის ქმედობა დაკვალიფიცირდეს 117 მუხლის იმ ნაწილით, სადაც აღნიშნულია „გაუპატიურება... განსაკუთრებით მძიმე შედეგების გამოწვევით", საჭიროა გაუპატიურებასთან ერთად განსაკუთრებით მძიმე შედეგის რეალურად დადგომა (იხ. გვ. 106-107), ვინაიდან ეს არის მძიმე შედეგით კვალიფიცირებული დელიქტი. მაგრამ გარდა ამისა, ვფიქრობთ, სასამართლო პრაქტიკისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ როგორ უნდა იქნეს დაკვალიფიცირებული პირის ქმედობა, როდესაც იყო მხოლოდ გაუპატიურების მცდელობა, მაგრამ ამ ქმედობას შედეგად მოჰყვა რომელიმე განსაკუთრებით მძიმე შედეგი (ქალის თვითმკვლელობა, სიკვდილი, მძიმე სულიერი მოშლილობა და ა. შ.), უფრო მოკლედ, გაუპატიურების ისეთი მცდელობის კვალიფიკაციის საკითხი, რომელსაც განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, სუბიექტის ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს 17-117 მუხლის მე-3 ნაწილით (ანუ 1980 წლის 28 აპრილის ბრძანებულების პირველი მუხლის მეორე ნაწილით), ვინაიდან ეს ქმედობა განეკუთვნება მძიმე შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებს. 117-ე მუხლის კომენტარის მე-19 პუნქტში აღნიშნულია, რომ გაუპატიურების ჩადენის შემდეგ დაზარალებულის განზრახი მკვლელობა უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა რეალური ერთობლიობის წესით 104-ე მუხლის მე-7 პუნქტით და 117-ე მუხლის მე-3 ნაწილით (იხ. გვ. 110). მაგრამ, ისევე როგორც 104-ე მუხლის კომენტარში (იხ. გვ. 38-39), არც აქ დაზუსტებული არ არის თუ 104-ე მუხლის მე-7 პუნქტთან ერთად რომელ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედობა აგრეთვე 117-ე მუხლის მე-3 ნაწილით, ე. ი. იგივე 1980 წლის 28 აპრილის ბრძანებულების პირველი მუხლის მე-2 ნაწილით.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ გაუპატიურებასთან დაკავშირებული ყველა მკვლელობა როდი კვალიფიცირდება 104-ე მუხლის მე-7 პუნქტთან ერთად 117-ე მუხლის მე-3 ნაწილით, არამედ ამ მუხლებით კვალიფიკაცია ხდება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მკვლელობის ჩადენამდე გაუპატიურებას თან ახლდა 117-ე მუხლის მე-3 ნაწილში, ე. ი. 1980 წლის 28 აპრილის ბრძანებულების პირველი პუნქტის მეორე ნაწილში მითითებული რომელიმე კონკრეტული დამამძიმებელი გარემოება (გარდა იქ აღნიშნული „განსაკუთრებით მძიმე შედეგის გამომწვევისა"). კომენტარში თანამიმდევრულად არის განხილული აგრეთვე სქესობრივი დანაშაულის სხვა სახეების კვალიფიკაციის თავისებურებანიც.

კომენტარის მომდევნო ნაწილი ეთმობა პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ ისეთ დანაშაულებრივ ქმედობებს, რომლებიც თავისი შინაარსით გულისხმობენ ამა თუ იმ სახით პიროვნების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საფრთხეში ჩაგდებას (სისხლის სამართლის კოდექსის 122-ე, 123-ე, 127-ე, 128-ე მუხლები), კანონით დაკისრებული გარკვეული ხასიათის მოვალეობების განზრახ ბოროტად დარღვევას სამეურვეო პირებისა და მოზარდის პირადი ინტერესების საზიანოდ (სისხლის სამართლის კოდექსის 124-ე, 125-ე, 125[1]-ე, 126-ე მუხლები), აგრეთვე განხილულია დანაშაულებრივი უმოქმედობის ის სახეები, რომელთა დროსაც აუცილებელი და კანონით სავალდებულო იყო დამნაშავის მხრივ აქტიური მოქმედება საფრთხეში ჩავარდნილი ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად (სისხლის სამართლის კოდექსის 129-ე, 130-ე, 131-ე, 132-ე, მუხლები). კომენტარში დეტალურად არის მიმოხილული ამ დანაშაულთა ბრალისა და კვალიფიკაციის საკითხები. საგანგებოდ არის გამახვილებული ყურადღება ქმედობათა კვალიფიკაციის იმ სპეციფიკურ საკითხებზე, რომელთაც სასამართლო პრაქტიკაში შესაძლოა გამოიწვიონ გარკვეული სირთულე. მაგალითად, ასეთია ნაშრომში სპეციალურად განხილული კანონიერი აბორტისაგან უკანონო აბორტის გამიჯვნის, უკანონო აბორტის სხეულის მძიმე დაზიანებისაგან გამიჯვნის საკითხები (იხ. გვ. 124-126).

ალიმენტის გადახდისათვის ან შვილების რჩენისათვის ბოროტად თავის არიდებასთან დაკავშირებით კომენტარში ხაზგასმულია, რომ ამ დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ისეთი პირიც, რომელსაც ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება. ამ მართებული დებულების გამო უნდა აღინიშნოს, რომ მისი დასაბუთებისათვის სწორად არის დამოწმებული საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 64-ე მუხლი. მაგრამ აღნიშნული ნორმის შინაარსის გადმოტანისას კო-

მენტარში დაშვებულია მექანიკური უზუსტობა, რაც კონტექსტში იწვევს აზრობრივ შეუსაბამობას (იხ. გვ. 130, პუნქტი მე-5). ამიტომ კომენტარის ის ნაწილი, სადაც წერია „...მშობლის უფლება არ ათავისუფლებს პირს პასუხისმგებლობისაგან“, უნდა შეიცვალოს სიტყვებით: „მშობლის უფლების ჩამორთმევა არ ათავისუფლებს პირს პასუხისმგებლობისაგან[4]“... და შემდეგ როგორც ტექსტშია.

1251 მუხლის (შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნების) კომენტარის მე-5 პუნქტში მითითებულია, რომ თანამდებობის პირის მიერ ანგარებით ან პირადი მოტივით შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება, რომელსაც მძიმე შედეგი მოჰყვა, უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობის წესით 125[1]-ე და 186-ე მუხლებით (იხ. გვ. 133), **უფრო ზუსტად 125-ე და 186-ე მუხლების მეორე ნაწილებით** (ხაზგასმა ჩვენია — დ. ს. გ. ჟ.). მაგრამ ვფიქრობთ, თანამდებობის პირის მიერ შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება იგივე მოტივებით მაშინაც უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობის წესით, თუნდაც მის ქმედობას არ მოჰყვეს რაიმე მძიმე შედეგი, ოღონდ ამჯერად არა სსკ — 125[1]-ე და 186 მუხლების მეორე ნაწილებით, არამედ ამავე მუხლების პირველი ნაწილებით, ვინაიდან ერთის მხრივ, 125[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედობა არის ფორმალური დანაშაული, რომელიც სულაც არ მოითხოვს აუცილებლად რაიმე მძიმე შედეგის დადგომას, ხოლო მეორე მხრივ სუბიექტის ქმედობა მოცემულ შემთხვევაში ასევე შეიცავს 186-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემადგენლობას, რადგან, ჯერ ერთი, ადგილი აქვს თანამდებობის პირის მიერ სათანადოდ მოტივირებულ განზრახ ბოროტად მოქმედებას და, მეორეც, თავისთავად შვილად აყვანის საიდუმლოს გამჟღავნების ფაქტი მშვილებლის ნება-სურვილის წინააღმდეგ სავსებით კანონზომიერად უნდა ჩაითვალოს მოქალაქის კანონიერი ინტერესებისადმი მიყენებულ არსებით ზიანად. კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული ქმედობით ზიანი ადგება როგორც მშვილებლების იმ კანონიერ ინტერესს, რომ მის მიერ შვილის აყვანის კანონით დაცული საიდუმლო გახმაურდეს, ასევე თვით შვილად აყვანილის კანონიერ ინტერესსაც, იმით, რომ მისი პირადი ცხოვრების საიდუმლო, ინტიმური მხარე საჯაროდ გახმაურდა და იქცა მისთვის არასასურველი მსჯელობის საგნად.

ჯიდევ ერთი საკითხიც ამასთან დაკავშირებით. ჩვენი აზრით, ზემოთ ნახსენები თანამდებობის პირად უნდა ვიგულისხმოთ მხოლოდ ის პირები, რომელთაც უკავიათ გარკვეული თანამდებობა ისეთ სახელმწიფო ორგანოებში, სადაც ხდება შვილად აყვანის ნებართვის გაცემა, აგრეთვე შვილად აყვანის გაფორმება და რეგისტრაცია, ე. ი. რომლებიც თავიანთი სამსახურებრივი სპეციფიკით დაკავშირებულნი არიან შვილად აყვანის საქმეებთან. ამ გზით მათთვის ცნობილი ხდება შვილად აყვანის საიდუმლოება და მასთან დაკავშირებული ფაქტები, ხოლო სხვა თანამდებობის პირებს, რომლებიც სამსახურებრივი სპეციფიკით არ გამოირჩევიან შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნებისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრებათ ჩვეულებრივი წესით — სისხლის სამართლის კოდექსის 125[1]-ე მუხლის პირველი ან მეორე ნაწილის შესაბამისად, ე. ი. ისევე როგორც იგივე ქმედობის ჩამდენ არათანამდებობის პირებს.

სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარის ბოლო ნაწილი შეეხება პიროვნების მნიშვნელოვანი კონსტიტუციური თავისუფლებებისა და უფლებების — პირადი თავისუფლების, პატივისა და ღირსების ხელმყოფ დანაშაულებს, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 133-136-ე, 137-ე და 138-ე მუხლებით და იძლევა ამ დანაშაულებრივ ქმედობათა იურიდიული ბუნების ყოველმხრივ ანალიზს, დასაბუთებულ დასკვნებს, რაც სწორი კვალიფიკაციის პირობად გვევლინება. მოქალაქის პირადი თავისუფლება ფართო შინაარსის შემცველი ცნებაა და თავის არსში გულისხმობს, როგორც თავისუფალი მიმოსვლის უფლებას, ასევე ადამიანის მიერ თავისი მოქმედებისა და სულიერი ძალების მისი შეხედულებისამებრ თავისუფალ განკარგვას.

თავისუფლების უკანონოდ აღკვეთასთან დაკავშირებით შევეხებით ერთ საკითხს ,საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 133-ე მუხლის კომენტარის მე-10 პუნქტში აღნიშნულია, რომ „არასრულწლოვანის მოტაცებად უნდა ჩაითვალოს ისეთი შემთხვევაც, როდესაც იგი თავისი ნებით მივიდა დამნაშავესთან, ხოლო შემდეგ ეს უკანასკნელი ძალით ან მოტყუებით აკავებს მას...“ (იხ. გვ. 54). ვფიქრობთ, ამ დებულებაში, ზოგიერთი რამ დაზუსტებას მოითხოვს. სახელდობრ თავისთავად მოტაცება, ცალკე აღებული, თავისუფლების აღკვეთის ერთ-ერთ ხერხს წარმოადგენს, რომლისგანაც

[4] იხ. საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსი. მუხ. 64.

თავისი ობიექტური შინაარსით განსხვავდება თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის მეორე ხერხი, როდესაც დამნაშავე ძალით ან მოტყუებით აკავებს თავისი ნებით მასთან მისულ არასრულწლოვანს. მოტაცება შემადგენლობის ობიექტური ნიშნებით გულისხმობს ძალდატანებით ვინმეს გადაადგილებას ერთი ადგილიდან მეორე, მისთვის არასასურველ ადგილზე ამ უკანასკნელის ნების წინააღმდეგ, რასაც უმეტესად თან ახლავს დამნაშავის მიერ გარკვეული სახით ტრანსპორტის მოშველიება. ხოლო ზემოაღნიშნულ მეორე შემთხვევაში კი გადაადგილება ერთი ადგილიდან მეორეზე ხდება თვით დაზარალებულის ნებასურვილით, ოღონდ ამ უკანასკნელს ართმევენ თავისი ნებასურვილისამებრ ხელახალი გადაადგილების შესაძლებლობას, ე. ი. დატოვოს მისთვის არასასურველი ადგილი. კომენტარში მოყვანილი დებულება კი ობიექტური მხრივ განსხვავებულ ამ ორ მოქმედებას გარკვეულად ერთმანეთთან ათანაბრებს, მაშინ, როდესაც ერთი მეორეს არ უდრის. ამრიგად, დამნაშავის მიერ მასთან თავისი ნებით მისული არასრულწლოვანის ძალით ან მოტყუებით დაკავება იმავდროულად იგივე არასრულწლოვანის მოტაცებად ვერ ჩაითვლება, არამედ, თითოეული ეს ქმედობა ცალკე აღებული წარმოადგენს თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის დამოუკიდებელ ხერხს, მაგრამ თავისი ობიექტური არსით ისინი, ცხადია, ერთმანეთს არ ემთხვევიან. ამასთან ჩვენი მხრივ მათი ურთიერთგამიჯვნის ცდა, მიზნად არ ისახავს მხოლოდ და მხოლოდ საკითხის სქოლასტიკური მხარის გადაწყვეტას, არამედ რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, ვფიქრობთ, ეს არსებითი მომენტი აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული სასამართლოს მიერ დამნაშავის მიმართ პასუხისმგებლობის და სასჯელის ინდივიდუალიზაციის დროს.

ნაშრომი მთავრდება ადამიანის პატივისა და ღირსების ხელმყოფი ისეთი დანაშაულებრივი ქმედობების კომენტარით, როგორიც არის ცილისწამება (სსკ — 137-ე მუხლი) და შეურაცხყოფა (სსკ — 138-ე მუხლი), სადაც გამოკვლეულია ამ ქმედობათა სწორი კვალიფიკაციის ძირითადი საკითხები.

სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შესახებ მაღალ დონეზეა შესრულებული. ავტორთა ჩანაფიქრი ნაშრომში სრულყოფილად არის განხორციელებული. იგი სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 თავთან დაკავშირებით შექმნილ საუკეთესო სახელმძღვანელო ლიტერატურას წარმოადგენს.

ვართალია, ჩვენი გამოხმაურება ქართული იურიდიული აზრის ამ მნიშვნელოვან შენაძენზე შესაძლოა ცოტა დაგვიანებულიც იყოს, მაგრამ, ვფიქრობთ, ამ ხარვეზის გამოსწორება მაინც აუცილებელია და აქედან გამომდინარე ნაშრომის მიმართ პირუთვნელი მოსაზრების გამოთქმა, მისი ღირსების სათანადოდ შეფასება არასდროს არ არის აზრს მოკლებული.

**გ. ჟორდანია,**

**საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი**

**დ. სულაქველიძე,**

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი:**

# საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კლენუმი

1983 წლის 22 ივლისს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის **ა. კარანაძის** თავმჯდომარეობით გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი.

„რესპუბლიკის სასამართლოებში სპეკულაციის საქმეთა განხილვის სასამრთლო პრაქტიკის შესახებ“ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა **ლ. საყვარელიძემ.**

აღინიშნა, რომ რესპუბლიკის სასამართლოები, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებით, აგრეთვე „სპეკულაციის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკისათვის“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1974 წლის 13 დეკემბრის დადგენილებით, სპეკულაციის საქმეთა განხილვის დროს ძირითადად სწორად იყენებენ მოქმედ კანონმდებლობას.

ამავე დროს, სპეკულაციის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი. სასამართლოები ზოგჯერ სწორად ვერ აფასებენ სპეკულაციის საზოგადოებრივ საშიშროებას, არცთუ იშვიათად არის ამ დანაშაულებრივი ქმედობის უსწორო კვალიფიკაციის შემთხვევები, ყოველთვის არ სრულდება კანონის მოთხოვნა სისხლის სამართლის საქმის ყველა გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის აუცილებლობის შესახებ. სასამართლოები ხშირად თანამიმდევრულად არ ასრულებენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო მითითებებს.

„სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების გამოყენების სასამართლო პრაქტიკის თაობაზე „სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1971 წლის 19 ოქტომბრის № 6 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ — მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა **ა. ღუღუნიშვილმა.**

აღინიშნა, რომ თანამედროვე პირობებში საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება შრომის დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას, საწარმოდაწესებულებებში მაღალი ორგანიზებულობის უზრუნველყოფას, რაც სოციალისტური ეკონომიკის განვითარებისა და ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების მნიშვნელოვანი პირობაა.

საქმიანობის ყველა უბანზე მკაცრი დისციპლინისა და წესრიგის უზრუნველყოფის საქმეში ეკონომიკური საშუალებების გვერდით, თუმცა დამხმარე, მაგრამ მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის შრომის კანონმდებლობის ზუსტ დაცვას.

როგორც სასამართლო პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რესპუბლიკის სასამართლოები ძირითადად სწორად იყენებენ კანონს შრომის დავების გადაწყვეტის დროს, ახორციელებენ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობს შრომის კანონმდებლობის დაცვას, დისციპლინის განმტკიცებას.

ამავე დროს სასამართლოების მუშაობაში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი. კერძოდ, ცალკეულ შემთხვევებში არ სრულდება კანონის მოთხოვნები, რათა ყოველმხრივ და სრულად მომზადდეს საქმე განსახილველად, გაირკვეს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებანი. ეს კი საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების გამოტანას და მის შემდგომ გაუქმებას იწვევს.

სასამართლოები ყოველთვის არ იჩენენ პრინციპულ დამოკიდებულებას შრომის დისციპლინის დამრღვევთა მიმართ, არ ავლენენ შრომის დისციპლინის დარღვევების ხელშემწყობ ფაქტორებს, კერძო განჩინებებით თანამიმდევრულად არ ახდენენ რეაგირებას იმ თანამდებობის პირთა მიმართ, რომლებიც სამსახურებრივი მოვალეობისადმი გულგრილი და ზერელე დამოკიდებულებით ხელს უწყობენ დისციპლინის დარღვევებს.

ყურადღებას არ უთმობენ სასამართლო სხდომების აღმზრდელობითს როლს, იშვიათად განიხილავენ ამ კატეგორიის საქმეებს საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

ზემდგომი სასამართლოები საკასაციო წესით შრომის საქმეთა განხილვის დროს ყოველთვის სრულყოფილად არ შეისწავლიან გადაწყვეტილებათა კანონიერებასა და დასაბუთებულობას. რის შედეგადაც დროულად არ ხდება დაშვებული შეცდომების გასწორება.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილებები.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი **ვ. იოსელიანი.**

# სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმისა და სასამართლო დაცვის საზოგადოებრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ინიციატივით, გაიმართა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომლის თემა იყო „მართლმსაჯულების დემოკრატიული პრინციპებისა და ეფექტიანობის განვითარებაში ადვოკატურის როლის ამაღლება“.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ **ზ. რატიანმა.**

მოხსენებებით გამოვიდნენ: საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი **ა. კვარწინია** — „იუსტიციის ორგანოების ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით“, რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი **გ. როინიშვილი** — „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს 1982 წლის 18 მაისის დადგენილების მოთხოვნათა შესასრულებლად რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის მიერ გაწეული მუშაობა და მართლმსაჯულების დემოკრატიული პრინციპების განვითარების საქმეში ადვოკატურის როლის ამაღლების შესახებ“, ადვოკატი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ი. სტეცოვსკი** — „სსრ კავშირის კონსტიტუცია და კანონმდებლობა, რომელიც უზრუნველყოფს ბრალდებულის დაცვის უფლებას“, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **ა. ფალიაშვილი** — „კონსტიტუციური პრინციპები დაცვის უფლების ეფექტიანი განხორციელების საფუძველი“, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი **გ. ეხვაია** — „მართლმსაჯულების განუხრელი განხორციელებისათვის ბრძოლა ადვოკატის საპატიო მოვალეობაა“, საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსის მოადგილე **ნ. აბესაძე,** — „სისხლის სამართალწარმოებაში ადვოკატის უფლება-მოვალეობათა ზოგიერთი საკითხის შესახებ“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერი-თანამშრომელი **ჯ. კერესელიძე** — „ადვოკატის საჩივარი ბრალდებულის უფლებების დაცვის და მართლმსაჯულების ობიექტურად განხორციელების გარანტია“.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა ქ. მოსკოვის ადვოკატთა კოლეგიის სასამართლო დაცვის საზოგადოებრივი ინსტიტუტის სწავლული მდივანი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, რსფსრ დამსახურებული იურისტი **ა. პოლიაკი.**

შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ ადვოკატები **ბ. ხომერიკი, ვ. უვანია, ჯ. ბაქრაძე, ს. რაიმოვი, ა. ხოჭოლავა** და სხვები.

კონფერენციაზე გაიმართა სჯა-ბაასი იმ საკითხებზე, რომლებიც პრაქტიკულად დგას ადვოკატურის წინაშე. გამოითქვა აზრი, რომ მართლმსაჯულების დემოკრატიული საფუძვლების განვითარებისა და სრულყოფისათვის საჭიროა მკვეთრად ამაღლდეს ადვოკატურის როლი, გაიზარდოს სასამართლო წარმოებაში ადვოკატთა მონაწილეობა. სასამართლო პროცესზე იგი უნდა იყოს საერთო და სამართლებრივი კულტურის ნიმუში, უნდა ავლენდეს კანონისადმი ღრმა პატივისცემასა და თავის პროფესიულ მოვალეობას მაღალ დონეზე, კვალიფიციურად ასრულებდეს. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ადვოკატის არა მარტო იურიდიულ ცოდნას, არამედ მის მიერ ზნეობრივი და ეთიკური ნორმების პრინციპების დაცვას.

კონფერენციაზე ისიც აღინიშნა, რომ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიასთან ერთად უკანასკნელ დროს დასახა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ადვოკატურის წინაშე მდგომი ამოცანების განხორციელება.

კონფერენციამ მიიღო ვრცელი გადაწყვეტილება, რომელიც დაეგზავნათ რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების იურიდიულ კონსულტაციებს.

# მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლოს შენობა



„ქალაქ-მუზეუმ მცხეთისა და მცხეთის რაიონის ეკონომიკის განვითარების შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად 1976 წელს ქ. მცხეთაში აშენდა რაიონის სასამართლო-პროკურატურის შენობა. ქ. მცხეთა წარმოადგენს ქალაქ-მუზეუმს. გენერალური გეგმით მისი ტერიტორიის შემდგომი განაშენიანება ითვალისწინებს ბებრისციხის სამხრეთით მდებარე ცენტრალური ნაწილის ისტორიულად ჩამოყალიბებული განაშენიანების და სილუეტის შენარჩუნებას, რომელიც შემოფარგლულია მდ. არაგვისა და მტკვრის ნაპირებით. ამიტომ ახალ მშენებლობათა ძირითადი ნაწილი გადატანილია მის ჩრდილოეთით, ღართისკარისა და ნარეკვავის დასახლების ტერიტორიაზე. რაიონის სახალხო სასამართლოსა და პროკურატურის მშენებლობებისათვის ნაკვეთიც შეირჩა, ღართისკარის დასახლების ტერიტორიაზე ცენტრალური გზის გასწვრივ და იგი შეთანხმებულია საქართველოს სსრ სახმშენთან.

პროექტი დამუშავდა საპროექტო ინსტიტუტის „საქქალაქმშენსახპროექტის“ IV არქიტექტურულ სახელოსნოში. პროექტის ავტორები არიან არქიტექტორები თ. ჯეგელია და ი. კახიანი. პროექტირებისათვის გამოყენებულია სახალხო სასამართლოს ორსართულიანი ტიპობრივი პროექტი, რომელიც გადამუშავების შემდეგ განხორციელდა ქ. რუსთავში.

მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლოს ორსართულიანი შენობის პროექტს დაემატა მესამე სართული მცხეთის რაიონის პროკურატურისათვის. შენობის შიდადაგეგმარება ივივე დარჩა, ფასადებიც გაუმჯობესდა და გადამუშავდა ინდივიდუალურად. შენობის ცოკოლი მოპირკეთდა ბაზალტის ქვით, ხოლო კედლები დაიყო ჰორიზონტალური სიბრტყეებით და შენაცვლებით ნაწილი მოპირკეთდა ეკლარის ქვით.

მშენებლობა განახორციელა მშენებლობის სამინისტროს მე-2 სამშენებლო ტრესტის მცხეთის № 5 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველომ.

მშენებლობა დამთავრდა და საექსპლუატაციოდ გადაეცა 1976 წლის დასასრულს.

შენობაში სამსჯავრო სხდომის სამი დარბაზია, რაც საშუალებას იძლევა დაუბრკოლებლად გაიმართოს სასამართლო პროცესები. როგორც სახალხო სასამართლოს, ისე პროკურატურის ყველა მუშაკს აქვს დამოუკიდებელი სამუშაო ოთახი, აქვეა სასამართლოს კეთილმოწყობილი არქივი, ნივთმტკიცების შესანახი სათავსი, სამართალში მიცემულთა მოსათავსებელი ოთახები.

სასამართლო-პროკურატურის ახლად აგებული შენობა კარგად ერწყმის გარემოს, მის რელიეფს.

ვ. ვ. საგინაშვილი,
ქ. მცხეთის მთავარი არქიტექტორი.

# ცნობები ავტორთა შესახებ

**გორდეევი გორის ივანეს ძე** — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო პროკურორი, იუსტიციის გენერალ-მაიორი, მეორედ იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

**შონია გიორგი გესარიონის ძე** — ადვოკატი, ერთი კრებულისა და 4 შრომის ავტორი, მეორედ იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

**შონია მარიამ ივანეს ასული** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს დამნაშავეობის სოციოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი, 5 შრომის ავტორი, მეორედ გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

**ბეინაცკაია მარიამ ნიკოლოზის ასული** — თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი ლაბორანტი, პირველად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

**კოტეტიშვილი დიმიტრი ივანეს ძე** — საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი, პირველად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

**მთვარელიძე გივი გიორგის ძე** — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსის მოადგილე, 3 შრომის ავტორი, პირველად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

**ტყეშელიძე გიორგი ტერენტის ძე** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის კათედრის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

**მაისურაძე ლილი ზაქარიას ასული** — ჟურნალისტი, საქართველოს რადიოს პროპაგანდის მთავარი რედაქციის რედაქტორი.

**ნადარეიშვილი გიორგი ნესტორის ძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, 51 შრომის, მათ შორის 6 წიგნის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

**ჟორდანია ივანე შალვას ძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 10 შრომის ავტორი, მათ შორის ერთი მონოგრაფიისა, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

**სულაქველიძე დავით დავითის ძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი, 2 შრომის ავტორი, მეორედ გამოდის ჩვენს ჟურნალში.

---

**გარეკანის პირველ გვერდზე:** მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლოს შენობა. ინფორმაცია მის შესახებ იხ. ამავე ნომრის 78-ე გვ.

გ. სეირანიანის სლაიდი.

«САБЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 4, 1983 (на грузинском языке). Двухмесячный, научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 103, тел. 95-58-87, 95-88-49.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.